

କଳାକାଣ୍ଡ

№1 (50) 2022



აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო



იალქანი – შამაცნებით-ლიტერატურული
 ჟურნალი ყმანვილთათვის
 დაარსებულია 1996 წელს



კულტურის, სპორტის
 და ახალგაზრდულ
 საქმეთა სააგენტო

დირექტორი **ლია კვარაცხელია**

რედაქტორი **ნანა ჭანტუჩია**
 მხატვრული რედაქტორი **ნუნუ ჯანელიძე**
 მხატვარი, პასუხისმგებელი მდივანი **დალი მუსაძე**
 დიზაინი, დაკაბადონება **ვასტანგ ზაქარაია**

**ჟურნალი „იალქანი“
 საიუბილეო – 50-ე**

მწიერი ნუაჩ წყლისციხის 90 წლის ვახუშტა.
 შკითხვებზე, ვინ ახის ნუაჩ წყლისციხის, თანამკაქაქემ
 კუჩამ კუჭხიაშვიტა ბიხანა: "შვიტა გამსახუჭიას
 სიმარის ვაქარ მხუტ მის თანამეჭხუტს - ნუაჩ
 წყლისციხის მივითხუტ". ვბუჭავთ მწიერის ქით-ქით
 ბუტ ნუაჩხუტს, უფხუ წყსუტარ, წუჭის მთხუტას,
 ხმარით ზაითხა მისმა შვიტშვიტა -
 თათია შუტუკაიათ. **გვ. 15**

პუტრიაქაქია "სიუჯაქი ახ იუაქუტა" მუჯანუტა
 ცნუბიტა ქაითუტმა აფხუტუტუტა, რუტუტმა -
 თუტუტუტ გუანუტუტუტ. აუტუტ იუაქუტრუტს XX ს.-ის
 30-იანი წუტის აფხუტუტს, რხუტ, ხუტა ზუტაქ რხუტარ ახ
 გუტუტამს ფუტვი ხუტუტ გუტრუტუტს, ხუტა აფხუტუტს
 ზუტ ისუტ თავი მუტუნთ იმით, ხმ სუტუტუტუტ რა
 ზუტ ქაითუტარ. **გვ. 22**

პითუტ იუტ სუტრუტუტუტუტ მუტუტუტუტა თანამეჭხუ
 აფხუტუტ პუტუტა რა მწიერის ნუა ზინუტრუტ თხუტუტა (ქუტ).
 მიმუტუტუტა სითაქითუტ - "უტუტარუტ არ მუტუტუტ"; ქაა თავითარ
 მიტუტუტ, გუტრუტუტ ვაიტუტუტუტუტ ხმამარო ფიტით. მუტუტუტს
 მიუტუტუტით ფაიტუტ ცუტვიტრუტუტ. ამაქუ რხუტ, ქაა მთხუტუტრუტ
 (აუტუტუტის) შინთ, თავარ არ მუტუტუტს მას, მუტარუტუტ - უფუტს,
 ხმარით ნათუტს პუტუტ რა ანუტს აბუტუტს მის
 მუტუტუტას. **გვ. 38**

რუტ აუტინის პუტრუტუტუტუტ მთხუტუტუტა სუტრუტუტინი
 მწიერის - რით ვანსუტანუტინ გუტსახუტინის ცნუტუტრუტის ნუტრუტარ
 ცნუტრუტ იუაქუტრუტის შუტუტუტ. თავუტარასუტრუტა, ხმარით რაითუტ
 XX ს.-ის 20-იან წუტში, სმუტარუტ რაუტუტუტინია ქითმანუტის
 უტუტ ფიტრუტის რუტუტუტის ხაიტისთო უტუტარუტან მუტარუტუტუტ
 რუტუტუტ მუტუტუტუტა მწიერი - ვანსუტანუტინ
 გუტსახუტიათ. **გვ. 40**

ჟურნალში გამოყენებულია ფრაგმენტები ნუნუ ჯანელიძეს ბრაფიკული ნაშუშუტრუტინიდან.

საგამომცემლო ჯგუფი:

გიგლა გოგუტინა, ნინო ვახანია, ზაურ კალანდია, სალომე კაპანაძე, დავით კოგანიძე, ნათო კორსანტინა,
 ნუტზარ მგალუტრუტინი, გურამ პიტრიაშვილი, ვენერა რუტუტა, პაატა შურდოვანიძე, გელა ჩუტანაძე,
 მარია ნიკლაური, სოსო შუტუტრუტინი, ეკა ხოტური.

გალაკტიონი – გზა სოხუმამდე

პირველად გალაკტიონი სოხუმს ესტუმრა 1920 წელს; მაგრამ პოეტისადმი მიძღვნილი დიდი საზეიმო საღამო ზღვისპირა ქალაქში დაიგეგმა 1927 წლის გაზაფხულისთვის.

გალაკტიონის მეუღლე ოლღა ოკუჯავა 1927 წლის 13 თებერვალს დღიურში ჩანერს:

”ჩემ ძვირფას, ჩემ სახელვან, ჩემ კახე გო!.. საათო აბრეკ ჩამაჰკია 11-ზე. ნახვანი საათს შემდეგ მენ გაემზავები. ე, გო, ხა რაჩინი ვახ, ხუჯ მინა მენთან ყფნა, მზღრ მენთან... მე რავყერი მუფაიხლოს ვასჯას. ივი ვეაუჩუკოს მენ რავაჩიფვანი ზოვის ამწვანტყი ნაიხისკენ. წენი ზოვას კისსიჯებ ბათუმში რა ბენიიხ მუზავხუბას ვეით ლხუბამე. რა, ვაქში ჩავიკხას ლხუბმა რა რეიბხუნლ ზანხიჯუბა... გო, ძვირფას, სავაიჯე გოჯ! ე, ხუჯ ამავბს სავაიჯე მენი ვენით. იამაყ, იამაყ, სავაიჯეჯ, გო პუქით!..”

13 თებერვალს თბილისიდან გამგზავრებული გალაკტიონი მეორე დღეს უკვე ბათუმშია. დგას ცივი თებერვალი, გალაკტიონი კი რატომღაც შილიფად, საგაზაფხულოდაა ჩაცმული. **ოლღა ოკუჯავას დღიურში 14 თებერვლით დათარიღებული ჩანაწერი ამჯერად გვამცნობს:**

”ხუჯე ვაშეთი იყრებინ, ლხუბში მენი გაემზავები რეს ქაინხაი ახ ყფივა ზოვან, მუხამ, თუხი, ძვირნ რიბა. აჯბთ, ხუჯ კანკაჯები. სკი მუინება, ხუჯ ამამე ვფიხბ.”

მართლაც, ბათუმიდან დაძრული თბომავალი „თეოდორ ნეტე“, რომლის ერთ-ერთი მგზავრი გალაკტიონიცაა, 15 თებერვალს შედის სოხუმის პორტში. დიდ პოეტს აღფრთოვანებულნი ეგებებიან.

ზღვისპირა ქალაქმა იცის საპატიო სტუმრის ფასი – 35 წლის გალაკტიონს უკვე შექმნილი აქვს შედეგები. ჩამოსვლისთანავე პოეტი აქტიურად ებმება საზეიმო პროცესში. ზუსტდება სცენარით განერილი დეტალები, მონაწილეთა სია, „სან-რემოს“ მიმდებარე ქუჩებში იკვრება აფიშები (იმ სასტუმროს სიახლოვეს, სადაც სტუმრობს პოეტი).

აფიშა იუნყება, რომ 1927 წლის 2 აპრილს, შაბათს, პირველი აკადემიური თეატრის შენობაში გაიმართება „საზეიმო საღამო გალაკტიონ ტაბიძის ქ. სოხუმში სტუმრობის გამო“; რომ ის, როგორც პოეტი, „ეპოქალური მოვლენაა საქართველოში“... რომ სოხუმის ქართველი საზოგადოება მოვალეა, დაესწროს იმ პოეტის საღამოს, „საუკუნეში მხოლოდ ერთი რომ იბადება“.

ცნობისთვის: სოხუმში პირველი აკადემიური თეატრი ფუნქციონირებდა XIX ს.-ის ბოლოს აგებულ ერთ პატარა, მაგრამ პრესტიჟულ გრანდ-სასტუმროში; რევოლუციამდე სასტუმროსა და თეატრის მფლობელი იყო სოხუმში მცხოვრები პირველი გილდიის ვაჭარი, ფრანგი იოაკიმ ალოიზი.

სასტუმრო თეატრად გადააკეთეს 1921 წელს (დღეს აქ სოხუმის ჭანბას სახელობის თეატრია).



სასტუმრო «სან-რემო», საღას სტუმრობდა ბანახიონი. XX ს.-ის 20-იანი წლები. ქ. სოხუმი

საჭიროდ ჩავთვალეთ, „ილაქნის“ საიუბილეო 50-ე ნომერი გაგვეხსნა ჟურნალის დამფუძნებლისა და პირველი რედაქტორის, ფილოლოგიის დოქტორის, კრიტიკოსის – სალომე კაპანაძის ე.წ. დიდებისთვისაც განაწმენილი ზღაპრით დაგვეწყო.

ესაა სალომე კაპანაძის მიერ აწახაზილი შექმნილი ზღაპრების* ციკლის გაგრძელება. ეს უჩვეულო თავგადასავლები გზავიკლებით არის იმ კატარგისთვის (უკვე დიდებისთვისაც), რომლებიც აწახაზის ომის შემდეგ დაიბადნენ და არ იცნობენ გმობიურ კუთხეს.

ავტორის სტილია, წაროს ზღაპრადმცემულ სინამდვილეზე, ზღაპრულ პერსონაჟებთან ერთად წარმოსახვით მოგვატაროს სოხუმის სანაპირო, შეგვანადოს მის ყოველ კუთხე-კუნთულში.


„წვეთუკა“ გმირი, პანია წვეთუკა, ძალზე სუსტი რომ გვგონია, ეჭიდება ყველაზე ძლიერ საქმეს – სურს, თავის ადგილზე დააბრუნოს ომის დროს დელფინების ტყუპი ძანდაკებიდან დააარგული ერთ-ერთი დელფინი. ალბომრიულად ტყუპისცალის თავის ადგილზე დაბრუნებას სიგზოლური დატვირთვა აქვს – თითქმის მთლიანდობა ომისგან დაჩხილი აწახაზითი.

როგორც მიზღაპრე აგობს, „ყველაზე დიად საქმეებს სწორედ გულით გავშვავი აკეთებენ“.

პერსონაჟად დაგადებული წვეთუკა იმედის ის პანია სხივია, რომელსაც ასა ვეჭიდებით აწახაზითდაარგებლები.

წვეთუკა

სალომე კაპანაძე



წვეთუკა ზღვის თეთრკულულებიან ტალღას გამოჰყვა სანაპირომდე, მერე უეცრად მოსწყდა მას, ისკუპა და ვარდისფერი ოლქანდრის ყვავილზე მოადინა ზღართანი. პანუკა კარგა ხანს გაუნძრევლად იჯდა, შემდეგ გაოგნებულმა თვალეზი მოიფშენიჭა, ასე მოულოდნელად აქ როგორ ამოყყავი თავი, სულ ახლახან ხომ სხვა წვეთუკებთან ერთად მედუზების მეჯლისს ვესწრებოდიო.

– წვეთუკა, სასწრაფოდ დაბრუნდი, მზეზე აორთქლდები და მე ვეღარ გიშველი! – გამოსძახა ზღვამ და თან ტალღას დაუცაცხანა, აქაოდა, რატომ ვერ მიხედეო.

წვეთუკა გაიტრუნა, მოეწონა უცხო გარემო, ოლქანდრის ყვავილის ვარდისფერი ფურცელი თავზე ნაიხურა და უფრო ღრმად შეიყუყა.

– ერთი ამას დამიხდე! – გაბრაზდა ზღვა, – ასე რომ მოიქცეს ყველა წვეთი, ხომ დავილიე?!

წვეთუკა შეიშმუშნა, მიხვდა, რომ ზღვა გაანანყენა, ურჩობა მთლად კარგი საქმე არ იყო, მაგრამ რა ექნა, სოხუმის სანაპირო ისეთი ლამაზი იყო, ისეთი... თანაც აქედან ყველაფერი ბევრად უკეთ მოჩანდა, ვიდრე ზღვიდან.

– ცოტას გაგისეირნებ, სუუულ ცოტას და დავბრუნდები, გთხოვ! – შეევედრა წვეთუკა ზღვას.

ისე ელვარებდა წვეთუკა, იმდენი ფერი აირეკლა პატარამ, რომ ზღვას გული მოუღბა და სულ დაავინყდა მცხუნვარე სხივების ამბავი.

– ნავიდეს, ცოტა ხნით გადავმალავ ჩემს სხივებს! – გამოეეკომაგა მზე.

ვაშაა! – ოლქანდრის ყვავილიდან ამოხტა წვეთუკა, – როცა დავბრუნდები, პირველად შენ მოგიყვები ამბებს! – უთხრა მზეს, რომელმაც თვალი ჩაუკრა და გაუღიმა.

წვეთუკა ხომ ძალიან პატარა იყო და ჯერაც არ იცოდა, რომ მზეს ისედაც არაფერი გამოეპარებოდა, მით უფრო,

სოხუმის სანაპიროზე. და საერთოდ, წვეთუკამ ბევრი რამ არ იცოდა, ან საიდან უნდა სცოდნოდა?!

ჯერ ხომ ძალიან პატარა იყო და არასოდეს დაშორებია ზღვას.

* – „დელფინ ფანის თავგადასავალი“.



ოლენდრის ყვავილი, რომელმაც უკვე მოასწრო წვეთუკას შეყვარება, განზრახვას მიუხვდა:

- ოჰ, ნუთუ ვერასდროს გნახავ, სანამ შენ სოხუმის სანაპიროს მოივლი, შეიძლება, მეც დავჭკნე!
- ცრემლები გადმოყარა ყვავილმა.
- ჩემო ვარდისფერო დედოფალო, აუცილებლად დაგიბრუნდები! – რაინდული სიტყვა მისცა წვეთუკამ, ყვავილს თავი დაუხარა და ის იყო, გზის გაგრძელება დააპირა, რომ ზევიდან ვილაცის ჩრდილი ისე წამოადგა თავს, ლამის, ოლენდრის ყვავილის ვარდისფერი ფარჩა გადაფარა. წვეთუკამ მალლა აიხედა და რას ხედავს, ბელურას თავი გვერდზე მოექცია და მას ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა.
- ნამს არ ჰვავხარ, მომლაშო სუნი მეცა და გამიკვირდა, – თავი იმართლა ბელურამ, როცა მიხვდა, რომ წვეთუკა შეაშინა.
- ჰო... ჰო... ნამი არა, ზღვის წვეთი ვარ!
- აქ როგორ აღმოჩნდი, დღეს ხომ ზღვა ძალიან მშვიდია და აქამდე როგორ მოაღწიე? –ჩაკეითხა ბელურა.
- კი, ასეა, მაგრამ ზოგჯერ ტალღები ისე ცელქობენ, ისე... ხოდა, მეც ვისკუბე! – თავი მოიწონა წვეთუკამ.
- მერე, ახლა საით გაგინევია?
- აი, იმ ლამაზ შენობას თუ ხედავ? – წვეთუკამ თითი ზღვაში შეჭრილ ყავახანისკენ გაიშვირა, – იქამდე მაინც უნდა მივალწიო!
- ყავახანა „ამრამდე“?! მერედა როგორ, შენ ხომ ფრთები არ გაქვს, სკუბ-სკუპით ერთი თვე მოუნდები იქამდე მისვლას, გზად კიდე ვინ იცის... – გააფრთხილა ბელურამ, მაგრამ მერე მიხვდა, რომ გადაამლაშა და გამოსავალი მალევე მოძებნა:
- მე იქით ისედაც მივფრინავ და თუ გინდა, დამემგზავრე.
- წვეთუკასთვის ისეთი სასიხარულო აღმოჩნდა ეს შეთავაზება, რომ ბელურას ზურგისკენ კალიასავით ისკუბა, მაგრამ მაშინვე ჩამოსრიალდა და მის ფეხებთან გაიშხლართა.
- არააა, ასე არ ივარგებს, თვალთან ახლოს, ნისკარტზე აჯობებს, აქ უფრო უსაფრთხოდ იქნები!
- ურჩია ჩიტმა.

წვეთუკა ახტა, დახტა და ბელურას თვალის სიახლოვეს, ნისკარტთან ახლოს მოკალათდა. ჩიტმა შეიფრთხილა და გეზი აიღო იმ ყავახანისკენ, რომელშიც ყოველთვის ხალხმრავლობა იყო. სოხუმელებს ძალიან უყვარდათ იქ თავშეყრა. ტრიალებდა მადისაღმძვრელი ყავის სურნელი და თეთრ მოაჯირზე უამრავი თოლია დატყლაშუნობდა. რა თქმა უნდა, მათ ყავას არავინ სთავაზობდა და არც თავად ითხოვდნენ, მაგრამ პურის ნამცეცები არასოდეს აკლდათ. თოლიები ოსტატურად იჭერდნენ ნამცეცებს ჰაერში, ერთმანეთს ასწრებდნენ და ამის შემხედვარე ადამიანებს ზოგჯერ ყავაც კი უცივდებოდათ. თუმცა ქვიშაზე მოდულებული ყავა ცივიც გემრიელი იყო.

ზღვაში შეჭრილ ამ ყავახანას „ამრა“ ერქვა. მზით გამთბარ, ზღვის ჰაერით სასიამოვნოდ შეგრილებულ მის აივანზე ყოველთვის ისხდნენ გოგო-ბიჭები და თითქმის ყველა მხრიდან მოისმოდა ჯადოსნური სიტყვა „მიყვარხარ!“.





ჰოდა, ჩვენმა ბელურამ სწორედ იქითკენ აიღო გეზი. მოყაყანე თოლიებს გვერდი აუარა და „ამრას“ შესასვლელთან, დელფინის ქანდაკებასთან ახლოს დაეშვა. წვეთუკამ ეს ქანდაკება არაერთხელ უნახავს ზღვიდან და კარგად ახსოვდა, რომ აქ ოდითგანვე ტყუპი დელფინები იყვნენ, მაგრამ ახლა რატომღაც მხოლოდ ერთს ხედავდა. წვეთუკამ იქაურობა მიათვალაიერ-მოათვალაიერა, – იქნებ, მე ვერ ვამჩნევ მეორესო და ბელურას უთხრა:

– ზღვიდან აქ ყოველთვის ორი დელფინი მოჩანდა!

– მართალი ხარ, – დაუდასტურა ბელურამ, – მეორეც იყო... მაგრამ ერთ დღესაც სადღაც გაქრა. ეს დელფინი კი მარტოკა დარჩა.

– მარტო დარჩენა ხომ საშინელებაა, ზღვაში უამრავი წვეთია და ჩვენ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, თავად დიდებული ზღვაც ვერ იქნებოდა ჩვენ გარეშე! – თავი გააქნია წვეთუკამ.

– დიახ, დიახ! – დაუდასტურა ბელურამ და განაგრძო, – მეგობრების გარეშე დარჩენა მართლაც საშინელებაა. საიდუმლოდ გეტყვი, მე მინახავს,

როგორ ტირის ღამღამობით ეს დელფინი.

წვეთუკამ გაოცებისგან პირი დაალო. აბა, როგორ წარმოიდგენდა, რომ ქანდაკებას ტირილი შეეძლო და თანაგრძნობით შეათვალაიერა.

– ყოველ დღით, მზის ამოსვლამდე მოვფრინავ ხოლმე აქ და ვხედავ, როგორ მოწვეთავს მისი თვალებიდან ცრემლები. მერე მზე ამოდის, ეფერება, კოცნით უშრობს თვალებს, მაგრამ საღამოს იგივე მეორდება, – გააგრძელა ბელურამ.

წვეთუკას სიბრაღისგან თვალები აუნწყლიანდა, გულმა გამალებით დაუნყო ცემა, წარმოიდგინა, რას განიცდიდა მარტო დარჩენილი დელფინის ქანდაკება და ბელურას სთხოვა, უფრო ახლოს მიეყვანა მასთან. წვეთუკამ დიდხანს უყურა ცალად დარჩენილ დელფინს და დარწმუნდა, ქანდაკება მართლაც ძალიან მოწყენილი იყო.

– ნუ დარდობ, იქნებ, მოვძებნოთ შენი ტყუპისცალი! – ანუგეშა წვეთუკამ ქანდაკება, – ბელურაც დამეხმარება და სხვა წვეთებიც, აი, ნახავ...



დელფინმა ძლივს შეამჩნია წვეთუკა.

– რა პატარა ხარ, მაგრამ როგორი დიდი და კეთილი გული გქონია. მეც მაქვს გული, მაგრამ რახან ქანდაკება მქვია, ვერაფერ წარმოიდგინა, რომ სიყვარული შემიძლია. ოჰ, რომ იცოდე, როგორ მენატრება ჩემი ტყუპისცალი! ნახე, აქ იყო მისი ადგილი, ისე უხდებოდით აქაურობას, ახლა კი ადამიანები თითქოს ვერც ამჩნევენ, რომ ჩემ გვერდით ადგილი ცარიელია! – უთხარა ქანდაკებამ.

– ნუ გეშინია, ყველა წვეთს ფეხზე დავაყენებ, ბელურა კი ხმელეთს გადაუფრენს, არ შეიძლება, შენი ტყუპისცალი შორს წასულიყო! – დააიმედა წვეთუკამ.

– მეც ასე ვფიქრობ, – უთხრა ქანდაკებამ, – იმ დღეს, როცა ის დაიკარგა, საზარელი ხმები ისმოდა ქალაქიდან. სანაპირო ისე დაცარიელებულიყო, რომ სიზმარში მეგონა თავი. რკინის მანქანები დაგრუხუნებდნენ და ცეცხლის ალს აფრქევდნენ. იმ საშინელი ღამის გახსენებაც არ მინდა... ჰოდა, მაშინ მოსწყდა ამ ადგილს, ზღვაში ჩავარდა და გაქრა! – ცრემლები წასკდა ქანდაკებას.

– ზღვაში?! – გაუხარდა წვეთუკას, – მაშინ ზღვას უსათუოდ ეცოდინება მისი ამბავი, არაფერს დაგვიმაღავს. მას ხომ უამრავი ცოცხალი დელფინი ჰყავს და შესაძლოა, ამიტომაც ვერ შენიშნა. შენ კი თითქმის ნამდვილს ჰგავხარ.

– ეს შენ გარდა არავის უთქვამს! – ესიამოვნა ქანდაკებას.

– გესმის, რა თქვა? – უთხრა წვეთუკამ ბელურას და შეევედრა, – სასწრაფოდ წამიყვანე ზღვასთან, ყველაფერი უნდა ვუამბო!

ბელურა, რომელიც მათ საუბარს ყურადღებით ისმენდა, წვეთუკასთან ერთად სწრაფად აიჭრა ჰაერში და უეცრად, ჩიტის ნისკარტზე მოკალათებულმა წვეთუკამ იგრძნო, როგორ მოსდიოდა ბელურას თვალებიდან მლაშე ცრემლები.

– დაგიბრუნდი, მე ხომ ძალიან მიყვარხარ! – უთხრა წვეთუკამ თეთრკულულებიან ტალღას, როცა ზღვასთან მივიდა და გულაჩუყებული ჩაეხუტა, – დელფინის ტყუპისცალი უნდა მომაძებნინო, მასაც ძალიან, ძალიან უყვარს და ენატრება, ახლა ხომ მარტოა დარჩენილი!

წვეთუკამ ყველაფერი უამბო ტალღას, ტალღამ – სხვა ტალღებს და ეს ამბავი ზღვამდე მივიდა. აბობოქრდა ზღვა ერთი სურვილით, ეპოვნა ტყუპისცალი. მთელი ღამე ეძებდნენ დაკარგულ დელფინს და გამთენიისას, იქვე, „ამრას“ რკინის საყრდენ ბოძებთან ჩაძირული აღმოაჩინეს თვალცრემლიანი დელფინის მეორე ქანდაკება.

მთელი ძალით ამოიქმინა ზღვამ, ამოიოხრა, აიტაცა ქანდაკება და სანაპიროზე გამოორიყა.

და როცა დილით ადამიანები ყავის დასაღვევად მოვიდნენ „ამრაში“ და ნაპირზე დელფინის მეორე ქანდაკება აღმოაჩინეს, მაშინლა შენიშნეს, როგორ სდიოდათ ცრემლები ცალად დარჩენილ დელფინებს, თუმცა ეს უკვე სიხარულის ცრემლები იყო.

შენუხდნენ სოხუმელები, – ეს როგორ ვერ შევნიშნეთ ამდენ ხანს, ვინ უკეთურმა დააშორა ერთმანეთს ჩვენი დელფინები, ჩვენ ხომ ორივე ერთად მოგვწონდა და გვიყვარდაო.

ქალაქელებმა მაშინვე მკლავები დაიკაპინეს და ტყუპისცალი დელფინი ციმციმ დააბრუნეს იქ, სადაც იგი ოდითგანვე ამშვენებდა იქაურობას.

შვებით ამოისუნთქეს ზღვამ, თეთრკულულებიანმა ტალღებმა, ბელურამ და პატარა წვეთუკამ. ნაპირზე აღფრთოვანებას ვერ მაღავდა ოლეანდრის ვარდისფერი ყვავილი.

– მიყვარხარ! – უთხრა წვეთუკამ ტალღას, – აწი არასოდეს დაგტოვებ მარტო!

– ვიცი! – ჩაიკისკისა ტალღამ, წვეთუკა ჰაერში შეათამაშა, ნაზად დაარწია და გულში ალერსიანად ჩაიხუტა.



„ომი ყოველთვის მოულოდნელად ატყდება თავს ადამიანებს“, – წერს ალბერ კამიუ.

რუსეთის მიერ წინასწარ გამოცხადებული ომის ქრონიკის მიუხედავად, 24 თებერვალი მინც თავზარდაცმობად მოულოდნელი იყო მთელი მსოფლიოსთვის, მით უმეტეს, უკრაინელი ხალხისთვის.

წერილში „ისევ ის დღეები“ სუბმი მცხოვრები ელდარ ჯოზაძე (სუბმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი) გვიყვება, პირველივე წამებიდან როგორ რადიკალურად ცვლის ავადსახსენებელი ომი ადამიანთა ცხოვრების წესს, რა დამთრგუნველია მისი სასტიკი მანანა...

ქორეაქციონერია სუმიდან, ძალაქიდან, რომელიც დღესაც დაგომგვების ძველსა (ნანგრევებადაა ქვეული სუბმის ოლქის ულაგაზინი ძალაქებიც: ახტირკა, ლეგეინი, კანატოვი...), უშუალოდ თვითმხილველის თვალთ დასახულ იმ ადამიანურ ურთიერთობებზეა, რომელსაც ომი სულ სხვა კუთხით წარმოაჩენს ხოლმე და რომელზეც მომავალში კიდევ ბევრი რამ დაინდარება.

წერილის ავტორს დაგვაკავშირებ ძ. სუბმის (უკრაინა) ქართული კულტურის ცენტრის „მზიური“ დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა, ოჩაჩირილმა მადონა ზარანდიამ („მზიური“ პერიდიანებს 550-ზე მეტ ქართველს; მათგან უმრავლესობა აფხაზეთიდანაა), უპულიკაციის ავტორის, დედით უკრაინელი ელდარ ჯოზაძეს მამაც სოხუბელია.

ისევ ის დღეები

ელდარ ჯოზაძე

იმ დღით, 24 თებერვალს, ჩვეულებრივზე ადრე გავიღვიძე. გამთენიისას, 4 საათსა და 15 წუთზე, მამაჩემმა გაიგონა აფეთქების პირველი ხმები, რამდენიმე წუთის შემდეგ კი მის მობილურზე ზარი შემოვიდა. ბიძაჩემი გვირეკავდა, ლამის, ღრიალებდა: „ადექით, დაინყო!“

მთელმა ოჯახმა გავაცნობიერეთ ის ყველაზე თავზარდამცემი ამბავი, რაც კი შეიძლებოდა ამ ქვეყანაზე მომხდარიყო.

დაინყო ომი.

ჩემთვის ომის შესახებ მანამდეც ბევრი უამბნიათ მამასა და ბებიას, სოხუმიდან დევნილებს, რომლებმაც იმ დღეებისა და თვეების საშინელება ერთხელ უკვე იწვნიეს საკუთარ თავზე. ამჯერად ჩვენს ოჯახს თავსმოხვეული ტრაგედია ისევ უნდა გადაეტანა.

24 თებერვალი.

ეს დღე შეიძლება ყოფილიყო მშვენიერი – კარგი, მზიანი; შეხვედრები საყვარელ უნივერსიტეტში. საღამო – მშვიდი, პაემანის მოლოდინი; ორი ბილეთი ფილარმონიაში საორლანო მუსიკის კონცერტზე. ყველაფერი ეს უნდა დაგვევინყებინა.

ომის დაწყების პირველივე წუთებიდან შევუდექით საჭირო ნივთების თავმოყრასა და მათ ჩალაგებას პატარა, „გასაქცევ“ ჩემოდანში. სახლის სარდაფში ჩავიტანეთ ყველაზე აუცილებელი პროდუქტები, მოვიმარაგეთ სასმელი წყალი. ადგილობრივი მაღაზიები იმ დღით არ გაღებულა. ტელეფონით შევეხმიანე ახლობლებსა და მეგობრებს, დავუკავშირდი თანაჯგუფელებს, სათითაოდ მოვიკითხე თითოეული მათგანი.

დილის ცხრის ნახევრისთვის ქალაქის ცენტრი უკვე გადაჭედელი იყო ავტომობილებით. ადამიანები აგროვებდნენ ნივთებს, ბავშვები და ქალები ქალაქიდან გაჰყავდათ.


იმ საშინელ წუთებში გაყდერდა ინფორმაცია, რომ სუმიდან 13 კილომეტრში, გამოუცნობი ნიშნებითა და წითელი დროშებით შეუნიშნავთ რუსული ტანკები. სოციალურ ქსელში


გავრცელებული ინფორმაციით, ჩვენი ქალაქი უკვე ომის ე.წ. „ღრმა ზურგად“ ქცეულიყო. ყოველი მხრიდან მოგვიდოდა ერთმანეთზე შემზარავი, ზოგჯერ

ყალბი ცნობებიც. იყო უამრავი შეტყობინება მინიშნებებზე, რომლის მიხედვითაც

ჩვენს ქალაქზე მტერს უნდა განეხორციელებინა ავიადარტყმები.

ამავე დროს, გვთავაზობდნენ სამოქმედო გეგმას, როდის, როგორ და რა უნდა გვექნა. თანაჯგუფელებისა და ქალაქის სხვა რაიონის ნაცნობებისგან შევიტყვე, რომ ჩვენს კომისარიატებსა და ტერიტორიული თავდაცვის პუნქტებთან ზღვა ხალხი ირეოდა.





ესეც კი უკვე იმედის ნაპერწკალი იყო.

უმძიმესი იყო პირველი დღეები... გამუდმებული სროლების, დაბომბვების მიუხედავად, შეუფერხებლად მუშაობდა მოხალისეთა ორგანიზაციები: თავდაცვითი ძალები მარაგდებოდა ტანსაცმლით, საკვებით, საჭირო ნივთებით. მალევე შეიქმნა ბენზინის დეფიციტი: ბევრი მოქალაქე სანვავს იძენდა არა მარტო თავისი მანქანისთვის, არამედ მოხალისეებისთვისაც, რომლებიც ამზადებდნენ მოლოტოვის კოქტილებს, ავრცელებდნენ საინფორმაციო ფურცლებს, ადულაბებდნენ ტანკსანიანალმდეგო „ზღარბებს“ (ბევრმა რიგითმა მოქალაქემ და მოხალისემ მანამდე თავისი ახლობლები გაიყვანა სამშვიდობოს).

ჩვენგან შორიახლოს, მეზობელ ქუჩაზე, ცხოვრობს ორი ხანშიშესული ადამიანი, დედა-შვილი. დედა – 90 წელსაა გადაცილებული, ვაჟიშვილი კი, დაავადებული კიდურებით, დაახლოებით 70-ისაა. მე და მამამ საკუთარი სახსრებით მათთვის ვიყიდეთ საჭირო პროდუქტები და მივუტანეთ სახლში. მოხუცმა კაცმა ვოლონტიორებად მიგვიჩნია. როცა გაიგო, რომ მოხალისეთა ორგანიზაციიდან არ ვიყავით, ძალიან სასიამოვნო იყო მისი თვალებით გამოხატული მადლიერება.

უცნობი ადამიანებიც კი ერთმანეთს ხელს უწვდიან დასახმარებლად. **ერთხელ, როცა ქალაქში არ იყო ელექტროენერგია, სატელეფონო კავშირი, წყალი, წვედი სასმელი წყლის მოსაძებნად.** მართალია, სახლში ჯერ კიდევ გვქონდა ცოტაოდენი მარაგი, მაგრამ, რომ იტყვიან, სასმელი წყალი არასდროსაა ზედმეტი, ხოლო გამდნარი თოვლი მხოლოდ ტექნიკური საჭიროებისთვისაა ვარგისი.

ქუჩაში გავედი თუ არა, ყველა, ვინც იცოდა, სად შეიძლებოდა წყლის შოვნა, დაუზარებლად მიმასწავლა გზა წყაროსა თუ ავზისკენ. სახლიდან 900 მეტრში მივაგენი ავზს, რომლის ონკანიდან ძლივს მოწვეთავდა წყალი. საათნახევარში მხოლოდ ორ-ნახევარი ლიტრი ავავსე.

კაცმა, რომელიც თურმე იქვე ახლოს ცხოვრობდა, მის მიერ დაგროვილი წყლის ორი ვედროდან ერთი გულწრფელად, მთელი სულითა და გულით შემომთავაზა. უცნობი ადამიანი მზად იყო, სრულიად უანგაროდ სხვისთვის დაეთმო მოთმინებით მოპოვებული თავისი წილი.

საბედნიეროდ, საგანგებო სამსახურის თანამშრომელთა თავგანწირული მუშაობის შედეგად მალე ქალაქში აღდგა ელექტროენერგია და, მასთან ერთად, წყალიც.

ახლა ჩვენს ქალაქში ბევრი დევნილია ხარკოვიდან, სხვა ოლქებიდან. სრულიად უცხო ადამიანები მათ თავიანთი ბინების კარს უღებენ, თავშესაფრებს სთავაზობენ. შესაძლო საჭაერო თავდასხმების მიუხედავად, მინისაგან პირისა აღგვილ ხარკოვთან შედარებით დღესდღეობით სუმში ვითარება გაცილებით უკეთესია. ერთმა მიაბზო, როგორ გადაეფარა ხარკოველი ქალბატონი მოზარდს, რომელიც დაბომბვებისას შემთხვევით აღმოჩნდა ქუჩაში.

სიცოცხლის რისკის ფასად მოხალისეებს დაჭრილებიც გამოჰყავთ ბრძოლის ველიდან. ესაა ნამდვილი ერთიანობა და ჩვენი გამარჯვების საწინდარი!

ახლა ვხვდები, რას განიცდიდა მამაჩემი, რომელიც აფხაზეთის ომის დროს თითქმის ჩემი ტოლი იყო. უკრაინის ტრაგედია, ისევ იმ დღეებმა, ჩემში თითქოს გააცოცხლა აფხაზეთი. და ახლა მე მთელი ჩემი არსებით, მთელი ჩემი გულითა და გონებით ორივესთვის ვიბრძვი, რომ ორივე ერთად დავიბრუნო!

ჰვირფასო ყმანვილეო!

რუბრიკამ „ო, ენაჲ ჩემო“ ისევ შეგვხვდება ერთგანეთს, რომ ავჯარადაც ერთად ჩავიხედოთ, ასე ვთქვათ, „ანბანთქების“ სალექსიკონო საბანძურში.

მხოლოდ მას შემდეგ გადაფურცლეთ ეს გვერდები, როცა ერთხელაც ჩაუღრმავდებით უმდიდრესი ქართული სიტყვიერების ცალკეულ ნიშნებს და, გუნებრივია, მათ შესაბამის განმარტებებსაც.

აბა, გავიხსენოთ, რას გრძნობს უდიდესი მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი:

„არც ენის უტკბესი იქნების და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა ქვეყნისა“.

სიტყვების მეჯლისზე ბინძვით ასო-გზერა „ი“.

• ი •

იბო – დაკოდილი ცხენი (ლაფშა)

იადგარი – (სპ.) ძველ ქართულ მწერლობაში – ჰიმნებისა და საგალობლების კრებული

იადონი – იგივე ბულბული

იალალი – საზაფხულო საძოვარი (მთაში)



იანიჩაი



იაშონი

იალკიალი – იალკიალი ცაში – აქა-იქ ღრუბელი

იამანი – ძვირფასი ქვა (აყიყი)

იამბიკო – ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში – თორმეტმარცვლიანი, ურითმო ლექსი

იანიჩარი – (თურქ.) ქვეითი ჯარისკაცი თურქეთში XIV-XIX ს.ს.-ში. პირველ ხანებში იგი დგებოდა ბავშვობაში ტყვედ წაყვანილ და გამაჰმადიანებულ ქრისტიანთაგან

იაყუყუნა – იისებრთა ოჯახის მცენარე – სამფერა ია

იასპი – (სპ.) ძვირფასი ქვა მონითალო ან ჭრელი; ეშმის ქვა

იატაგანი – (თურქ.) მოკლე, მოლუნული ორპირი მახვილი

იახშიოლი – (თურქ.) ღვინის სმაში „ალავერდის“ საპასუხო თანხმობის სიტყვა



იაყუყუნა



იაღახი

იელი – მცენარე, რომელიც იზრდება ტყის პირას

იზაბელა – შავმარცვლიანი ყურძნის ჯიში, გავრცელებული გურია-სამეგრელოში; იგივე, „ოდესა“

იზმირი – ჩარხზე ხის სათლელი სადურგლო იარაღი

იკეკება – როცა ფრინველი ნისკარტით იქექავს ბუმბულიან ტანს

იკლიკანტური – ძნელად გასაგები, დახლართული, ეშმაკური
ილინჭა – (ძვ.) ჩიტის მახე, გალიის მსგავსი (საბა);
 იგივე კაკანათი
ილუნმაცია – საზეიმო განათება სხვადასხვაფრად
 (შენობების, ქუჩების)
იმკვირია – იმ კვირას



ილინჭა



იხიისუნა

ინანთი – სურნელოვანი ნელსაცხებელი
 (ვარდის წყლის მსგავსი – საბა)
ინანთეული – იგივეა, რაც პარფიუმერია
იორდასალამი – ტყის ყაყაჩო

იორლა – კარგად მოსიარულე ცხენი
ირმისენა – კლდოვანი ადგილების ბალახოვანი მცენარე
ირმისმსხლა – ბალახოვანი მცენარე წითელი ყვავილებით,
 იზრდება სიმაღლეში
ისარნა – ჭურის მსგავსი ფართოძირიანი ჭურჭელი

ისრიმი – მკვახე, უმნიფარი ყურძენი
ისხარი – ჩქარი წვიმა, ადრე მომდარებელი (საბა)
იფნარი – სადაც იფნებია, იფნის ტყე
იფშრუკება – როცა ერთმანეთში აზელილი ცომად არ იკვრება



იხაბელა

ილუმენი – მონასტრის წინამძღვარი
იყაშყაშებს – არწივის, ორბის... ყარყაში, ხმაური
იშტა – (არაბ.) მადა, სურვილი, ნდომა
იშხანი – იგივეა, რაც კალმახი, რაც გელაქნური



იხაბანი

იციალებს – იბრწყინებს, ციალს დაიწყებს
იხანი – ქობის, საბძლის სარტყელი, კოჭი, გადებული კედლების
 შესაკრავად
იხელავებს – ხელით (ანკესის, ბადის გამოუყენებლად) ითევზავებს
იხუებს – იუცხოებს, გაიოცებს

ბაფხაზაზი აფხიანი ზანგები

XIX ს.-ის II ნახევარში, როდესაც რუსეთის იმპერატორის საგანგებო ბრძანებით აფხაზეთის სამთავრო გაუქმდა (ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის აფხაზეთის სამეფოს გაუქმებას რუსეთმა ყველაზე გვიან – 1864 წელს მიაღწია) და კავკასიის მეფისნაცვლის ემისრებმა შერვაშიძეთა მთელი ქონება აღწერეს, ცნობილი გახდა ერთი მეტად საინტერესო ფაქტის შესახებ:

რომ მთიან აძიუბუასა და, ამასთან, მდინარე კოდორის სხვა მიმდებარე სოფლებშიც – ჭლოუში, ფოქვეში, აგდარაში, მერკულაში – ცხოვრობდნენ ზანგები.



აფხი-აფხაზი ბიჭუნა. 1870-იანი წლები

შავკანიან აფხაზებს ეძახდნენ თურმე „არაფებს“, რაც აფხაზურად „ზანგს“ ნიშნავს. ადგილობრივი მცხოვრებნი მათ „შავ კაცებად“ მოიხსენიებდნენ, აფხაზური წყაროები კი შავკანიანებს „აფრო-აფხაზებს“ უწოდებდნენ. **ადგილობრივთა მსგავსად, მათაც ეცვათ ჩოხა-ახალუხი, ენეოდნენ მინათმოქმედებსა და საუბრობდნენ აფხაზურად; ზოგიერთმა მეგრულიც კი იცოდა.** კოდორელი შავკანიანი აფხაზების უმეტესობა ისლამის მიმდევარი იყო, მცირე ნაწილი კი – ქრისტიანი; მათ შორის, იყვნენ იუდეველებიც.

არაფების შესახებ პირველი ინფორმაცია რუსულ პრესაში 1913 წელს გამოჩნდა. **რუსმა ეთნოგრაფმა ვეგენი მარკოვიმა გაზეთ „კავკაზში“, რომელიც კავკასიის სამეფისნაცვლის ოფიციალური ორგანო იყო, აფხაზეთში „შავკანიანი თემის“ შესახებ საკმაოდ ვრცელი ნერილი გამოაქვეყნა:**

„ჩემი ყურადღება მიიქცია ციტრუსების პლანტაციების ახლოს მდგარმა, ისლით გადახურულმა ქოხებმა... სოფლის მცხოვრებთა უმეტესობა (სავარაუდოდ, აძიუბუელთა. რედ.) შავკანიანი იყო, მაგრამ მათ აფხაზებივით ეცვათ და მათ ენაზევე მეტყველებდნენ... მგონია, რომ ზანგების აფხაზეთში ყოფნა მაინც შემთხვევითია“.

მართლაც რომ, საინტერესოა, როგორ აღმოჩნდნენ აფრიკელები აფხაზეთში?

ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ აფრო-აფხაზები XVII ს.-ში მთავარმა შერვაშიძემ იყიდა სტამბოლის მონათა ბაზარზე; აფხაზეთში მცირერიცხოვანი ეთნო-ნეგროიდული ჯგუფის გაჩენას უკავშირებენ ერთ-ერთ ლეგენდასაც: რომ თითქოს აფხაზეთის საზღვაო წყლებში ჩაძირულა ოსმალური გემი, რომელსაც შავკანიანი მონები მიჰყავდა გასაყიდად; და რომ არაფები მათი შთამომავლები არიან.

ოსმალურ, არაბულ და ვენეციურ ქრონიკებშიც დაცულია ცნობები იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მონათა ბაზრები თითქმის ყველა დიდ ნავსადგურთან არსებობდა; რომ მონათვაჭრობა მდინარე კოდორის შესართავთან იყო ორმხრივი და ა.შ.

ადიუბჟასა და სხვა სოფლებში მცხოვრები შავკანიანებით დაინტერესდნენ საბჭოთა სპეცსამსახურებიც და, როგორც წესი, ყველაფერი საქართველოს საზიანოდ გააყალბეს.

არაფები, არც მეტი, არც ნაკლები, კოლხების შთამომავლებად გამოაცხადეს; არგუმენტად კი მოიშველიეს „ისტორიის მამად“ მიჩნეული, ჩვ.წ.აღ.-მდე V ს.-ში მცხოვრები ჰეროდოტეს ერთ-ერთი ქრონიკა, სადაც ის საუბრობს კოლხთა და ეგვიპტელთა ნათესაობის შესახებ.

აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა უშიშროებამ აფრო-აფხაზების შესახებ თითქმის მთელი ინფორმაცია გაასაიდუმლოვა კიდეც. კრემლს არ სურდა, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ისტორიაში შავკანიანი მონებით ვაჭრობის ფაქტები გაესაჯაროებინა.

აქედან გამომდინარე, გასული – XX ს.-ის 50-იანი წლების II ნახევრიდან „შავი კოდორელების“ დიდი ნაწილი აფხაზეთიდან თანდათან გაქრა. სავარაუდოდ, ისინი შორეულ ციმბირში გადაასახლეს.

აფრო-აფხაზებს შორის ყველაზე გავრცელებული გვარი იყო – აბაში. ეს სიტყვა გამოიყენებოდა, ზოგადად, დასავლეთ საქართველოში შავკანიანების აღსანიშნავადაც.

„აბაში“ – მეგრულ-ლაზურ ენაზე ნიშნავდა აბისინიელს (ეთიოპიელს) და პირველად ის მოხსენიებულია მურვან-ყრუს საქართველოში შემოჭრის დროს (VIII ს.-ში).

როდესაც მურვან-ყრუს არმიის მეომრები – აბაშები (აბისინიელები) წაიღო ორმა ადიდებულმა მდინარემ, ერთ-ერთ მდინარეს ამ ფაქტის შემდეგ დაარქვეს აბაშა, მეორეს კი – ცხენისწყალი (ადიდებულმა მდინარემ შეინირა ცხენზე ამხედრებული უამრავი აბისინიელი).

როგორც აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ისტორიკოსი ჯემალ გამახარია აღნიშნავს, კოდორის მიმდებარე სოფლებსა და, ზოგადად, აფხაზეთში, აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დღესაც ცხოვრობენ არაფების შთამომავლები; მაგრამ ისინი არიან როგორც შავკანიანები, ასევე, თეთრკანიანები; თუმცა ეს უკანასკნელნი გამოირჩევიან ზანგებისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა გარეგნული ნიშნით.

და მაინც, ისტორიული წყაროები არ მიუთითებენ, ზუსტად როდის ან როგორ ჩასახლდნენ აფრიკელი ზანგები აფხაზეთში.



ადიუბჟაი აფრო-აფხაზები



ნინო მბაჩაძე და შოთა ბოგოხია

„ლამაზი სიყვარულის ლამაზი მხატვრის“ სახელი დაიმკვიდრა ცნობილმა მწერალმა საფო მგელაძემ, ქართველ „ჟორჟ სანდის“ რომ უწოდებენ. ამბობენ, რომ მის გახმაურებულ პირველ რომანს „ლიანა ლორდია“, გამოცემულს 1928 წელს, მწერლის უახლოესი მეგობარი, პოეტი ლადო ასათიანი უბით ატარებდა.

საფო მგელაძის უმცროსი ქალიშვილი – ნინო მგელაძე – იყო აფხაზეთის პირველი პროფესორი ქალი – კარდიოლოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. მისი მეუღლე – პროფესორი შოთა ბოგოხია 23 წელიწადი აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრი იყო.

აფხაზეთის ინტელიგენციას ასეთი პიროვნებები ალამაზებდნენ.

როცა ვაჟა-ფშაველას მამისთვის უთქვამთ, გაჯობა შენმა შვილმაო, გალიმებია და ენამოსწრებულად უთქვამს: ის მაშინ მაჯობებს, თუ ჩემს შვილზე უკეთეს შვილს გაზრდისო.

22 წლის გალაკტიონმა ლექსი „უსიყვარულოდ“ დაწერა 1914 წელს (ამ პერიოდში პოეტი რამდენიმე შედეგს ქმნის) და ის მიუძღვნა თავისი მასწავლებლის – რაფიელ ჩიხლაძის ქალიშვილს – რაისას. მათი სიყვარული ხანმოკლე აღმოჩნდა (ქალიშვილი გათხოვდა). ცნობილი შედეგრი „მზეო თიბათვისა“ პოეტმა დაწერა 1917 წელს და ამჯერად იგი თავის მეუღლეს – ოლია ოკუჯავას მიუძღვნა (ისინი 1916 წელს დაქორწინდნენ).

იერუსალიმში ყოველწლიურად სამი ხილული სასწაული აღესრულება: აღდგომის ღამეს ზეციური ცეცხლის გარდამოსვლა, ნათლისღებისას (19 იანვარს) მდინარე იორდანეს უკუქცევა და 19 აგვისტოს, ფერიცვალების ღამეს – თაბორის მთაზე ღრუბლის მოფენა.

1986-93 წლებში სოხუმის „დინამოში“ ბევრი ცნობილი ფეხბურთელი თამაშობდა, სულ 35-მდე სპორტსმენი. მათ შორის მხოლოდ ერთი იყო არაქართველი – სოხუმელი სომეხი, აშოტ კურგენიანი. სოხუმის დაცემის შემდეგ ქართველებთან ერთად აშოტმაც დატოვა მშობლიური მხარე. დღეს ის ცხოვრობს და მოღვაწეობს ათენში – ბერადაა ალკვეცილი საბერძნეთის ერთ-ერთ ტაძარში.

პარაგვაი (სამხრეთ ამერიკის ზღვაზე გასასვლელის არმქონე სახელმწიფო) მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც დუელი კანონით დღემდე ნებადართულია; დუელი კანონიერად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ ორივე დუელიანტი დარეგისტრირდება, როგორც სისხლის დონორი.

უკრაინის დედაქალაქი არა მარტო ისტორიული შენობებით, ციხე-კოშკებითა და უძველესი ლავრებითაა განთქმული, არამედ ულამაზესი ბუნებითაც. 1966 წელს საფრანგეთის პრეზიდენტს, შარლ დე გოლს, კიევში ყოფნის დროს უთქვამს: მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში ბევრ ბრწყინვალე პარკს გავუოცებოვარ, მაგრამ პარკში გაშენებული ქალაქი პირველად ვნახეო.

საფრანგეთიდან „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ – დიდი ექვთიმე თაყაიშვილი ხელუხლებელი განძით თბილისში დაბრუნდა 1945 წლის 11 აპრილს (უკვე სამშობლოში განძის მცველი იტყვის, ამ ყუთებს ქინძისთავიც არ დაჰკლებიაო). ბატონ ექვთიმესთან ერთად ეროვნულ განძს მცველებად გამოჰყვინენ ყოფილი ტყვეები: ნიკოლოზ მელაძე და თეიმურაზ შავდია.

„მე მხოლოდ ლეკვი ვარ ასეთი ლომის წინაშე“, – დაწერა უდიდესმა თომას მანმა ლევ ტოლსტოის შესახებ, როცა ხელმეორედ ნაიკითხა მისი „ჰაჯი მურატი“ (XIX ს.-ის 80-იან წლებში დაწერილი ისტორიული შედეგრი დაიბეჭდა მწერლის სიკვდილის შემდეგ, 1912 წელს).

საინტერესოა, რომ ავსტრალიური ფრინველის – პატარა თითისტარას აგებულების მიხედვით ამერიკელმა დიზაინერმა შექმნა ახალი თვითმფრინავი, რომელიც დედამიწის ნებისმიერ წერტილამდე დამატებითი საწვავის გარეშე აღწევს. და ეს იმიტომ, რომ თითისტარას გზაში დაშვებისა და შესვენების გარეშე შეუძლია, 12 000 კმ-მდე იფრინოს. ყოველი წლის მარტში პატარა თითისტარები ავსტრალიიდან ჩრდილოეთისკენ მიფრინავენ. ჩინეთში შესვენების შემდეგ ისინი ალასკაზე მაისში ჩადიან და იქ იბუდებენ. მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ უკან, ავსტრალიისაკენ თითისტარები შეუჩერებლად მოგზაურობენ.

ნუთუ ქართულ საზოგადოებას სჭირდება, მოვაგონოთ დიდი ქართველი და შემოქმედი - ნოდარ წულეისკირი, რომელიც 90 წლის გახდა. მწერალი და პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, კოლხი მაგულიშვილი ნოდარ წულეისკირი მისივე ანდერძით განისვენებს წერაძვე (მარნეულის რაიონი), საკუთარ უფოში, თავისივე დარგული ვაშლის ხის ქვეშ.

შავითხვაზე, ვინ არის ნოდარ წულეისკირი, მისაბ თანამოკალვებ და მემოგარბა, ცნოზილგა მწერალგა, ხელოვნგა - გურგა პატრიაშვილგა გრძანა: „თუ ვინგე იმსახურგვს უშურველ ქეგასა და ეკითგეს, თუ შეიკლგა, ერთი აღამიანი მემორის ხოტგით არ დანიღალგოს, ეს ჩემთვის ნოდარ წულეისკირიგა. თუ ვინგე უნდა ყვარგემოდა (და გამორჩეულადგე უყვარდა) ზვიად გამსახურდიგს, ეს მისი თანამემოგროლი ნოდარ წულეისკირიგა. პიროვნული სისუფთავით მე გგს მგრტო ანგარა ნყაროს თუ შევადარგებდი და გადაჭარგებული ამგვი მისხალიც არაფერი იქნემოდა. აპრიოგად გეტყვით, რომ გუნებით უკომგრომისოს, უზენოგისგან შუღამ შორსა და გვერდგე მდგომგს, არასოდგს შეგებია არანერი ჭუჭყი, არასოდგს გადაუღგამს უსამართლო ნაგვიკი. ამიტომგეც ზვიად გამსახურდიგს სიმღლის კაცად და ქართული ზენოგის ჭემგარიტ მცინოვნედ მე მივიჩნემე მხოლოდ ნოდარ წულეისკირს“.

ნოდარ წულეისკირის მიერ კალგე არაორდინალურად შემქნილი „დაუნერელი ნოველა“ ერთ-ერთი მისი გოლო ნენარემოგბია. უფრო უსუტად, ესაა ზავირი მოთხროგბა, რომელიც მისივე კარნახით ჩინდარა შვილიშვილგა, მწერლის ლიტერატურული მემოკვიდრემოგის, მართლგეც რომ, მფარველგა ანგელოგბა - თათიგ შენგელაიგა.

„ჩემში მრავალი მკვდრადშოგვილი პერსონაჟიგა, ჩემი დაუნერელი მოთხროგბისა თუ ნოველგების გმირგბი“, - უთქვამს მგვინ თათიგსთვის. ამიტომგეცაა „დაუნერელი ნოველა“ მოთხროგბის პიროგბითი სათაური. ესაა გზასაცდენილი სამი აღამიანის უჩვეულო ეკიზოდი, ესაა მწერლის მცდელოგბა, გიგლიური შემოგნებგბით შემოგბრუნგოს ცხოვეგბისკენ მის სახლში შემოგარული ქურდგბი.

თათიგ შენგელაიგა ცხოვეროგს და პედაგოგბიურ მოღვაწემოგას ენგვბ წერაქვეში, ნოდარ წულეისკირის მიერ აქ დაარსებულ სასწავლო ცანტროში. მოთხროგბა, რომელიც შეტანილია ახლანან გამოცემულ ნიგნში „მომგნებგბი ნოდარ წულეისკირგე“, მოგვანოდა ავტოგრაბ თათიგ შენგელაიგა.

„დაუნერელი ნოველა“

ნოდარ წულეისკირი

დღეგა, სინათლეგა გარეთ. შუადღე ახალი გადასულიგა. ტყესთან დგას მიტოვებული სახლი, ჩვენის მსგავსი, დაუმთავრებელი და ურემონტო, ოდონდ ერთსართულიანი.

სახლს ქურდგბი უთვალთვალგებენ რამდენიმე დღეგა.

რადგანაც სახლიდან ჩამიჩუმი არ გამოდიოდა, შევიდნენ გასაძარცვავად, დღისით-მზისით. სახლი როგორიგა თან, იცი? ერთი უბრალო ხუხულგა.

ჰოდა, შევიდნენ ქურდგბი და სახლის პატრონი შინ დახვდათ, შუა ოთახში, აი, ჩვენი სამზარეულო რომაგა, იქ, ნათურის მავთულზე ჩამომხრჩვალის და ნათურის ნაცვლად ჰკიდიგა ქერზე ჩამოკონნილებული ცხედარი.

ქურდგბგა დაინახეს თუ არა მიცვალებული, შეცბნენ.

- რა ვქნათ ახლგა? - კითხულოგბს ერთი.

- ნავიდეთ აქედან, სანამ დროგა და ახალი სახლი მოვეძებნოთ გასაძარცვად! - თქვგ მემორემ.


სულ სამი მძარცველიგა. დგანან დაბნეულგბი ოთახის შუაგულში, სახლის პატრონი კი ქერზე კიდიგა ჭალის მავივრად.

- კი, მავრამ, ამას ოქრო ჰქონდა, მოვეძებნოთ! - თქვგ მესამე ქურდგმა.

- ცხედარი არ ჩამოგხსნათ? - იკითხგა პირველგმა.

- თუ ჩავცვივდით, იცოდეთ, ამ კაცის მოკვლგს ჩვენ დავგვებრალგებენ, მერე მიდი და ამტკიცე, რომ არ მოგვიკლავს, აჯობგბს, ხელი არ ვახლოთ! - თქვგ მემორემ.





– თქვენი არ ვიცი, მე კი აქ გამჩერებელი აღარ ვარ! – თქვა პირველმა და სახლიდან გავიდა.

დარჩნენ ორნი და შეუდგნენ ოქროს ძეხვას. ყველაფერი გადააქოთეს და ვერაფერი ნახეს მსგავსი იმისა, რის პოვნასაც ელოდნენ. ამასობაში გარეთ გასული შემობრუნდა:

– ნახეთ რამე?

– ვერაფერი! – მიუგო ერთმა.

– ვერ ფული, ვერც ოქრო, ვერც რამე ღირებული, – თქვა მეორემ. ჩამომხრჩვალნი კაცი ჭერზე ჰკიდია, მის სახლში კი სამი მძარცველი დაბორიალობს.

– ეგება, ვიპოვო მაინც რამე მოსაპარი, – თქვა უკან შემობრუნებულმა, – და რაც იქნება, იქნება, დაგვაბრალონ, თუნდაც, მისი მკვლელობა!

– ჰოდა, სახლში რომ შემოდიხარ ჩემს გასაქურდად, მე ვერაფერს მომპარავ!

– შეაგება პასუხად შემოსულს მეორემ, ფერმიხდილმა ქურდმა, ცხედარს რომ შეჰყურებდა.

– გეუბნება ამას ჩამომხრჩვალნი სინდისი, ამ სახლის უფროსი, – დაუდევრად დაამატა გვერდით მდგომმა.

– მოიცა რა, ეს თუ ჩემი ჩამომხრჩვალნი სინდისია, რატომ არ გამკიცხა? – იკითხა გაფითრებულმა ქურდმა.

– მკვდარი როგორ გაგკიცხავს? – ჰკითხა ქირქილით შემობრუნებულს, – ვერი აღარ გადევს სახეზე. რა იყო, შე, კაცო, მიცვალეებული არ გინახავს?

– მიყურებს, დაჟინებით მაკვირდება ზემოდან, – მიუგო მეორემ, – ეგება, მკვდარი არც არის, ჰა?..

მერე ერთმა ქურდმა გადაწყვიტა, ცხედარი ჩამოეხსნა.

– მე მიცვალეებულს ხელს ვერ მოვკიდებ! – თქვა მეორემ და გავარდა გარეთ, თუმცა მალევე შემობრუნდა. მანამდე კი ცხედარი რის ვაი-ვაგლახით ჩამოხსნა ორმა.

– ჯერ კიდევ თბილია ეს შეჩვენებული! – თქვა ერთმა და მავთულის ყულფი ჯაყვით გადაჭრა.

მეორემ, ჩვევისამებრ, ჯიბეები ამოუტრიალა და ერთი ჯიბიდან ფურცელი ამოიღო:

– ხედავ, კაცო, წერილიც დაუტოვებია თურმე?!

– ვისთვის, ნეტა, მარტოხელა არ იყო? – იკითხა მეორემ.

„არ დავიცავი მოყვასი, ასე დავკარგე ღვთის სახე, არ დავიცავი სიმართლე, ასე დავკარგე ღვთის სიტყვა და ასე ჩამოიხრჩო თავი სინდისმა!“

– ამოიკითხა ქურდმა ეს სიტყვები ხმამაღლა და გარკვევით.

– მოიტა აქეთ ეგ ფურცელი, თუ ძმა ხარ!

„მე მქვია სინდისი, მე ვარ ამ სახლის უფროსი!“ – ასე ეწერა ფურცლის ნაგლეჯის ბოლოს.

ქურდებმა ერთმანეთს გადახედეს:

– ვითომ ეს ახლა ჩვენ გვეუბნება ამას თუ სხვას? – იკითხა ერთმა.

პულსი მოუსინჯა მეორემ.

– აუ, ჩემი, ცოცხალია, ტო!

– რა გინდოდა, კიდებულიყო ჭერში თავისთვის! – გამოცრა მეორემ.

მესამემ ცივი წყალი გადაასხა ნახევრად მკვდარს.

– ახლა რალა ვქნათ?

– დაველოდოთ ბარემ და კიდევ დაგვიჭერს მერე ყველას! – თქვა ქურდმა და გარეთ გავარდა.

ასე კაი ერთი საათი იხეტიალა სახლის ირგვლივ, ბოლოს მაინც დაბრუნდა. შემოდგა თუ არა ფეხი სახლში, განაცხადა:

– ახლა კი ვიცი, რაც უნდა ვქნათ, გავკოჭოთ, ასე აჯობებს და პირიც ავუკრათ!

სახლის უფროსი კი მაგიდასთან იჯდა უკვე.

– ჩვენ, ბიძაჩემო, ისე შემოვედით, – უთხრა გვერდით სკამზე ჩამომჯდარმა ქურდმა.

მხცოვანმა სახლის უფროსმა მაგიდაზე დაგდებული ფურცელი სამად გახია და თითოეულზე ნაანერა რალაც.



„შეგებრალა მოყვასი, არ დაგიკარგავს ღვთის სახე, მაშინ მე ამ სახლში მიპოვია სინდისი, ოქროს ვეძებდი და მიპოვია. აბა, ან რა უნდა დავკარგო სინდისი და მეყვარება მოყვასი. აქ სინდისი ვიპოვე, სხვაგან უნდა ვეძებო მოყვასი და ეს მითხრა მოყვასმა!“

ეს ფურცლის ნაგლეჯი სათნოსახიანმა სახლის უფროსმა გაუწოდა ორ ქურდს. მესამესაც გაუწოდა მსცოვანმა მსგავსი ფურცელი, სახლში ბოლოს შემოსულს.

„ამ სახლიდან ხელცარიელი მიდიხარ, ვერაფერი გიპოვია. სხვაგან მოგიწევს სინდისის ძებნა მაშინ და ეს გითხრა სინდისმა, რომელმაც თავი ჩამოიხრჩო შენს სახლში, რომელიც უნდა ყოფილიყო საცხოვრებელი მისი და არის გვამი შენი, ჩამოიხრჩო თავი, ვინაიდან არ გესმოდა მისი ხმა“.

სამეულმა მალევე ჩაიკითხა მათთვის განკუთვნილი მინაწერები და გაკვირვებულებმა შეხედეს სახლის უფროსს.

– მიყურეთ ახლა ბოროლებივით! აბა, შენ, ბოლოს შემობრძანებულო, ერთი სამზარეულოში შემოიხედე! – თქვა სახლის უფროსმა.

ქურდიც დაემორჩილა, შეიხედა მეორე ოთახში და სახლის პატრონი ისევ ჭერზე არ ჰკიდია?!

– ვერ გავიგე, შე, კაცო, ეს კაცი ისევ რატომ ჰკიდია, აგერ აქ არ ზის? ვინ ხარ, კაცო, შენ?

– ან რა შეგიძლიათ, დამტოვოთ, ახალგაზრდებო! – თქვა ღიმილიანად სახლის უფროსმა.

სამივე მძარცველი გაეცალა იქაურობას. დუმილით გაიარეს კარგა მანძილი.

– მე მაინც ვერ გავიგე, კაცო, ის კაცი რატომ ეკიდა ისევ ჭერზე? – თქვა ქურდმა.

– მე კი გავიგე, მარა... – მიუგო მეორემ.

– ეგ სახლის უფროსი, აბა, მართალი კაცი ყოფილა! – თქვა ქირქილით მესამემ და მეგობარს მხარი გაჰკრა, – და ვისთვის ვინ არ არის სახლის უფროსი?

– ჭკუის სასწავლებელი კი იყო ეს ჩვენთვის, გეუბნები, რა! – მიუგო მეგობარმა.

– მე არაფერი მჭირს საიმისო, ვინმემ რამე მასწავლოს საერთოდ! – თქვა გაღიზიანებით ქურდმა, – უბრალოდ, ვერა და ვერ გავიგე, ის კაცი ისევ რატომ ეკიდა, კაცო!

– ჰოდა, მაშინ კიდო კაი ხანი ვერ გაიგებ მაგას! – უთხრა მეორე ქურდმა.

* * *

გაბუაშ თხრობა დაასრულა და დადგა.

– გაბუ, მაგარი ნოველაა, დაგანერა, იძნეა?!

– არაა საჭირო, თათუჩა! ნახევარი საპარტოველო ვერ გაიგებს, ის კაცი დღემდე რატომ ჰკიდია, ის კაცი, რომელიც სახლის უფროსია და ჰქვია სინდისი. ასეთია ვითარება, თათუჩა, და ასეთია ეს ჩემი დაუნერავი ნოველა.



იბერიულ-კავკასიურ ენაზე მოსაუბრე ხალხების მიმართ ქართულ სახელმწიფოს ოდითგანვე თავისი სულიერი მისია ჰქონდა: ის, თავადაც თვითმყოფადი, ატივის სცემდა ამ ხალხების ნაციონალურ ღირსებას. ცნობილია, რომ ქართული მონარქიის სახელმწიფოს ვიწროგანგებულ მყოფი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები (XI-XIV სს.) ინარჩუნებდნენ თავის ნაციონალურ კულტურას, ტრადიციებს, ისტორიულად დადგენილ საზღვრებს.

ნაგაყოფლოებით იყო აღმსარებლობაც, ქრისტიანობის გავრცელება უფრო მისიონერულ ხასიათს ატარებდა. ამ ფონზე საინტერესოა ჩრდილო კავკასიაში დღემდე შემორჩენილი ქართული ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები და ძეგლები, ასომთავრული წარწერები.

ისტორიულ მიცენიერებათა დოქტორის, სოსუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიცენიერ-თანამშრომლის ვახტანგ ჭანიას წერილი „საერთოკავკასიური იდეა – „ერთიანობა მრავალფეროვნებაში“ გვიამბობს ჩვენი და იბერიულ-კავკასიურ ენაზე მოსაუბრე ხალხების საერთო ისტორიაზე, ქართულ ტოლერანტობაზე, გვასახელებს, რომ დღესაც აქტუალურია „საერთო კავკასიური სახლის“ იდეა: ძალა ერთიანობასა და მრავალფეროვნებაში.

საერთოკავკასიური იდეა – „ერთიანობა მრავალფეროვნებაში“

ვახტანგ ჭანია

საქართველოს სულიერი მისია მჭიდროდა დაკავშირებული, უფრო ზუსტად კი, განუყოფელია „საერთოკავკასიური სახლის“ (იბერიულ-კავკასიურ ენებზე მოსაუბრე ხალხები) იდეასთან.

XI-XIV სს.-ში ჩრდილოეთ კავკასია ქართული სახელმწიფოს ნაწილი იყო. თუმცა იქ მცხოვრები ხალხების მიმართ სამეფო კარი არასოდეს ატარებდა ძალადობრივ პოლიტიკას.

მათთან დამოკიდებულებაში ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური კურსი იყო მუდამ კეთილმოსურნე: ეს იყო არა ძალდატანებითი გაქართველება, არა იბერიულ-კავკასიურ ენებზე მოსაუბრე სხვადასხვა ეთნოსის ასიმილაცია, არამედ საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესებისა და სულიერი ფასეულობების გათვალისწინებით კავკასიელ ხალხთა გაერთიანება იდეთ: „ერთიანობა – მრავალფეროვნებაში“.

საუკუნეთა მანძილზე (XI-XIV სს.) ქართულ სახელმწიფოს არ დაურღვევია ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ტერიტორიული მთლიანობა; იბერიულ-კავკასიურ ენებზე მოლაპარაკე ხალხები საქართველოს შემადგენლობაში ისტორიულად ჩამოყალიბებული თავიანთი საზღვრებით შედიოდნენ.



ლათუნას ეკლესია. XI ს. ლაუნასანი

ქართული სახელმწიფოსათვის უცხო იყო მთის მოსახლეობის „ეთნიკური განახლება“ – დეპორტაცია, მათი იძულებით ჩასახლება საქართველოს შიდა ან სასაზღვრო ზოლებში.

მიუხედავად იმისა, რომ XI-XIV სს.-ში ჩრდილოეთ კავკასიაში ქართული ეკლესია ავრცელებდა ქრისტიანობას, ეს პოლიტიკაც იყო არა ძალდატანებითი, არამედ, ძირითადად, ატარებდა მისიონერულ ხასიათს.

XIV ს.-ის ანონიმი ისტორიკოსის (ჟამთააღმწერლის) ცნობით, XIII ს.-ში ქართველი საეკლესიო მოღვაწეები, ბელაქნელი (ბელაქანი – ისტორიულად საქართველოსა, დღეს კი აზერბაიჯანის ტერიტორია) ჰიმენ სალოსი და ანტონ ნაოხრებლის-ძე ქრისტიანობას ავრცელებდნენ დაღესტანში (ჩრდილოეთ კავკასიის 7 რესპუბლიკას შორის ყველაზე დიდი):

„ხოლო ამათვე ჟამთა ბრწყინვიდა პიმენ სალოსი, რომელ გარეჯით წარმოვიდა და დაიმკვიდრა ბელაქანსა, ქუაბსა რასმე, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰვიან სარწმუნოებასა ქრისტესა. ამას თანა ბრწყინვიდა დიდცა იგი მოლუანე ანტონი, ნაოხრებელის-ძე, ნათესავით მესხი“.¹

სინას მთის ქართულ მონასტერში (ეგვიპტე) შემონახულ ხელნაწერში დაცულია ფრიად მნიშვნელოვანი ცნობა იმის შესახებ, რომ XIV ს.-ში ხუნძახში (იგივე ლუნძახში) იჯდა „ლუძელი კათალიკოსი ოქროპირი“.²

ლუნძელი კათალიკოსი ოქროპირი, იგივე ხუნძახის მიტროპოლიტი, XIV ს.-ის მოღვაწეა. ქართულ საისტორიო წყაროებში ხუნძეთი დღევანდელი ავარიის (მთიანი დაღესტანი) სახელწოდებაა.

ქრისტიანული ბიზანტიისა და რუსეთისაგან განსხვავებით, იბერიულ-კავკასიურ ენებზე მოსაუბრე ხალხებისადმი ქართული ეკლესიის პოლიტიკა არასოდეს ყოფილა ძალდატანებითი.

მიუხედავად იმისა, რომ XI-XIV ს.ს.-ში ჩრდილოეთ კავკასიაში ინტენსიურად ვრცელდებოდა ქართული ენა და დამწერლობა, ამ პროცესს არ გამოუწვევია მთის ხალხთა ენობრივი ასიმილაცია.

მეტიც: ცენტრალურ დაღესტანში აღმოჩენილია ქართული და ქართულ-ხუნძური წარწერები (ხუნძები, იგივე ავარები – დაღესტნის ყველაზე მრავალრიცხოვანი ტომი), რომლებიც დათარიღებულია XIII-XIV ს.ს.-ებით.³

რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით ეს წარწერები მნიშვნელოვანია:


1. ქართულ, ხუნძურ და ხუნძურ-ქართულ ენებზე შესრულებული ტექსტები, ასომთავრული და ხუცური დამწერლობით, აღმოჩენილია დაღესტნის სამ სოფელში: ჰალასში, ტადრალში და ურადში.

ტექსტები, ძირითადად, ქრისტიანული შინაარსისაა. რელიგიური თემატიკის ქართული ტექსტები ადასტურებს, რომ XIII-XIV ს.ს.- ში ცენტრალურ დაღესტანში წირვა-ლოცვა, ძირითადად, აღესრულებოდა ქართულ ენაზე.

2. წარწერები მოწმობს იმ რეალობასაც, რომ ის განკუთვნილი იყო ადგილობრივი, ე.ი. ხუნძურ ენაზე მოლაპარაკე მრევლისთვის.

„ამჟამად, რომ ცენტრალურ დაღესტანში გაკეთებული ქართულ-ხუნძური წარწერა მკითხველად გულისხმობს არა მარტო (და არა იმდენად) ქართველს, არამედ ხუნძს, რომელმაც იცის (ან ივარაუდება, უნდა შეისწავლოს) ქართული ანბანი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხუნძური სიტყვების ქართული ასოებით წერას ყოველგვარი აზრი ეკარგება. ასეთი კონტექსტი ქართველ მისიონერთა იქ მოღვაწეობას გვაგვარაუდებინებს“.⁴

3. ხუნძურ-ქართულ ენებზე შესრულებული ტექსტები ცხადყოფს, რომ ქართული კულტურის მესვეურნი, მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურნი ანგარიშს უწევდნენ სხვა ხალხების ნაციონალურ კულტურას. ეს იყო წინაპირობა იმისა, რომ ქართული დამწერლობის საფუძველზე შექმნილიყო ხუნძური ანბანი (და არა მარტო ხუნძური).




სამონასტრო ჯოჯოხეთი სინას მთაზე. IV-VI ს.ს. პეპინოზი

1 – „ქართლის ცხოვრება“.

2 – ივ. ჯავახიშვილი. „სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“.

3 – არნ. ჩიქობავა. „ქართულ-ხუნძური წარწერა XIV ს.-ის დაღესტნიდან“.

4 – ტ. გუდავა. „ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დაღესტნიდან“.



სუმბა-ახის ხელნაწილის ანთონი ხელნაწილი.
X-XI ს.ს. ნაწილი

4. ხუნძურ და ქართულ-ხუნძურ ენებზე შესრულებულ ტექსტებში იკითხება ადგილობრივი (ანუ ხუნძური) წარმოშობის წმინდანების სახელები: სარკელი და ოყო.

ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ქრისტიანობა ღრმადაა გამჯდარი ადგილობრივ მოსახლეობაში.⁵

ქართული დამწერლობის ძეგლები აღმოჩენილია ჩეჩნეთშიც და ინგუშეთშიც. ინგუშეთის ტერიტორიაზე არსებულ ტყობა-ერდის ეკლესიის ერთ-ერთ ქვაზე ამოტვიფრულია ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერა, სადაც ნახსენებია XI ს.-ის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკი.

2021 წელს, ჩეჩნეთში, კერძოდ, იტუმ-კალინსკის რაიონში აღმოჩენილ ქვაზე ასომთავრული შრიფტით დაწერილია ტექსტი, რაც ამ რეგიონში ქართველ მისიონერთა ინტენსიურ მოღვაწეობაზე მიუთითებს.

ქართული ასომთავრული წარწერა, სავარაუდოდ, ვაინახური⁷ კულტურის ნიმუშია. აქვე ნაპოვნია თიხის დოკებიც, რომლებზეც ასომთავრული წარწერით იკითხება ჩეჩნური სახელები.

ამრიგად, ჩრდილოეთ კავკასიაში ქართული ქრისტიანული ეპარქიების არსებობა, ქართულ და ქართულ-ხუნძურ ენებზე, ქართული ასომთავრული ანბანით შესრულებული ტექსტები ცხადყოფს, რომ ქართული სამეფო კარი, ქართული ეკლესიისა და კულტურის ამაგდარნი ყოველმხრივ ცდილობდნენ კავკასიის მთის ხალხთა ეროვნული თვითმყოფადობის, მათი ენებისა და არაერთი დიალექტის **(დღესდღეობით მარტო დაღესტანში სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე 14 ენა)** შენარჩუნებასა და განვითარებას.

ქართულ-კავკასიური ურთიერთობები ხასიათდებოდა მჭიდრო ეკონომიკურ-პოლიტიკური კავშირებით, კულტურულ-საგანმანათლებლო თანამშრომლობით. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთთან განსაკუთრებული დამოკიდებულებით მაინც უფრო დაღესტნელები და ინგუშები (ისტორიული დურძუკები) გამოირჩეოდნენ.

შემორჩენილი ტრადიციით, დიდოელთა (დაღესტნელთა) ერთი ნაწილი თავის მთავარ დაღესტანულზე თუშეთში გადმოდიოდა და იქ ადგილობრივებთან ერთად ზეიმობდა.

მიუხედავად ირანელების, არაბებისა და თურქ-სელჩუკების მიერ არაერთგზის განხორციელებული ექსპანსიისა, სხვადასხვა წყაროს მიხედვით, დაღესტნელები და ინგუშები საქართველოზე ორიენტირებულ ძალად მიიჩნეოდა. ამის ტენდენცია ჯერ კიდევ ფარნავაზის დროიდან დასტურდება (დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს პირველი მეფე. ჩვ.წ.აღ.-მდე III ს.), რომელსაც ინგუში ცოლი ჰყავდა.

ფარნავაზი დაღესტნელ და ინგუშელ ხალხებთან ერთად იბრძოდა დამპყრობთა წინააღმდეგ.



ქვაზე ამოტვიფრული ანთონი ასომთავრული წარწერა.
XI ს. ჩაჩნეთი (იბა-ხანის ხაიონი)

ასეთი ჰუმანური და შემწყნარებლური პოლიტიკა პოზიტიურად განაწყოდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს მოძმე ქართველი ერისადმი, ჩვენი სახელმწიფოსადმი და, შესაბამისად, ხელს უწყობდა „საერთოკავკასიური შეგნების“ ჩამოყალიბებას.

5 – შაჰბან ჰაფიზოვი. „ქართული, ქართულ-ხუნძური და ხუნძური წარწერები ხუნძეთში“.

6 – ამ ხელნაწერის ფოტო (3 გვერდის ფრაგმენტი) მეცნიერ-თანამშრომელმა ლ. სემიონოვმა ვლადიკავკაზიდან გაუგზავნა ა. შანიძეს.

7 – იგივე ჩეჩნები, ქისტები, ლიღვები, დურძუკები.

ჯ ი თ ხ ე ც

ცნობილია, რომ დიდმა პოეტმა დავით გურამიშვილმა თავისი უკვდავი „დავითიანი“ შექმნა უკრაინაში. მანამდე კი, 1741 წელს, მან მეფე ვახტანგ VI-ის ამაღლის სხვა ქართველებთან ერთად ქალაქ მირგოროდის განაპირას მიიღო მამული და იქვე დაფუძნდა.

235 წლის წინ, 1787 წელს უკრაინის ქალაქ კრემენჩუკში ჩავიდა ერეკლე II-ის ვაჟი – მირიან ბატონიშვილი. შეიტყო რა ამის შესახებ, დავით გურამიშვილმა სასწრაფოდ მოაწესრიგა თურმე თავისი ხელნაწერები და თვითონაც კრემენჩუკში ჩავიდა.

უკვდავი წიგნის „დავითიანის“ ერთადერთი ხელნაწერი პოეტმა სწორედ მირიან ბატონიშვილს ჩააბარა.

იმასაც ამბობენ, ბატონიშვილს ერთხელ მდინარეშიც კი ჩავარდნია მისთვის მიბარებული ლიტერატურული განძი, რომელიც ძლივს გადაურჩენია.

„დავითიანი“ სრულად დაიბეჭდა 1870 წელს, თითქმის საუკუნის შემდეგ – ცნობილი მოღვაწეების პეტრე უმიკაშვილის, გიორგი წერეთლისა და ნიკა ბერძენიშვილის თაოსნობით.

აქვე შევეხებით კიდევ ერთ საინტერესო, მაგრამ ნაკლებად ცნობილ ფაქტს: **დავით გურამიშვილის ხელით გადათეთრებულ „დავითიანთან“ ერთად (ის დღესდღეობით დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში) წარმოდგენილია პოეტის ორი პროექტი, ორი გამოგონება, რომელიც ასეა დაუსათაურებელი: „მოხაზულობანი“.**

წამრომში წარმოდგენილია გურამიშვილის გამოგონებული წყლის სარწყავი მანქანისა და, აგრეთვე, წყლის მექანიზებული წისქვილის ზოგადი სქემები (მათ თან ახლავს პოეტისა და გამოგონებლის – დავით გურამიშვილის მოკლე განმარტებითი ბარათიც).

დავით გურამიშვილი გარდაიცვალა 230 წლის წინ, 1792 წელს, ქ. მირგოროდში. აქვეა მისი საფლავიც და ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმიც. ქართველი პოეტის სახელს ატარებს ქალაქის ერთ-ერთი ქუჩა, ბიბლიოთეკა და სკოლა. უკრაინაში გამოცემულია ფულის ერთეულიც დავით გურამიშვილის გამოსახულებით.



ფხაბაშაი «დავითიანიდან».
ჯაშოხის ხელნაწერი

ჯ ი თ ხ ე ც

ნაკლებად ცნობილი უკრაინელი მწერლის – იური ბუდიაკის ბიოგრაფია საგულისხმო გახდა ერთმა ძალზე საინტერესო ფაქტმა.

ეს მოხდა სამხრეთ აფრიკაში, ანგლო-ბურების ომის დროს, 1899 წლის 15 ნოემბერს.

20 წლის იური ბუდიაკი მაშინ თავისი პატარა რაზმით ამ ომში ინგლისელების წინააღმდეგ იბრძოდა. ახალგაზრდა მეომრები თავს დაესხნენ ჯავშანმატარებელს, რომელსაც გადაჰყავდა ინგლისელი მეომრები. ისინი თურმე ჩამოაგდეს ვაგონებიდან და იქვე დახვრიტეს.

მათ შორის გადარჩა მხოლოდ ერთი ინგლისელი, რომელსაც იმ დღეს ბუდიაკის ბრძანებით სიცოცხლე შეუნარჩუნეს. სიმპათიური ყმანვილი თურმე იმით გამოირჩეოდა, რომ იარაღის ნაცვლად ხელში ეჭირა ბლოკნოტი, ჯიბეში კი ედო ჟურნალისტის სავიზიტო ბარათი.

როგორც გაირკვა, ის იყო მაშინ ლონდონის „The morning post“-ის დამწყები სამხედრო კორესპონდენტი, მომავალში კი ცნობილი პოლიტიკოსი და ინგლისის პრემიერ-მინისტრი – უინსტონ ჩერჩილი.

ახალგაზრდა უინსტონმა თავისი მხსნელი დაპატიჟა ლორდი მამის ციხე-კოშკში. ჩერჩილებმა მადლიერების ნიშნად ბუდიაკს ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლების საფასური გადაუხადეს, გაამგზავრეს ამერიკაშიც.

იური ბუდიაკი გარდაიცვალა 1943 წლის 28 სექტემბერს, გერმანელების მიერ ოკუპირებულ კიევში.



უინსტონ ჩერჩილი.
1899 წლის 15 ნოემბერი

სიამაყით აღვნიშნავთ, რომ უზულისკაცია მოგვანოდა ცნობილმა ქართველმა ენათმეცნიერმა და აფხაზოლოგმა, დოქტორმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა, 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორმა თეიმურაზ გვანცელაძემ. ამასთან, ის არის მისივე ინიციატივით დაარსებული აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის დირექტორი, გამოსცა „ქართულ-აფხაზური ლექსიკონი“; თარგმნის აფხაზური და აზერული ენებიდან.

„სიყვარული არ იკარგება“ – ასე ჰქვია თეიმურაზ გვანცელაძის წერილს, სადაც აღწერილია აფხაზეთში მისი სტუმრობის რამდენიმე ეპიზოდი. მოგონება სავსეა სიტუაციით და სიყვარულით; ავტორი აცოცხლებს გასული საუკუნის 70-იანი წლების აფხაზეთს, თვალწინ გვიშლის აფხაზური სოფლების ულამაზეს ბარემოს, გვაცნობს ადგილობრივი ხალხის ცხოვრების წესს, განთქმულ აფხაზურ სტუმართმოყვარეობას. და ეს ყველაფერი არცთუ შორეულ წარსულში ხდება, როცა ჯერ კიდევ ღრმად არ გაუღვამს ფეხი რუსულ გავლენას, არ იბრძობა სეპარატისტული განწყობები; აფხაზებს ჯერაც ჯანსაღი ურთიერთობა აკავშირებდა ქართველებთან, თავი მოსწონთ იმით, რომ საუბრობენ და წაიკნენ ქართულად.

თეიმურაზ გვანცელაძის მონათხრობი გვარწმუნებს, რომ მოწოდებითა და სიყვარულით ყველაფერი დაიძლევა, მით უმეტეს, შესაძლებელია იმ ხალხის ენის სწავლა, ვისთანაც ერთად ცხოვრობ და რომელიც შენი ძველი ნაწილია.

სიყვარული არ იკარგება

თეიმურაზ გვანცელაძე

აფხაზურ სოფლებში სტუმრობის ორი ეპიზოდი


იმერეთში დავბადე და გავიზარდე. აფხაზური ენა სტუდენტობამდე არასოდეს გამეგონა, არც აფხაზეთში ვიყავი ნამყოფი, ნაცნობებში აფხაზიც არავინ მყოლია. როცა 1969 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური ენების განყოფილების სტუდენტი გავხდი, მალე გავიგე, რომ თურმე ეს ენაც უნდა გვესწავლა 14 სხვა ენასთან ერთად.

თანაც, ჩვენი ლექტორი იქნებოდა დიდებული პიროვნება, უმშვენიერესი ქალბატონი და აფხაზური ენის უდიდესი მკვლევარი, აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე (1911-2007 წ.წ.). მართლაც, ასე მოხდა: 1970 წლის სექტემბრიდან 1971 წლის ბოლომდე, 3 სემესტრის განმავლობაში ვისმენდი ამ ენის კურსს.

ქალბატონი ქეთევანი ისე საინტერესოდ გვასწავლიდა ამ ენას, რომ კავკასიური ენების განყოფილების კურსდამთავრებულთა უმრავლესობას ჰქონდა სურვილი, განეგრძო აფხაზური ენის შესწავლა ასპირანტურაში (ასპირანტურა მაშინ სწავლის უმაღლესი საფეხური იყო).

ლექციებზე იგი არ იფარგლებოდა მხოლოდ ენის შესახებ საუბრით, გვიხსნიდა აფხაზთა ადათ-წესებს, ქცევის ნორმებს, გვაცნობდა ხალხურ თქმულებებს, ანდაზებს, ლექსებს, ადარებდა მათ ქართულთან. მეორე სემესტრის ბოლოს მეორე გამოცდა ჩავაბარეთ ქალბატონ ქეთევანს და მალე შევიტყვეთ, რომ იმ ზაფხულს 6 წარჩინებული სტუდენტი უნდა გაეგზავნათ აფხაზეთის რომელიმე აფხაზურ სოფელში ენის შესასწავლად, ტექსტებისა და აფხაზური სიტყვების ჩასაწერად. სიაში მეც ვიყავი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ასე მოვხვდი პირველად აფხაზურ გარემოში – ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუში, სადაც თითქმის ერთ თვეს დავყავით სტუდენტებმა: ცირა გოგოჩიშვილმა, ნათელა მაღლაკელიძემ (ამჟამად პროფესორია), ნაირა ნაჭყებია, თამაზ სიმონიამ, როსტომ ფარეულიძემ (ისიც პროფესორია) და მე. დაუვინყარი იყო ამ სოფელში ყოფნის პირველივე დღე. როცა სოფლის მესვეურებს მივაკითხეთ ბინის საკითხის მოსაგვარებლად, 20-მდე კაცმა მოიყარა თავი და ატყდა დავა, არა, მე წავიყვან ყველას და არა – მეო.



ბოლოს ერთმა თქვა, „ასე არ ივარგებს, ერთ ოჯახში თუ იქნებიან, ერთიმეორეს ქართულად დაელაპარაკებიან და ენას ვერ ისწავლიან. აჯობებს, ცალ-ცალკე იყვნენ“-ო. ასეც მოხდა.

მე მოვხვდი სივარნა და ბაბუსია წვიშების ოჯახში, რომლის წევრებთან ურთიერთობა მერე მხოლოდ აფხაზეთის ომის დროს არ მქონია, დღეს კი სოციალური ქსელების წყალობით ყოველდღე გვაქვს კავშირი.

მაშინაც და შემდეგაც ყოველ ჩასვლაზე წვიმები შვილივით მეპყრობოდნენ. როგორც კი ოჯახის რომელიმე წევრი რუსულად მეტყოდა რამეს, სივარნა შვილებსა და შვილიშვილებს ტუქსავდა, აფხაზურად ვლასპარაკეთ, ეგ აქ რუსულის სასწავლად არ ჩამოდისო.

ერთხელ ღამით ავად გავხდი. სივარნას გულმა უგრძნო, შემოვიდა და როგორ ხარო, ჩემად მკითხა (თუკი დაძინებული აღმოვჩნდებოდი, არ გავველიძებინე). როცა გაიგო, ცუდად ვიყავი, წამლები დამალევინა და მთელი ღამე სასთუმალთან მეჯდა, თან ჩემი ხელი ეჭირა და მამხნევებდა. ამის დავიწყება როგორ იქნება!

მეორე ამბავი გუდაუთის რაიონში მოხდა. უკვე აფხაზურად ვლასპარაკობდი, როცა ერთი თვით ჩავედი სოფელ მგუძირხვამი. სოფლის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა დიმიტრი დბარმა თავის ოჯახში დამაბინავა, „შენ ჩემს დედაენას იკვლევ, ამ ენაზე მესაუბრები და სხვაგან რატომ გაგიშვა, ჩემი ოჯახის კარი ღიაა შენთვის“-ო. ერთ დღეს დიმიტრი დამპირდა, ხვალ საუკეთესო მთხრობელთან უნდა წაგიყვანო და ამა და ამ დროს მოდი ჩემთან სამსახურშიო. მართლაც, მივედი დათქმულ დროს, მაგრამ იგი არ დამხვდა, მდივანმა ქალმა მითხრა, გადაუდებელ საქმეზე დაიბარეს რაიონის ცენტრში, წელან დარეკა, გამოვდივარ და ჩემი სტუმარი უკან არ გააბრუნოო.

რაკი მასპინძლის მოსვლამდე ნახევარ საათამდე დრო მქონდა, შენობიდან გამოვედი. იქვე, სოფლის ცენტრში ბიბლიოთეკა დავინახე, ვიფიქრე, გაზეთებს გადავხედავ-მეთქი და კარი შევალე. შიგ შუახნის ბიბლიოთეკარი ქალბატონის გარდა არავინ იყო. ქალი აფხაზური წესისამებრ ფეხზე წამომიდგა. აფხაზურად მივესალმე და ვთხოვე, ამ თვის აფხაზური გაზეთები მინდა-მეთქი. უცებ გამომიტანა მთელი დასტა, გამოვართვი, მადლობა გადავუხადე და მაგიდას მივუჯექი. ქალმა ცოტა ხნის მერე მორიდებულად მკითხა, ვისი სტუმარი ბრძანდებითო (აფხაზური ადათით, სოფელში უცხო კაცი უმასპინძლოდ არ უნდა დარჩეს). დავუსახელე მასპინძელი.

– ერთი-ორჯერ თავისებური აქცენტი შეგინიშნეთ და თუ არ გენციინებათ, მითხარით, სადაური ბრძანდებით? – მკითხა ქალმა.

გამოცდილებით ვიცოდი, რომ ამ კითხვას სხვებიც მოჰყვებოდა და წინასწარ ვრცლად ვუპასუხე, ვინც ვიყავი და რატომაც ჩავედი მის სოფელში. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაუხარდა, რომ გაიგო, ქართველი ვიყავი, ქეთევან ლომთათიძის მონაფე (მაშინ ქალბატონ ქეთევანის სახელი თითქმის ყველა აფხაზმა იცოდა), რომ მგუძირხვას მისი დედაენის საკვლევად ვესტუმრე და ჩემი მასპინძელი დიმიტრი დბარის ოჯახი იყო.

უცებ შევარდა მეორე ოთახში, ხილი, ბოთლით არაყი და სირჩები გამოიტანა. დამლოცა და როცა მადლობაც გადავუხადე და თვითონაც დავლოცე, თან ავუხსენი, უცხო ოჯახში უნდა წამიყვანოს დიმიტრიმ და ნასვამი ვერ მივალ-მეთქი, დალევა აღარ დაუძალებია.

მერე მკითხა, აქ რამდენ ხანს რჩებიო. როცა გაიგო, ერთ თვეს ვრჩებოდი და ბიბლიოთეკასაც ვენწეოდი დროდადრო, გახარებულმა მითხრა, ჩვენი ბიბლიოთეკის მკითხველად ჩაგწერო. მეც დავეთანხმე. ამოიღო მკითხველის ბარათი, კალამი მოიმარჯვა, სახელი და გვარი მკითხა და სახეგაბრწყინებულმა მითხრა, თქვენი ბარათი ქართულად უნდა შევავსოო. მართლაც მონდომებით გამოიყვანა ქართული ასოები. გაკვირვებულმა ვკითხე, ქართულად წერა საიდან იცით-მეთქი. სახე კვლავ გაუბრწყინდა და მიპასუხა:

– ჩემი მოსწავლეობის დროს ქართულ ენას გვასწავლიდნენ. ქართულის მასწავლებელი ძალზე თბილი პიროვნება იყო. ყველაზე უფრო მიყვარდა და მის საგანს დიდი ხალისით ვსწავლობდი. ახლა უცებ მომაგონდა ის მასწავლებელი (სახელი და გვარიც მითხრა, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს) და ძალიან მომინდა ქართულად დამეწერა რამე.


შეავსო ჩემი ბარათი და ცალკე დადო.

არასოდეს დამავიწყდება იმ ბიბლიოთეკარი ქალბატონის სახე და მისი გულწრფელი ქცევა.

ვინ იცის, იქნებ ის ბიბლიოთეკა ისევ არსებობს და სხვა მკითხველთა ბარათებთან ერთად დიდი სიყვარულით დაწერილი ქართული ასოებით შევსებული ჩემი ბარათიც ინახება.

ასეა, სიყვარული არ იკარგება!

მჯერა, მალე დადგება ქართველთა აფხაზეთში ღირსეულად დაბრუნების დღე და ჩვენი სწორედ წინა თაობების კეთილი საქმეები შეგვარიგებს.



რუსულ ელიტარულ საზოგადოებაში ალექსეი ბელიაკოვი – ცნობილი პუბლიცისტი და მწერალი დღეს ერთ-ერთია, ვინც ძველ რუსულ პოლიტიკას უპირისპირდება. ის ავტორია ალა ჯუგაიძის დაწერილი პირველი გამოგონილი რომანისა, რომელიც მალევე იქცა ბესტსელერად (ცნობილია, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებისთანავე მომდარალი პროტესტის ნიშნად წავიდა უცხოეთში).

ალექსეი ბელიაკოვი დარწმუნებულია, რომ საზოგადოების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანა (ერთ უფრო, რუსეთში) შეუძლია მხოლოდ ძალს. იმედოვნებს კიდევ, რომ უახლოეს პერიოდში რუსეთს ეყოლება გონიერი მმართველი ძალბატონი, ეყოლება იმ ძველანას, რომელიც გადაღლილია სხვა სახელმწიფოებთან დაუსრულებელი უთანხმოებით, ტერიტორიების გამო დავითა და ჰიზრიდული ომებით.

ბარათი, რომელსაც პუბლიცისტი უწერს თავის 4 წლის გოგონას, საინტერესო იქნება მათთვისაც, ვინც ამ ჯადოსნური სტრიქონების მაღლს ჩასწვდება.

მოდით, დავარკვეთ ამ ბარათს არაოფიციალური, მაგრამ მამაშვილური ურთიერთობის გონივრული აქტი, რომელსაც პატარა კირაზე უზომოდ შეყვარებული მამა აწერს ხელს.

„რომ შეთხზა საკუთარი ლეგენდა!“

ალექსეი ბელიაკოვი

თარგმნა ნანა ჭანტუჩიანი

ნახიცი შვიცს

კირა, ჩემო გოგონა, შენ ჯერ ოთხისაც არა ხარ. ჯერ კითხვაც არ იცი. მაგრამ, როცა გაიზრდები, შენ ამ წერილს აუცილებლად გაეცნობი. და, უმჯობესი იქნება, თუ მას სხვადასხვა ასაკში გადაიკითხავ: როცა იქნები 7-ის, 14-ის, როცა იქნები 18-ის.

გუშინ ჩვენ ერთად ვფურცლავდით წიგნს, რომლის გვერდებზე ვათვალიერებდით კობტად მორთულ-მოკაზმულ გოგონებს. შენ მომიბრუნდი და მითხარი, მეც მინდა ასეთი გრძელი კაბაო!

მიხარია, ასე სწორად რომ აზროვნებ. მეც ვთვლი, რომ ლამაზი გრძელი კაბა ძალზე მნიშვნელოვანია გოგონასათვის. ჰო, ატარე კაბები, რომელიც ბევრზე-ბევრი უნდა გქონდეს. დაე, ყველა შენი დაქალი მოიკვანწოს ჯინსებში, შორტებში, მინი ქვედა ბოლოებში, შენ კი ატარე გრძელი კაბები. არა მგონია, გრძელკაბიან გოგონაზე მშვენიერი რამე იყოს ამქვეყნად!

მაგრამ თუ ერთ დღეს შენს გარშემო ყველა გოგონა მოირგებს გრძელ კაბას, უარი თქვი მათზე! ადექი და გამოენყვე ჯინსებში, შორტებსა და მინი ქვედა ბოლოებში.

იყავი ყოველთვის დანარჩენთაგან განსხვავებული! არანაირი მოდა არ არსებობს! არსებობს მხოლოდ ნივთები, მუდამ ბრბოსაგან რომ გამოგარჩევს! არ აჰყვე შენს დაქალებს, არ მიბაძო კინოვარსკვლავებს, მაგრამ, გირჩევ, გამოიმუშავო დაუმორჩილებლობა, თამამი ინდივიდუალიზმი, ირონია.

თუ შენს გარშემო ყველანი ფრჩხილებს ფერადი ზოლებით მოიხატავენ, შენ ზედ გამოსახე კვადრატის ფორმის შავი პანანუნა ფიგურები. თუ ყველასთვის ვარცხნილობად ნაწნავი იქნება მისაღები, გარშემომყოფთა ყურადღება შენ გაშლილ-განწილი იასამნისფერი თმებით მიიქცე!

აბა რა, კირა! ხედავ, რა რჩევებს იღებ შენი არც თუ ახალგაზრდა მამიკოსაგან! ეს იმიტომ, რომ შენ მსოფლიოში საუკეთესო გოგონა ხარ! და ეს ყველაზე საუკეთესო გოგონა დანარჩენთაგან განსხვავებულიც უნდა იყოს! დაე, ყველამ შენ მოგბაძოს, შენ – ასე განუმეორებელს, შენ – ასე საოცნებოს!

გირჩევ, საწოლის პირდაპირ დიდი სარკე დაიდგა. თვალის გახელისთანავე რაც უნდა დაინახო, ეს საკუთარი თავია. ასე ისწავლი ლამაზად გაღვიძებას! ქალი როგორც იღვიძებს, ასევე ცხოვრობს!



საკუთარ თავს მუდმივად უნდა გამოვლვიძო და გაუღიმო!
 ღიმილი აუცილებელია! და ეს ღიმილები – ზოგჯერ ჩერჩეტულ-
 გულუბრყვილოც და ბოლოს, ირონიულიც, არსენალში
 დაუსრულებლად უნდა გქონდეს!

რომ შეთხზა საკუთარი ლეგენდა დანარჩენთათვის! შეიძლება,
 იყო ეშმაკუნაც, მაგრამ, ეცადე, შენში განავითარო შემოქმედებითი
 უნარები. ასე გახდები აუღებელი და მოუხელთებელი!

იყავი ნებიერიც. მაგრამ არაფერი მოიმოქმედო ისეთი, რისი
 გაკეთებაც არ გსურს! თუ უცებ მოგინდა ნაყინი, ჭამე! ჯანდაბას
 ყველა დიეტა! ცხოვრებაში ქალები ხომ ისედაც თავისუფლებისა და
 სიამოვნების პატარ-პატარა ულუფებით საზრდოობთ!

ამიტომაც, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იყავი ლალი და
 თავისუფალი. იყავი ძლიერიც! იყო ძლიერი, არ ნიშნავს, ყველაფერი
 დამოუკიდებლად აკეთო. იყო ძლიერი, ნიშნავს, დიდ-პატარა შენ გეხვეოდეს
 გარშემო, ისწავლო, შენი ერთი მსუბუქი ჟესტით ატრიალო სამყარო!

თუკი ვინმე გაბედავს და უხეშად მოგმართავს, მაშინვე გატრიალდი
 და წადი! უმალვე, ვინც არ უნდა იყოს ის!

იყავი ჭირვეული, მაგრამ ზომიერად. უნდა იჭირვეულო
 წვრილმანისა და არა მთავარის გამო. თანაც, ჭირვეულობა
 ანჩხლობისგან უნდა გაარჩიო. „მინდა რომში სამი დღით!“ – ეს
 უწყინარი კაპრიზია. მაგრამ – „მინდა, მქონდეს მაშკაზე დიდი მანქანა!“ –
 ეს ამაზრზენი სურვილია.

დატკბი, გაიხარე ყველაზე უმნიშვნელო საჩუქრითაც!
 ფასდაუდებელია უბრალო ვერცხლის ბეჭედიც იმ კაცისგან,
 რომელსაც უყვარხარ! გამთენიისას შენი კარების ზღურბლთან
 დატოვებული სულ პატარა თაიგულიც გაცილებით
 თავბრუდამხვევია, ვიდრე რომში სამდღიანი მოგზაურობა!

იყავი კეთილი! ერთის შეხედვით, რა მიაბიტურად
 ჟღერს, „იყავი კეთილი!“ არადა, სინამდვილეში ეს დიდი
 შრომაა, მოუხმო გონიერებას და იყო ქველმოქმედი (თუ
 ამის საშუალება გაქვს). არ ელოდო დროს, ვიდრე თხოვნით
 მოგმართავდეს ვინმე. დღეს ხომ ყველა ძალზე ამაყი,
 მარტოსული და, ამდენად, უბედურია. თუ მეგობარს
 გაუჭირდება, მასთან დახმარების აღმოსაჩენად პირველმა
 შენ უნდა მიიღებინო. ქუჩაში ყოფნისას შენს გვერდით
 სრულიად უცხო ადამიანიც რომ ცუდად გახდეს, ნაბიჯებს
 არ აუჩქარო იმაზე ფიქრით, რომ „მე მაგვიანდება, საქმეები
 მაქვს, მას სხვები დაეხმარებიან!“ არა, ეს მხოლოდ შენ უნდა
 გააკეთო!

იკითხე გემოვნებიანი წიგნები, იარე მუზეუმებში,
 რაც შეიძლება, მეტ სპექტაკლს დაესწარი. ეს საუკეთესო
 თვითგანათლებაა. მერე თავად განსაზღვრავ, რომელი პროფესია გჭირდება,
 რა გზას აირჩევ. აქვე გავახმოვანებ ერთ ჭეშმარიტებასაც, რომელსაც ჩემს გარდა სხვა არავინ გეტყვის:
 გოგონასათვის მუშაობა არცთუ სავალდებულოა. თუ მოგინდა სამსახური, უფალი იყოს შენი შემწე, თუ
 არადა – არცაა საჭირო!

ფული? ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი რამაა! მაგრამ სხვა კუთხითაც შევხედოთ მას. თანხა
 უნდა გამოიმუშავო იმით, რაც განიჭებს სიამოვნებას. შესაძლოა, გამოხვიდე მხატვარი, ან გეოლოგი,
 ან სხვა ვინმე. მაშინაც, როცა ფული გელევა, წადი და იყიდე ის კაბა, რომელიც მოგეწონა. ჰო, ის
 უკანასკნელი გროშებიც გაილე! მაგრამ გაილე დაუნანებლად და ამაყად. კაბისთვის არ გეყოფა ფული?
 წადი და იყიდე ტურის საცხი. ფულზე არასოდეს იჯავრო, ის გაჩნდება. ფული არა აქვთ იმათ, რომელთაც
 სისულელეებზე ენანებათ მისი ხარჯვა.



შეიყვარე ცეკვა! ჯერ ერთი, ეს სილამაზეა! ამასთან, ის გაგხდის უფრო ტანადს. გოგონასათვის კი, ჩემო კირა, ტანადობა ძალზე მნიშვნელოვანია – ისწავლი თავისა და ტანის მოხდენილად ფლობას. გრაციოზულობით ყოველთვის შენკენ შემოატრიალებ მამაკაცებს. ეს კი, გოგონებს, დამერწმუნე, ძალიან სიამოვნებთ.

ხედავ, ჩემდა უნებურად, მამაკაცებზეც ავლაპარაკდი; ადამიანთა სწორედ იმ კატეგორიასთან ურთიერთობისას ყოველთვის უნდა გაფრთხილდე, დაიცვა დისტანცია. მაგრამ **ყმანვილმა, რომელიც აღმოჩნდება შენს გვერდით, შენი ყურადღება უნდა მიიპყროს ყველაზე ჩვეულებრივი ქცევებით: დაგეხმაროს პალტოს ჩაცმასა და გახდაში, გამოგიწოდოს ხელი, როცა მანქანიდან ფეხს გადმოდგამ, როცა ჩამოდიხარ მატარებლის კიბიდან, თვითმფრინავის ტრაპიდან... და საერთოდ: შენს წინაშე უნდა გახსნას ყველა კარი და დარაბა.**

თანაც, არასდროს არაფერი შეახსენო – მამაკაცს ეს ყველაფერი რეფლექსად უნდა ექცეს! მაგრამ თუ ეს რეფლექსი საერთოდ ვერ გამოუმუშავდა, უმჯობესია, ის ყმანვილი იმთავითვე თავის გზას გაუყენო. თუ ამ გადაწყვეტილებას დროულად არ მიიღებ, დამიჯერე, მისი სხვა უხეირო თვისებებით უფრო დაიჩაგრები, დაიტანჯები. არასოდეს შეგეშინდეს, მოიკვეთო შენგან ასეთი ადამიანები! და ისიც, მყისიერად, შეუბრალებლად, უბოდიშოდ. არავითარი თვითგვემა – „იქნებ, ცუდად გახდეს!“ არა! ცუდი და მიუღებელი ისაა, რომ ასეთ დროს დროში ინელება არაფრისმთქმელი ურთიერთობები.



რა თქმა უნდა, მკითხავ – „თუ ასეთი შემთხვევად?“ შეიძლება, ეს მართლაც მოხდეს. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა დაინყო მისი თავიდან

აღზრდა და უნდა ისწავლო მოთმინებაც. ეს კი საკმაოდ ძვირად უჯდებათ გოგონებს.

კიდევ ერთ საიდუმლოს გაგანდობ. მამაკაცებს მხოლოდ ერყვენათ, რომ ისინი არიან ამ სამყაროს ბატონ-პატრონები. სინამდვილეში მათ მართავენ ლამაზლიმილიანი ეშმაკუნა გოგონები.

ასეთი გოგონების გამოც იქმნიან ისინი მდიდარ კარიერას, კოტრდებიან მათ გამოც. ამ ძალზე მარტივ ჭეშმარიტებაზე დგას მთელი ჩვენი ცივილიზაცია!

და კიდევ, იცი, რა – შეეცადე, არ შეიყვარო ლამაზი და მოლაყბე მამაკაცი. მოლაყბეთ მხოლოდ საკუთარი თავი უყვართ. გჭირდება შენ ეს რამეები? **ყველაზე ნაღდი მამაკაცი ისაა, რომელსაც გაჩუმება შეუძლია, რომელმაც დუმილის ფასი იცის. მხოლოდ ასეთი აგაცილებს ყოველგვარ დარდსა და სირთულეს. სხვათა შორის, ხელში ატატებულებს უნდა გატაროს, ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით. ხო, უნდა აგიყვანოს და გატაროს. შენთვის ეს სასიამოვნო პროცესი იქნება, მისთვის კი – სასარგებლო.**

აი, მას მკლავებში ჰყავხარ მოქცეული, შენ ფეხებს აფართხუნებ და ნეტარებით ილიმები. ამ წუთებში უზომოდ ბედნიერი ხარ და იმიტომ.

ჩემო ძვირფასო კირა, შეიძლება, მოგეჩვენა, რომ მამაშენმა ათასი სისულელე მოჩმახა. მაგრამ ნერტილიც ხომ უნდა დავსვა:

მჯერა, შენ აფრინდები ძალიან მალლა. მე უკვე ასაკში ვიქნები და ამის გამო ვერც მოვწყდები მიწას. მაგრამ შენით მე ქვემოდან დავტკბები. ხელსაც დაგიქნევ და შემოგძახებ: „ღმერთო, ეს რა სიმაღლეა!“ მე ყოველთვის გამაბედნიერებს ჩემი შვილი, მსოფლიოში ეს ყველაზე საუკეთესო გოგონა.

სიყვარულით მამაშენი.

ნაურუ – მეოთხე ქვეყანა, რომელმაც აღიარა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა

ნაურუ, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ჯუჯა სახელმწიფო* (სიტყვა „ნაურუ“ ზუსტი განმარტება დღემდე უცნობია, თუმცა ერთ-ერთი ვერსიით ნიშნავს „მე მივლივარ ზღვის ნაპირზე“) მდებარეობს წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში. კუნძული ნაურუ, როგორც ვულკანური კონუსის მწვერვალი, ამოწული მარჯნის ატოლია.** მას უჭირავს 21,3 კმ.კვ. ფართობი, ხოლო მოსახლეობა შეადგენს 10084 ადამიანს.

ნაურუ 1968 წლიდან არის დამოუკიდებელი, ხოლო 1999 წლიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. იგი ერთ-ერთი ქვეყანაა ოფიციალური დელაქლაციის გარეშე (მსოფლიოში ასეთი სულ რამდენიმეა). ნაურუზე არ არსებობს მდინარეები, მტკნარი წყალი, ამიტომ ის შემოაქვთ ავსტრალიიდან, იყენებენ გამამტკნარებელ მოწყობილობას, ან იმარაგებენ წვიმის წყალს. ხელისუფლება შეფუთვითაა გლობალური დათხოვით, რადგან კუნძულს ზღვის დონის აწევის შემთხვევაში ეშუქება ჩაძირვა.

ნაურუს 94%-ს შეადგენს ძირძველი მოსახლეობა – ნაურულები. ისინი ლაპარაკობენ მიკრონეზიულ-ნაურულ ენაზე. სახელმწიფო ენა ნაურულთან ერთად არის ინგლისური. ნაურუს დამწერლობა 100 წლის წინ შექმნა კათოლიკე მისიონერმა ალოიზ კაიზარმა. მანვე დანერგა პირველი სახელმძღვანელო ნაურულ ენაზე. კაიზარის დამსახურებაა, რომ კუნძულის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ ქრისტიანები, კერძოდ, პროტესტანტები. თუმცა სხვადასხვა რელიგიასთან ერთად, აქ მისდევენ ტრადიციულ სარწმუნოებას – აქვთ ქალღმერთის კულტი, თაყვანს სცემენ ღმერთ ეიჯაბონგსა და კუნძულის სულს – გუიტანს.

ერთპალატიანი პარლამენტი, ნაურუს საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, შედგება 19 დეპუტატისგან. მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. ნაურუს არ ჰყავს ეროვნული შეიარაღებული ძალები. ქვეყნის ფულადი ერთეულია ავსტრალიური დოლარი. პირველი მარკა, სახელწოდებით „ნაურუ“, გამოცდა ინგლისმა 1916 წ.

ნაურუში განათლება უფასოა. არის სავალდებულო დანებებითი სწავლება და არასავალდებულო საშუალო განათლება. უმაღლესი განათლების მისაღებად ახალგაზრდები მიდიან საზღვარგარეთ. ნაურუში არის ერთადერთი სამთავრობო რადიოარხი, ტელევიზია, გაზეთები კი გამოდის ორ კვირაში ერთხელ.

უფასო ჯანდაცვა, თუმცა არის კადრების ნაკლებობა – ქვეყანაში სულ 5 ექიმია. ავტომობილის სიგრძე 40 კილომეტრია, თუმცა ქვეყანაში არ არსებობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. არის 3,9 კილომეტრიანი რკინიგზა. 1998 წლიდან ნაურუში გაჩნდა ინტერნეტი, არის მოგილური კავშირიც.



ნაურუს სანაპირო

„სიამოვნების კუნძული“

ერთ-ერთი ვერსიით, პირველი ნაურუელები, რომლებიც დაახლოებით 3000 წლის წინ დასახლდნენ კუნძულზე, იყვნენ ბისმარკის არქიპელაგიდან (წყნარი ოკეანის კუნძულთა ჯგუფი) გადასახლებული მეზღვაურები. ნაურუს მოსახლეობა შედგებოდა 12 ტომისგან (სწორედ ამიტომ ქვეყნის დროშასა და გერბზე გამოსახულია თორმეტქიმიანი ვარსკვლავი).

ნაურუ ევროპელებმა აღმოაჩინეს 1798 წელს და ეს ადგილი იმდენად მოეწონათ, რომ მას „სიამოვნების კუნძული“ უწოდეს. ევროპელებმა ნაურუზე დასახლება დაიწყეს XIX ს.-დან. ისინი, ძირითადად, იყვნენ გამოქცეული კატორღელები, შემდგომში ვაჭრები. 1888 წლიდან ნაურუ ანექსირებული იყო გერმანიის მიერ.

თავდაპირველად აბორიგენი ნაურუელები ცხოვრობდნენ მოკრძალებულად; მოჰყავდათ ქოქოსის პალმა და პანდანუსი, განვრთნილი ფრინველებით – ფრეგატებით რიფზე*** იჭერდნენ თევზს.

* – ჯუჯა სახელმწიფოებს შორის რიგით მესამე. ** – რგოლის ფორმის მარჯნის კუნძული. *** – წყალქვეშა კლდე, ოდნავ ამოწული ზღვიდან.



ნაუჩს ლანდშაფტი:
ჩაბაჯღაი ფოსფორიტების მოპოვების შაბღა

მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც 1906 წელს აღმოაჩინეს ფოსფატების* მსხვილი საბადოები (ფოსფატები – იგივე, ნაურუიტები; ყალიბდება პლანქტონის – მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების მკვდარი მასისგან). ამას მოჰყვა მსოფლიოს დიდი ქვეყნების დაინტერესება ნაურუთი – ყველას სურდა, დაუფლებოდა სასარგებლო წიაღისეულს. ადგილობრივებიც დიდად არ ეწინააღმდეგებოდნენ ამ ფაქტს; არც გაუარესებული ეკოლოლოგიური მდგომარეობა ანალვლებდათ – მათ ხომ არც თუ ცუდად უხდინდნენ!

1914 წელს კუნძული დაიპყრო ავსტრალიამ, რომელმაც განდევნა გერმანელები. 1923 წელს, ნაურუს მიენიჭა სამანდატო ტერიტორიის სტატუსი და ქვეყანა სამართავად გადაეცა ავსტრალიას, დიდ ბრიტანეთს, ახალ ზელანდიას. II მსოფლიო ომის დროს გერმანიამ დაბომბა ნაურუს პორტი, ხოლო იაპონიამ მისი ოკუპაცია მოახდინა.

მსოფლიოში ისინი ყველაზე მსუქნები იყვნენ

პატარა ნაურუს ისტორია ჭკუის სასწავლებელია სხვებისთვის. ესაა იმის მაგალითი, როგორ შეიძლება სიხარბემ და უმეცრებამ ჩამოშალოს ნებისმიერი აყვავებული ქვეყნის ეკონომიკა.

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ნაურუ ითვლებოდა მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს სახელმწიფოდ. ამას ქვეყანა უმაღლოდა, არც მეტი, არც ნაკლები, ფრინველთა ექსკრემენტებს – მათი „წყალობით“ კუნძულზე ფოსფორიტების კოლოსალური მარაგი დაგროვდა!

ნაურუში წელიწადში საშუალოდ 2 მლნ.ტ. სასარგებლო წიაღისეულს მოიპოვებდნენ. ამ ბუნებრივი ნედლეულის უზომო სიუხვემ იმდენად გაამდიდრა ქვეყანა, რომ ყოველთვიურმა შემოსავალმა ერთ სულ მოსახლეზე 11 მლნ. ა.შ.შ. დოლარს გადააჭარბა. ნაურუელებმა ხელი აიღეს მუშაობაზე, ხოლო ბავშვებმა მიატოვეს სკოლაში სიარული და სწავლა. ყოველ ოჯახს სახლში ჰყავდა უცხოელი შინამოსამსახურე, ეზოში კი ეყენა რამდენიმე ძვირადღირებული ავტომობილი. ნაურუელებს შეეძლოთ, სტომატოლოგისთვის ავსტრალიაში გადაფრენილიყვნენ, ყოველ წელს შეეძინათ ახალი ავტომანქანა, ხოლო ძველი, უბრალოდ, გადაეგდოთ. ქვეყნის ინფრასტრუქტურის მოსანერსივებლად დაქირავებული ჰყავდათ ჩინელები. ცხოვრების უმოქმედო წესი ნაურუელებს ჭირად ექცათ: მათ დაიწყეს გასუქება, რამაც გაზარდა დიაბეტის რისკი. ადგილობრივები მსოფლიოში ყველაზე მსუქნებად ითვლებოდნენ.



ნაუჩაღაღი

მაგრამ, ადრე თუ გვიან, ყველა ზღაპარს, ბედნიერსაც კი, აქვს დასასრული. მალე ფრინველთა „საჩუქარი“ შეწყდა – ამოიწურა ნედლეულის ბუნებრივი მარაგიც. ამასობაში კუნძულზე, პრაქტიკულად, განადგურდა მთელი მცენარეულობა – იქაურობა დაემსგავსა უდაბნოს. **გაჩნდა უზარმაზარი ლაბირინთები ქვაბულებითა და ღრმულებით.**

ნაურუელებმა დაიწყეს ფიქრი თავის გადასარჩენად – ქვეყანა ყიდდა პასპორტებს სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე, უცხოელები, მათ შორის, რუსი ოლიგარქები, ათეთრებდნენ მილიარდობით დოლარს. ბოლო წლებში ნაურუს მთავარი შემოსავალი ავსტრალიაში მოხვედრის მსურველი დევნილების შენახვა (პროგრამას აფინანსებს ავსტრალია).

ფულის სიყვარულით ხელისუფლება არ ერიდება, თავის ხმა გაეროში ნებისმიერს მიჰყიდოს. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებაც, სავარაუდოდ, ამან განაპირობა.

* – იყენებენ სასუქებში, ქიმიურ მრეწველობაში, სარეცხი ფხვნილების წარმოებაში.

ეუდარუვო – „სახლში დაბრუნება“

ნაურუ, შეიძლება, არც ისე ცნობილია ყველასთვის, მაგრამ დედამინის ეს პანია ადგილი თავისი უჩვეულობითა და ორიგინალურობით მაინც იზიდავს მოგზაურებს. თუმცა ეკოლოგიური დაჭუჭყიანების გამო ტურიზმი აქ შეზღუდულია (მგზავრებს ამისთვის აეროპორტში თანხასაც ართმევენ), მაგრამ მას, ვინც ნაურუს ესტუმრება, შეუძლია, ნახოს ბევრი საინტერესო რამ.

დასახლებების დიდი ნაწილი მდებარეობს ზღვის ნაპირზე, ზოგიერთი კი ბუადას ტბის გარშემო (ბუადას ტბა არის ოდნავ მარილიანი, ივსება წვიმის წყლით). ნაურუზე თითოეულ ოჯახს ეკუთვნის ნაკვეთი, ხოლო ზოგიერთს – გუბეც კი ბუადას ტბასთან.

ნაურუელები არიან მშვიდები, თავაზიანები. უყვართ პოეზია, რომელიც, თავისი ბუნებით ძალიან მდიდარია. საინტერესოა ნაურუელთა ცეკვები, ხოლო სიმღერები, რომელსაც ძალიან აფასებენ ადგილობრივები, გამოირჩევა რიტმულობით.

ყველაზე ღირსშესანიშნავი ტრადიციები უკავშირდება შობას, აღდგომას, კონსტიტუციისა და დამოუკიდებლობის დღეს. გამორჩეულია ანგამის ზეიმი. „ანგამი“ ნიშნავს ე.წ. „სახლში დაბრუნებას“; ეს უკავშირდება გამანადგურებელი ომების შემდეგ ნაურუს მოსახლეობის 1500 სულამდე გაზრდას (ერის გადარჩენისთვის მოსახლეობის მინიმალური რაოდენობა უნდა ყოფილიყო 1500). სწორედ ამ დღეს, 1932 წლის 26 ოქტომბერს ქვეყანაში დაიბადა კუნძულის 1500-ე ადამიანი-გოგონა, სახელად ეიდარუვო.

ჯუჯა ქვეყნის ჯუჯა ქალაქები

პატარა ქალაქი იარენი კუნძულს სამხრეთი რაიონის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა. იქაა პარლამენტის შენობა, აეროპორტი, მუზეუმი. ნაურუს არაოფიციალურ დედაქალაქად ცნობილ ქალაქ აივოში, სამრეწველო ინფრასტრუქტურის გარდა, არის კუნძულზე ერთადერთი ბულვარი აიუე, ახალი პორტი, ჩინური კვარტალი და ელექტროსადგური.

ზღვაზე დასვენებისთვის საუკეთესო პლაჟი აქვს ანიბარს; ბუადას მკვიდრნი კი მისდევენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. ამიტომ იქაურობა სულ ყვავის. პალმების ხეივანი მართლაც რომ მისწრებაა მზის მცხუნვარებისგან თავდასაცავად.

ნაურუს ნიადაგის თხელი ფენა არახელსაყრელია მცენარეებისთვის; სამაგიეროდ, მხარე მდიდარია ფრინველებითა და ზღვის პროდუქტებით.



ნაურუს ეროვნული

როგორ „შემოეჭამათ“ კუნძული

ნარსულში ზღაპრულად მდიდარ (გასული საუკუნის 60-80-იან წლებში) ნაურუს ზოგჯერ უწოდებენ კუნძულს, რომელიც ადგილობრივებს „შემოეჭამათ“ (ანუ „შეჭმული“ კუნძული).

ყველა, შინაური თუ გარეული, ცდილობდა, სარგებელი მიეღო მისგან. ანგარებისგან დაბრმავებული ნაურუელები უჯერებდნენ ხელისუფლებას, რომელიც ამბობდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა.

საბოლოოდ ნაურუ პირველი რიგის ქვეყნიდან ბოლოში გადაინაცვლა; 1989-დან 2003 წლამდე აქ 17-ჯერ შეიცვალა მთავრობა.

არასტაბილურობა კი არახელსაყრელი გარემოა ინვესტორებისთვის; ქვეყანაში მაღალია უმუშევრობა, ალკოჰოლიზმის დონე, ყვავის კორუფცია. ასეა, ნედლეულზე დამოკიდებულ ეკონომიკას თავისი პლიუსი თუ მინუსი აქვს; ყველაზე დიდი მინუსი კი ისაა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ნედლეული ილევა, ხოლო პრობლემები რჩება.

ჟან ონორე ფრაგონარი

(1732-1806 წ.წ.)



ჟან ონორე ფრაგონარი
«ავტოპორტრეტი». 1780 წ. ცხიხტან. პარიზი

ჟან ონორე ფრაგონარი – XVIII ს.-ის ცნობილი ფრანგი მხატვარი, ფერმწერი, გრაფიკოსი, სამეფო აკადემიის წევრი. თავის ქვეყანაში ის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მხატვრად ითვლებოდა. პედაგოგთან, ფრანსუა ბუფონთან ერთად, ფრაგონარი ფრანგული როკოკოს გამორჩეული წარმომადგენელია.

ხელოვნებათმცოდნეები მიიჩნევენ, რომ როკოკო კონკრეტულ სტილზე მეტად უფრო ეპოქაა. ამიტომაც, XVIII ს.-ის ხშირად უწოდებენ „როკოკოს საუკუნესაც“ (როცა ბაროკოს მკაცრად განსაზღვრული სიმეტრიისა და ფორმების ნაცვლად მხატვრობაში მკვიდრდება მსუბუქი ხაზები, ლაღი ფერები, იკვეთება რომანტიკული თემები).

ფრაგონარის ნამუშევრები გაჯერებულია მითოლოგიური, ისტორიული თუ ყოფითი სცენებით, ხელოვანი ძმის უამრავ პორტრეტსაც. და მიიწვევს ფრაგონარის 550-ზე მეტ ტილოს შორის გამომსახველობითი ოსტატობით, ფართო დიდებული შეხამებით გამოირჩევა 1767 წელს შესრულებული ნახატი „საქანელა“.

უცნაურია, მაგრამ ფრაგონარმა, რომელიც საკმაოდ ძვირფასად შეიკვეთეს ილვად, 1792 წელს ხატვას თავი დაანება და თითქმის სიცოცხლის გოლომდე ლუვრის მუზეუმში აღმინისტრაციულ თანამდებობაზე იმუშავა.

ცნობილმა ფრანგმა ხელოვნებათმცოდნემა პიერ როზენბერგმა ფრაგონარი „XVIII ს.-ის კეთილსურნელოვან არსებად“ მონათლა, ხოლო მის „საქანელას“ „როკოკოს კეთილსურნელება“ უწოდა. საკადნიეროდ, ჩვენამდე მოაღწია ფრანგი კომეტის შარლ კოლეს ჩანაწერმა, რომელშიც მან ისაუბრა „საქანელას“ შექმნის ისტორიაზე:

ერთ-ერთმა ფრანგმა დიდგვაროვნებმა ნაცნობ მხატვრს გახრიალ ფრანსუა ლუიენს შეუკვეთა ნახატი. სიუჟეტიც თვითონ შესთავაზა:

– მსურს, დამიხატოთ საქანელაზე გვიწვივი ქალბატონი; იქვე უნდა იყოს მამაკაცი, საქანელას თოკებით ხელში. მაგრამ სურათზე მეც უნდა მოვიზაროთ, ამასთან, ერთი დეტალის გათვალისწინებით – იმ ისე ჩამხატეთ, რომ ამ გვენიერ ქმნილებასაც ვხედავდე და მის ფეხებსაც!..

ღუიენი ძალზე დაბნულა; შეკვეთა ზედმეტად თანამ თემად მიუჩნევია. გადაუწყვეტია, ახირებული ჯენტლმენი გაეზავნა ფრაგონართან, ასეთი რამის დახატვას მხოლოდ ის შესძლებს.

ღამკვეთი იყო პარიზში ერთ-ერთი მდიდარი ადამიანი, ფინანსისტი, ბარონ დე სენ-ჟულიენი.

„საქანელას“ შექმნიდან გასულია ზუსტად 255 წელი. დღემდე ეს უგვენიერესი ტილო ნამდვილ ფრანგულ შედეგად იჩნება.

ნახატის სრული სახელწოდებაა „გადნიერი საქანელა“. მისი აღწერილობა შეგიძლიათ მოიძიოთ ნებისმიერ სახელოვნებო ენციკლოპედიაში. დამთვლიერებლის წინაშეა ძველი ბაღის ფონზე ასახული რომანტიკული ეპიზოდი:

შუაში ვხედავთ საქანელაზე ჩამოგდარ უგვენიერეს ასალბარდა ბანოვანს; მარჯვენა მხარეს, სკამზე ზის საშუალო ასაკის მამაკაცი, უფროთველი, იდილიური სახით (სავარაუდოდ, მუღლუ) და საქანელაზე გამომგული თოკებით არწევს ლამაზმანს. მარცხნივ კი, გუჩქებში იმალება გადნიერებისგან თავბრუდახვეული ახალგაზრდა მიჯნური. იქვე, შემადლებულ კვარცხლბაკზე გამოსახული კუვილონის სპულატურა, ტუჩებთან მიღებული თითით, თითქმის გვანიშნებს, არ გავცეთ შეყვარებული წყვილის საიდუმლო.

ბარდა იმისა, რომ „საქანელა“ რომანტიკული კომპოზიციისაა, დამთვლიერებლის ყურადღებას ის ფართო უწყველო პალიტრით იცხვეს; შეხედვისთანავე ქაფისა და მკვრივი ღრუბლების ასოციაციას ძმის საქანელაზე მონანავე გომონას მოფრიალე და თეთრგაქანებანი ვარდისფერი კაბა, ნისლის გუჩქებში გახვეული, არაბუნებრივად მომწვანო-მოლურჯო ფერის ხშირი ტოტები და ფოთლები.

ჟან ონორე ფრაგონარის „საქანელა“ ამჟვენებს 1897 წლის ლონდონში დაარსებული ეროვნული მუზეუმის „უოლენის კოლექციის“ ერთ-ერთ კუთხეს.

მუზეუმს სახელი დაერქვა ინგლისელი კოლექციონერის – რიჩარდ უოლენის გამო, რომელმაც შექმნა ეს მდიდარი საბანკური. მუზეუმში წარმოდგენილია XV-XIX სს.-ში შექმნილი სახვითი და დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები. განსაკუთრებით ჭარბობს XVIII ს.-ის ფრანგული ნახატები, ავეჯი, ფაიფური...

ლონდონის „უოლენის კოლექციის“ 25-ვე გალერეაში განთავსებულია 5500-ზე მეტი ნახატი-ნივთი (ველასკანის, რუბენის, ტიცინის, რებრანდის, მურილიოს, ვან დიკის...). მუზეუმი ღიაა საზოგადოებისთვის და, რაც მთავარია, იმ ფასზე უფასოა.

255 წლის წინ შექმნილი შედეგები



«სანაწილი» ენე მონიკა ფანტონი. 1767 წ.

„აინც გადავწყვიტა, მელოცა“

17 წლის მარიუპოლილი მარია ვლოვიჩენკოს ნაამბობი

ოლესია ზიდა*


თარგმნა ნუნუ ჯანელიძე

სკოლის მოსწავლე მარია ვლოვიჩენკო ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ოჯახთან ერთად მარიუპოლში ცხოვრობდა; იყო მოსწავლეთა თვითმმართველობის პრეზიდენტი, სწავლობდა ბანდურაზე** დაკრას, მშობლებთან ერთად ხშირად დადიოდა ეკლესიაში.

მისი ცხოვრება აკვეთრად შეიცვალა 24 თებერვალს – როცა დაიწყო მარიუპოლის დაბომბვა და ოჯახმა თავი შეაფარა ქალაქის ერთ-ერთი სახლის სარდაფს. გამოლეული საკვებისგან მუშტისოდენა ჰური-ლა შემოკრათ მხოლოდ ბომბონა ყვავა შიშვილზე, შიშვა, სასუნარკვეთაზე...

ახლახან მარია ვლოვიჩენკოს ოჯახმა გამოაღწია მარიუპოლიდან, მაგრამ თითოეულმა საკუთარ თავზე იწვინა ოქუპაციისა და ე.წ. „საფილტრაციო“ ბანაკის სისასტიკე. ამ ყველაფრის შესახებ გვიამბობს მარია; სულსშემამკრეპლია, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით მოთხრობილი შეულახავებელი ისტორია.

„ომი დაიწყო, მივდივარ!“



24 თებერვალს 3:50 სთ-ზე დედამ პირველი აფეთქების ხმა გაიგო, ჩემსა და ჩემი დის ოთახში შემოვარდა და ხმამალლა წარმოსთქვა საშინელი სიტყვები: „ომი დაიწყო, მივდივარ!“

სად მივდივარ? როგორ მივდივარ?

სასწრაფოდ ჩავტენეთ ჩანთებში თბილი ტანსაცმელი, დარჩენილი საკვების მარაგი; გვეგონა, რომ მოვახერხებდით ქალაქიდან გასვლას, მაგრამ ვერ შევძელით – მარიუპოლი ჩაიკეტა.

დაიწყო ნამდვილი კოშმარი: ადამიანები გამორბოდნენ სახლებიდან, ცდილობდნენ, ეყიდათ საჭირო პროდუქტები, ანგარიშებიდან მოეხსნათ ნაღდი თანხა, სანვავით აევსოთ მანქანები. და ამ დროს ირგვლივ ჭურვები სკდებოდა.

12 საათზე ჩვენი სახლი უკვე აფეთქებებისგან ირყეოდა. ცხელ ხაზზე გვიპასუხეს, რომ ჩვენი სახლის სარდაფს თავშესაფრად ვერ გამოვიყენებდით.

საჭმლისა და წყლის მარაგი არცთუ დიდი გვექონდა. მაგრამ, რატომღაც გვეგონა, რომ რამდენიმე დღეში ყველაფერს მოვევლებოდა.

ომის დაწყებიდან ორ დღეში გაითიშა კომუნიკაციები, წყალი

და დენი, შემდეგ გაზიც. მთელი ამ ხნის მანძილზე მარიუპოლში იყრებოდა ჭურვები. ვითარება უკიდურესად იყო დამძიმებული.

ბინაში ფანჯრები ჩავაბნელეთ, პოროლონითაც კი „ამოვქოლეთ“. ჩავთვალეთ, რომ ეს დაგვიცავდა. არათუ აფეთქების ხმაზე, უმნიშვნელო ხმაურსა თუ შრიალზე აბაზანისკენ გავრბოდით. მერე იმედიც დაკარგეთ, რომ ოდესმე ეს ყველაფერი დასრულდებოდა, რომ გადავრჩებოდით.

იმ დილით, როცა ჯერ ისევ ვინექით, თითქოს მინა შეირყა; სახლი, ლამის, შესტა. სასწრაფოდ ჩავიკეტეთ აბაზანაში. მაგრამ ცოტა ხანში საშინელი აფეთქების ტალღამ ჩვენი „ხრუშჩოვკის“ სართულები ზემოდან ქვევით – თითქმის ბოლომდე ჩაიტანა. აქეთ-იქით ცვიოდა ბეტონი, ავეჯი, მინისა და კრამიტის სახურავის ნამსხვრევები. ყველა მხრიდან ისმოდა განწირული ხმები...

„იმ საკდაფში რვაწი იყო მხოლოდ იმედი“

სახლიდან ცოცხლებმა გამოვალწიეთ. მამამ გვიბრძანა, უახლოესი სარდაფისათვის შეგვეფარებინა თავი. ჩემმა დამ პირველმა მიირბინა რომელიღაც თავშესაფრამდე, მერე მეც და მშობლებიც მივყევით. მივუკაკუნეთ. მოგვესმა ჩურჩული. ბოლოს და ბოლოს, ვიღაც კაცმა გამოაღო კარი და გვითხრა, რომ ვერ შეგვიშვებდა, რომ სავსე სარდაფი უკვე მეტს ვერავის დაიტევდა. მამამ არ მოუხმინა, ხელი ჰკრა მას და ჩვენც შევედით.

* – უკრაინული ინტერნეტ-არხის ჟურნალისტი.

** – უკრაინული ხალხური სიმებიანი საკრავი.

იქ ოცამდე ადამიანი იყო, ჩვენი მეზობლები. ჩვენთან ერთად სარდაფს შემოეხიზნა კიდეც ერთი ოჯახი, 5 თვის ჩვილით.

სარდაფში თანდათან გამოგველია საკვები. წყლისთვის თოვლსა და ყინულს ვადნობდით. **იქ ყოფნის მეთუ დღეს დარჩენილი გვექონდა პურის მხოლოდ ერთი ნაჭერი – ჩემი მუშტისხელა.** ოთხად გავყავით. ჩემი არჩივი ვერ შევჭამე, დიდხანსაც პირი ვერ დავაკარე იმის შიშით, რომ საკვების ეს უმცირესი ულუფაც გამოგველეოდა.

პოლინეოროპატიით (ნერვული სისტემის დაზინება. რედ.) დაავადებულ დედას სარდაფში სტრესის გამო ფეხებიც წაერთვა; ორჯერ გულიც გაუჩერდა; დედას ვერ დავკარგავდით. მამამ ხელოვნური მასაჟით გული აუმუშავა. წამლები არ გაგვანდა.

იმ სარდაფში ჩვენი იყო მხოლოდ იმედი და ლოცვა.

ასე გაგრძელდა 12 დღე.

„აა, მარუპოლელები ხართ? თქვენ – მარჯვნივ!“

დაბომბვა დილის 4 საათზე იწყებოდა, 10 საათზე კი ყველაფერი ისევ მეორდებოდა. მაგრამ იმ ღამით, ორ საათზე წარმოუდგენელმა ხმებმა ყველანი წამოგვეყარა, მერე მოგვეჩვენა, რომ დედამინა აგუგუნდა, შეზანზარდა, ბათქაში და აგური ერთმანეთში აირია.

მაშინ გავიფიქრე, რომ ეს სარდაფი იყო ჩვენი სამარე და აქედან ვერასოდეს გავალწვდით. სასონარკვეთილს იმედი გადამენურა.

და მაინც გადავწყვიტე, მელოცა. უფალს ვთხოვდი, რომ ჩემთვის ყველაფერი მალე დასრულებულიყო, არ მენახა ჩემი ახლობლების სიკვდილი, არ მეგრძნო საკუთარი უმწეობა.

ამის შემდეგ აღარც მახსოვს, როგორ გავიდა დღეები. რუსი ჯარისკაცები დაძრწოდნენ სარდაფებში, ასაფეთქებლებს გვიგდებდნენ შიშშილისგან, უძილობისგან გამოფიტულ-გადაქანცულებს.

ერთ დღეს მეზობლებისგან შევიტყვეთ, რომ შეგვეძლო, წავსულიყავით მელეკინოში (სოფელი დონეცკის სამხრეთით. რედ.). მამას ჰყავდა ერთი ძველი, ახლა კი არაერთი აფეთქების გამოც დაზინებულ-დამტვრეული „ჟიგული“. არც გვეგონა, თუ დაიქოქებოდა. მაგრამ დავიძარით.

გზაზეც იყრებოდა ბომბები, ფეთქდებოდა „გრადები“. და ახლა ჩვენი მიზანი მხოლოდ გადარჩენისთვის ომი იყო.

მელეკინომდე ცოტა გვიკლდა, როცა ოკუპირებული დონეცკის ერთ-ერთ საგუშაგოსთან გაგვანერეს. უკან გზა მოჭრილი გვექონდა. რამდენგზის გადარჩენილნი ახლა რუსი მესაზღვრეების პირისპირ ვიდექით. პასპორტები გავუწოდეთ.

– აა, მარუპოლელები ხართ? თქვენ – მარჯვნივ! – გავიგონეთ.


მაგრამ, ვინ იცოდა, საითკენ იყო ეს „მარჯვნივ“. ბლოკ-საგუშაგოდან უფრო და უფრო შორს გვაგზავნიდნენ. ასე თანდათან მანქანების ძალზე გრძელი კოლონის მწკრივში აღმოვჩნდით. სამხედროების მორიგი მითითებით, ჩვენი გზა უკვე სადღაც, „ქვევით“ გაგრძელდა. **და მთელი ამ ხნის განმავლობაში, როცა კი მოესურვებოდათ ავტომატიანებს, იარაღს უმიზნებდნენ ადამიანებს, ისროდნენ მანქანების მიმართულებითაც.**

„ჩვენი თანხით მხოლოდ ორი პურის ყიდვა შევძელით“

ასე მივალწიეთ იალტამდე (ეს სოფელიც დონეცკის ოლქშია. რედ.), სადაც თითქმის 10 დღე ერთ ძველ პანსიონატს შევაფარეთ თავი, უფრო ზუსტად, დავიმაღეთ.

საჭმელი არაფერი გაგვანდა, წყალს კი ჭიდან ვიღებდით. ამ სოფელში მუშაობდა რამდენიმე მალაზია, რომელიც რუსეთიდან ჩამოტანილი პროდუქტებით მარაგდებოდა. აქ იმდენად ძვირი იყო ყველაფერი, იმ თანხით, რაც გაგვანდა, მხოლოდ ორი პურის ყიდვა შევძელით. ვფრთხილობდით, ისეც არ წაერთმიათ.





რუსი ჯარისკაცები კარდაკარ დაძრწოდნენ, როგორც თვითონ ამბობდნენ, ეძებდნენ „ნაციონალისტებს“, „ფაშისტებს“. ზოგიერთი მიჰყავდათ კიდეც გაურკვეველი მიმართულებით, მერე კი...

ცეცხლი, წყალი, ჩაი და ორი პური – იალტაში ამის მეტი არაფერი გაგვანდა. მშობლებმა აქედანაც გადანყვიტეს წასვლა.

„ასე ეკარგებოდნენ ერთმანეთს ოჯახის წევრები“

ჩავალწიეთ მანგუშში. აქ კი უკვე იყო ე.წ. „ფილტრაციის“ ორი ბანაკი. რას ნიშნავდა „ფილტრაცია“?

ბლოკ-საგუშაგოსთან აჩერებდნენ თითოეულ შემოსულ მანქანას; განურჩევლად ადამიანებისა, მონმდებოდა ყველას ჯიბე, „ბარდაჩოკი“ (სათავსო), საბარგული, ბავშვის ჩანთაც კი; მამაკაცებს ქუჩაშივე აშიშვლებდნენ, აინტერესებდათ, ჰქონდათ თუ არა სხეულზე ნაციონალური ნიშნის გამომხატველი ტატუ; ასე ნადირობდნენ ისინი „პატრიოტებზე“.

„ფილტრაციის“ ორი ბანაკიდან ერთი ფეხით მოსიარულეებს „ამუშავებდა“. გრძელ, ცოცხალ რიგებში ადამიანების „გაფილტვრა“ თვეზე მეტხანს გრძელდებოდა. ამ წნეხს ბევრი ვერ უძლებდა, გარბოდა; ზოგი თავს შველოდა, ზოგს იქვე კლავდნენ.

მეორე ბანაკი აკონტროლებდა მათ, ვინც მანქანებით გადაადგილდებოდა. ჩვენს წინ 500-ზე მეტი ავტომობილი ჩამწკრივებულიყო, უკან კიდეც – ათასობით.

მანქანებიდან გადმოსვლა, საკვებისა და წყლის მოძიება, საპირფარეოში შესვლა აკრძალული გვექონდა. გვაფრთხილებდნენ, გვემუქრებოდნენ.

„გასაფილტრად“ ზოგჯერ მანქანიდან გადმოჰყავდათ ოჯახის რომელიმე წევრი – მამა ან დედა, რიგში მდგარი მანქანა კი უპირობოდ უნდა დაძრულიყო. ასე ეკარგებოდნენ ერთმანეთს ოჯახის წევრები. და ეს არავის აღელვებდა. იქ მყოფთ იარაღი ჰქონდათ, ჩვენ კი არაფერი.

როგორც გვითხრეს, „ფილტრაციის“ ბანაკი დილის 5-დან საღამოს 11-საათამდე მუშაობდა.

უფრო ზუსტად, რუსი ჯარისკაცები ვიდრე კარგად არ გამოფხიზლდებოდნენ, არ ისაუზმებდნენ, არ გააბოლებდნენ, მობილურით გულს არ იჯერებდნენ, ჩვენკენ არც გამოიხედავდნენ.

ჩვენი რიგის მოლოდინში „ასე ვიცხოვრეთ“ მანქანაში ორი დღე და ღამე (განა ვინმეს ვედარდებოდი?).

რიგმა ღამის 11-საათისთვის მოგვინია. ჩვენი მანქანა იმ დღეს იყო ბოლო, რომელიც ოკუპანტებს უნდა შეემონებინათ.


დედას, რომელსაც სიარული არ შეეძლო და ჩემს უმცროს დას მანქანაში დარჩენის უფლება მისცეს: თქვეს, რომ „გაფილტვრა“ 14 წლიდან იწყებოდა.

მე და მამა წაგვიყვანეს. ჩვენი მანქანიდან 200 მეტრში ორგანყოფილებიანი ჯიხური იდგა. ქუჩაში თითქმის შიშველ, ყინვისგან აკანკალებულ, გალურჯებულ ხალხს ვხედავდი.


იქვე რუსი ჯარისკაცები გულგრილი სახეებით ერთმანეთში საუბრობდნენ.

– და ისინი, რომლებმაც „ფილტრაცია“ ვერ გაიარეს, სად წაიყვანენ? – ჰკითხა ერთმა მეორეს.

– სად და... ჩავცხრილე. სადღაც 10-ზე მეტი ადამიანი იყო. უკვე დათვლაც მომბეზრდა, – მეორის პასუხიც გავიგონე.



„სდილობან, „ამოცნოთ“ სამშობლოზე შეყვარებული ადამიანები“



ჩვენი ჯერიც დადგა. მე ერთ ოთახში შემეყვანეს, მამა – მეორეში.

ჯერ თითის ანაბეჭდები ამიღეს, მერე ჩემი საბუთები დაასკანერეს, ტელეფონის ნომერი გადაამონმეს. მისვამდნენ პროვოკაციულ შეკითხვებს, აინტერესებდათ ხელისუფლების, უკრაინის მიმართ ჩემი განწყობა, დამოკიდებულება.

ასე ცდილობდნენ, „ამოცნოთ“ სამშობლოზე შეყვარებული ადამიანები. მერე კი დასცინოდნენ მათ, ამცირებდნენ, აგინებდნენ, სცემდნენ და სცემდნენ.

ჯიხურიდან გამოსულს ისევ შეიარაღებული ჯარისკაცი გამომყვა. მან რამდენჯერმე ხელი მკრა იმ მიზეზით, თითქოს ნელა მივდიოდი. დავეცი, მუხლი დავიზიანე, მაგრამ ვიცოდი: თუ არ ავდგებოდი და მანქანისკენ არ გავიქცეოდი, ვერ გადავრჩებოდი, მომკლავდნენ. ბოლოს ნამოვდექი და თავდაუზოგავად გავიქეცი.

დედამ, მარტო რომ დამინახა, საშინლად აფორიაქებულმა მკითხა: მამა სადაა? რა დაემართა? უკვე მოკლეს? თუ ანამებენ?

მე არაფრის თქმა არ შემეძლო.

მამა 40 წუთის შემდეგ დაბრუნდა. დავინახეთ, მასაც როგორ ჰკრეს ხელი, როგორ დაეცა. წამოდგომა სცადა და ისევ დაეცა. მაგრამ მაინც მოვიდა მანქანამდე. მამამ გაზს დააჭირა და დავიძარი. ბერდიანკამდე პირდაპირი გზა არ იყო: ხიდი აეფეთებინათ; ამიტომ გარეუბნებითა და სოფლებით ვარჩიეთ გზის გაგრძელება. ყველგან ვხედავდით გვამებს, დამტვრეულ ტექნიკას.

უკვე გზაშივე მამას მხედველობის პრობლემა შეექმნა – თითქმის ვერ ხედავდა, არც არაფერს გველაპარაკებოდა. ბერდიანსკში ღამე მანქანაში გავათეთ. **მამამ აქ გვიაბო, როგორ ჩაიარა „ფილტრაციამ“.**

თურმე მასაც ჯერ საბუთები მოსთხოვეს, თითის ანაბეჭდები აუღეს, გააშიშვლეს და გაჩხრიკეს. მერე დაუნყეს დაკითხვა, დაცინვა. მაგრამ, როდესაც უნახავთ, რომ ტელეფონი ცარიელი ჰქონდა (იქ ყველაფერი წაშლილი იყო), დაუნყიათ ყვირილი: „რატომ არის ცარიელი ტელეფონი? რას გვიმაღავ?“ და მაშინ გამეტებით ჩაურტყამთ თავში.

ამის შემდეგ აღარც კი ახსოვს, როგორ აღმოჩნდა უკვე ქუჩაში (მამამ მხედველობა ამ ცემის შედეგად დაკარგა).

„ნუ გეშინიათ, ჩვენ უკრაინელები ვართ“

ბერდიანსკიდან ზაპოროჟიემდე 27 საგუშაგო იყო. გზადაგზა ყველგან გვიმონმებდნენ საბუთებს, გვეკითხებოდნენ, ვიყავით თუ არა „გაფილტრულები“. მერე გვართმევდნენ საკვებს, თბილ ტანსაცმელს, სიგარეტს, ეძებდნენ ნარკოტიკებსა და ალკოჰოლს.


ვაგრძელებდით გზას, იქვე კი ბრძოლები მიმდინარეობდა.

გამთენიისას ჩავალწიეთ ორეზოვომდე, ზაპოროჟიეს ოლქში. მოგვეჩვენა, რომ სუნთქვა გაიოლდა – ჩვენს წინ უკრაინის დროშა ფრიალებდა!

თავიდან შეგვეშინდა: იქნებ პროვოკაციაა? იქნებ, ისევ დაგვცინიან? გაგვაჩერეს და საბუთები მოგვთხოვეს. გავუნოდეთ. თუმცა მაინც დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ისევ მორიგი განსაცდელი გველოდა.

მაგრამ იმ წუთებში ყველაზე დაუჯერებელი სიტყვები გავიგონეთ: – ნუ გეშინიათ, ჩვენ უკრაინელები ვართ!

ავტორდით. თავი ვერც ერთმა ვერ შევიკავეთ. ძნელი იყო იმის გაცნობიერება, რომ უკვე სამშვიდობოს ვიყავით.



ნაკოზ გომბაზაშვილის „პოლიტიკანობა აფხაზეთში“ გამოქვეყნდა 115 წლის წინათ, 1907 წელს. დიდი პედაგოგისა და გამორჩეული საზოგადო მოღვაწის ეს სტატია დაიბეჭდა სოციალ-დემოკრატების ყოველწლიურ გაზეთ „წყაროში“. ამ პუბლიკაციის მსგავსად, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაზე ნაკოზ გომბაზაშვილი არაერთ სხვა წერილშიც საუბრობს; ამასთან, ააშკარავებს რუსეთის იმპერიის მზაკვრულ პოლიტიკასაც, რამაც ქართველებისა და აფხაზების საუბუნოვანი თანაცხოვრება შეარყია (ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას ავტორმა 12 სტატია მიუძღვნა). პოლიტიკანობაზე აგებული დაპყრობითი ტაქტიკა, დაპარბული ტერიტორიებითა და ქართულ-აფხაზური გახლეჩილი ურთიერთობებით, საუბუნის შემდეგაც ქართული სახელმწიფოებრიობის უმძიმესი რეალობაა. „მტკიცე კავშირი მებრძოლებთან და სხვა ქართველებთან წელში გამართავს აფხაზებს, ზურბს გაუმბრებს, ძალას და ღონეს მისცემს და კარგის მომავლის იმედით ალავსებს“ – წერს ნაკოზ გომბაზაშვილი.

პოლიტიკანობა აფხაზეთში*

ნაკოზ გომბაზაშვილი

წერილი რედაქციისადმი

ამჟამათ აფხაზეთს ომი მოქმედებდა: ქიზინჯისკისა და სოფლისკის, სოფლისკისა და სოფლისკის იგი საქართველოს, გაიშვილებოდა და ვადაცხიხონ თავისკენ. მოხუცი მონაქმნი ახიან, რაიყვან ისქოხიყლო კავშირი აფხაზეთის ქართველებთან.

ეს ომი მონინაღობრევი სხვა და სხვა ხეხს ხმამაღეს თავისი წაქეზის მისაღწევად. ჯიჯიკონი სწიხრ კიდე და შესაბამის საქმესავე აკეთებენ, ქმნიან ფაქტებს და ამ ფაქტების ძალით იბრუნებენ, როდესაც მოხუცი მხოლოდ მუხრატობენ, სივიან, სწიხრ კოხისკონდრეციებს ვადაცხიხონ, სდაც თავის აკმაყოფილებას აცხადებენ – საქმით კი ახადეხს აკეთებენ.

ამ რაქოყვიციებს რადინყიხით ის საანბანო ტემპიხიყება, რომ აკაკობაში ის საქმის ძიოყვა შეიძლება მხოლოდ წაღობაში საქმით და ახს ქაქიყლო სიყვიით.

... აფხაზეთს და ქართველთა შორის ისქოხიყლო ქიხობის რამეყვით ხივიანად ვეხ შეყვინათ, რომ ძველებიხი ხეხიხიხით და ქაქიყიხით ახიო ალოხი ძალოყით ფონს ვავიღებენ, რომ ახადონ ვაქიხობანი ახადონ თხოლოობენ.



ნაკოზ გომბაზაშვილი

* – იბეჭდება შემოკლებით.

... თუ შევხედოთ ავსტრიის რაიხსთან დაკავშირებულ მასალებს, რომლებიც, უკვე
რედაქტირებული, რომ ავსტრიის მხრიდან იმ საკავშირებში სწავლას ვითარდებოდა და ვინ
როგორ შევხედოთ იმ საფასურებს, რომლებიც დაკავშირებულია და რედაქტირებულია; შექმნილი
შედეგები:

მეორე ავსტრიის საფასური იქნა მთელი რაიხისთვის, რომლისაც ავსტრიის სახელმწიფო იქნა.

მეორე, როგორც იმისთვის, რომელიც იქნა იმისთვის და განაშტეტა, ავსტრიის
ყველა-ყველა ნაწილი, რაიხის, ვაჭრობის, როგორც შექმნილი და სხვა, რომელიც მოხერხდა
იმის დასრულება ნაშრომებისა და მათზე, რომლისაც გაიქცა იმისთვის, თუ რომელიც
გააქტიურდა, რედაქტირდა და მოხერხდა იმისთვის.

შედეგად კავშირი შევსრულდა და სხვა რაიხისთვის ნაწილი განაშტეტა ავსტრიის, სხვადასხვა,
დაცვა და რომელიც იმისთვის და კავშირი მოხერხდა იმისთვის დასრულება.

**გაზეთ „წყარო“ რედაქციისაგან:
ამ წერილთან ერთად ვაპ. პედაგოგისაგან
შეამოვიდა შედეგი ბარათიც:**

მეორე რედაქციის!

ის ნაწილი "ნაწილი" რედაქციისა და რედაქციის: ავსტრიის იქნა იმისთვის დასრულება
შედეგად... კავშირი ვინ, რომ სხვა "წყარო"-ს რედაქციის დასრულება იმისთვის, მეორე მთელი ვიდეოს
იმის იმისთვის, რომ იმისთვის, იმისთვის დასრულება რედაქციის, რომელიც, რომელიც
დასრულება იმისთვის დასრულება და რომელიც დასრულება იმისთვის დასრულება
მეორე იმისთვის დასრულება დასრულება დასრულება.

იკავშირებულია

მ-ს ვიდეოს იმისთვის დასრულება, იმისთვის დასრულება იმისთვის დასრულება, იმისთვის,
დასრულება დასრულება დასრულება იმისთვის დასრულება...

**გაზეთ „წყარო“,
1907 წ. 28 ნომერი, ოთხგზის, №26.**



იკავშირებულია ბოლშევიკების ხელნაწილი

ვარსკვლავი ოდითგანვე მრავალი შემოქმედის მუზა ყოფილა. ცნობილია ნიკოლოზ გარათაშვილის „ჩემს ვარსკვლავს“, ხოლო მისივე ლექსი „ასტრა“ (ფრანგულად ნიშნავს „ვარსკვლავს“), სამწესაროდ დღემდე დაკარგულად ითვლება.

პირველივე სტრიქონებიდან მომწუსველია თანამედროვე აზხაზი ჰუმანისა და მხერლის ნონა ჯინჯოლიას თხზულება (უფრო მსატვრული ესე). მიმზიდველია სათაურიც – „ოლონდაც არ მოსწყდეს“; ესაა თავისად მიჩნეულ გამორჩეულ ვარსკვლავზე ხმაგალა ფიქრი; ამ მოწოლოგს მოვყავართ ფარულ ტკივილამდე; ძიების, ეჭვივისა და საკუთარ თავთან ზრძოლის შემდეგ ნანარმოების გირი თანლათან უახლოვდება საწკპარ ოცნებას. საპოლოოდ, უნებაროა ცაზე მოკიაფე მნათობისადმი მისი დამოკიდებულება: იგი მზადაა, პიროვნული „მე“-ც უარყოს, ოლონდ ვარსკვლავი ცას არ მოსწყდეს. აგავე დროს, ესაა მთხროვლის (ავტორის) შიში, თავად არ მოსწყდეს მას, მარადიულს – უფალს, რომელიც ნათელს ჰფენს და აზრს აქლავს მის არსებობას.

ოლონდაც არ მოსწყდეს

ნონა ჯინჯოლია

ავტხაზურიდან თარგმნა რიტა ამიჩაა-მარზანიამ

იმ ვარსკვლავმა, პირველად რომ დავინახე, არანაირად არ ამალეღვა, გრძნობის არც ერთი სიმი არ შემირხია. მაშინ, ალბათ, ჩავთვალე, რომ ცაზე მოკიაფე უამრავ მნათობთაგან ის არაფრით იყო გამორჩეული.

მერე და მერე, როცა თვალს მოვკრავდი ხოლმე, თითქოს მოსვენება მეკარგებოდა... როდის გამოანათებდა და სხვა მნათობებს შორის როდის დავინახავდი ჩემს ვარსკვლავს – ყველასგან განსხვავებულს.

მსურდა, დროც კი ამეჩქარებინა!

მაშინაც კი, როცა ცა საოცრად კაშკაშებდა და მეჩვენებოდა, რომ ყველა ციმციმა ერთდროულად ანთებულყო, ადვილად შემედლო მისი ამოცნობა.

ის ხან გამოანათებდა, ხან კი, ტატნობს ამოფარებული, ნისლის ბურუსიდანაც კი კრთოდა.

როგორც ახლადფეხადგმული ბავშვი, ის ჭადრაკის ფიგურების სიფრთხილით ელტვოდა სიცოცხლეს. მიუხედავად სიმცირისა, ის მუდამ გზას მინათებდა. და ეს მაოცებდა. მაჯადოებდა თავისი მშვენიერებით. ის ჩემი ვარსკვლავი, ასე რომ მითრთოლებდა გულს, მიშუქებდა უკუნ ღამეებს და მხვევდა ათასფრად მოელვარე სხივებში.

მაგრამ ღამლამობით ყოველთვის როდი ჩნდებოდა!

არაა ადვილი, იყო ციური მნათობი!

ჩვენ, აქ მყოფთ, გვეიმედება ჩვენი

საყრდენი – დედამინა! რომც დავეცეთ,

რომც აღარ ვიყოთ, სული არ კვდება.

მაგრამ დარდიანია, ტკივილით სავსეა

ვარსკვლავი, რომელიც ცას სწყდება!

როცა ის არ ჩანს, ყველა სხვა ვარსკვლავს სათითაოდ ვაკვირდები.

აგერ, უკვე რამდენიმე დღეა, შავად მოქუფრულ

ცაზე ის არ დამინახავს. ნუთუ ადგილი

შეიცვალა? დაჟინებულად შევცქერი ცას –

იქნებ, როგორმე გამოვძებნო ჩემი ვარსკვლავი

და მერე, ამ იმედით სავსე, გავყვე მის კვალს.

გული მაინც როგორღაც ფორიაქობს!



ბოლო დროს
თითქოს მეტისმეტი
სიკაშკაშით ისე
მაბრმავებდა, ისეთი
ძალით ასხივებდა,
მოვინყინე, სევდამ შემიპყრო.

ნეტა, რას ვეძიებ ციურ
სამყაროში? სად მე და სად ზეცა,
ასე შორს მყოფი!

აი, ისევ გამოჩნდა ის ჩემი
ვარსკვლავი, სხივიან მზერასა და
ვერცხლისფერ ღიმილში რომ ხვევდა
დედამინას. მაგრამ, ვისთვის?

ვინ იცის, იქნებ, ჩემსავით მას სხვაც
ელოდება? იქნებ, იმ სხვისთვის ციალებს ასე?

ზოგჯერ იმასაც კი ვფიქრობ, რომ შორეთიდან მომავალ სხივებს ვერ
ენდობი, ნაბიჯებს ვერ აუწყობ... დედამინაზე ხომ იმდენი საცდურია!..

ხელს ვინვდი ზეცისკენ, რომ შევაგროვო ქვიშაქცეულ ვარსკვლავთა
ნამცეცები; ვინ იცის, იქნებ, რომელიმე მათგანი შემოვაბრუნო
სიცოცხლისკენ?

არადა, ვიცი, თავს ვიტყუებ. ფუჭია იმ ჩემთვის დაკარგულ ვარსკვლავზე
ფიქრი, სიცოცხლეს რომ მნათობთა შორის აგრძელებს.

ეს იყო აუხდენელი ოცნება.

იმ შორეთში უსასრულოა სამანი დედამინასა
და ვარსკვლავეთს შორის!

მე, წერტილზე უფრო მომცრო, მინამ მშვა და
მასვე ვეკუთვნი!

ეს ყველაფერი ვიცი, მაგრამ გული
მაინც ფორიაქობს – ისევ იმ ვარსკვლავს
მივჩერებივარ.

იქნებ, უკვე საკმაოდ ხნოვანია
და ხშირად ამიტომაც არ ჩნდება.
ვარსკვლავთმბრძანებლის დარად, ზოგჯერ
მთვარით განათებულ ცაზე ისეთ სხივებს
მიმოაბნევს ხოლმე, რომ ირგვლივ ყველასა
და ყველაფერს ჩრდილავს.

თითოეული მოკვდავი თავის
ვარსკვლავთან ერთად იბადება. ვიცი,
ჩემი არასოდეს დაბერდება. ის არ მხედავს
და ვერც ვერასდროს დამინახავს. მე კი,
ვივინყებ რა საკუთარ „მე“-ს, ჯიუტად
მივჩერებივარ მას...

ოღონდაც არ მოსწყდეს!..



კონსტანტინე გამსახურდიაზე გვერის დანერგვი. სახელოვანი მწერლის შემოქმედებითი თუ პიროვნული პორტრეტი თანდათან ივსებოდა უამრავი არაერთგვაროვანი მოგონებით. ისიც ფაქტია, რომ „დიდთა“ ცხოვრება ხშირად იწუთება ლამაზი ლეგენდებითაც. თუმცა ამგვარი, რომელიც ლეგენდას (პროფესიით ექიმი) პუბლიცისტიკაში მოთხრობილი, ეყრდნობა მხოლოდ რეალურ ფაქტებს და, რაც მთავარია, გიქმნავს იმეორე დიდი მწერლის ცხოვრებისეული გზის ნაკლებად ცნობილ ეპიზოდებს.

ლამაზა თანგადასაზღვრა, რომელიც XX ს.-ის 20-იან წლებში, ბორჯომის პარკის ძველსავე კალა უჩვეულო შეხვედრით დაიწყო, საშუალოდ დააკავშირა ერთმანეთს ორი პიროვნება. ჯერ მათ ერთმანეთის შესახებ არაფერი იცინა: ერთი, ნესტორ ბარამიძე, სტუდენტი; მან ეს ესაა, ბოლშევიკების ციხეს გაქცევით დააღწია თავი, მეორე კი – ცოტა ხნის წინ ეპროვინციულ ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით დაბრუნებული, ახალგაზრდა მწერალი – კონსტანტინე გამსახურდია.

ნესტორ ბარამიძე წერილის ავტორის – ლეგენდას ბიძა (მამილის ძმარი) იყო.

კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრების უსწორი ეპიზოდები

ერთკაციან საკანში დათვთან ერთად

ლეგენდა



კონსტანტინე გამსახურდია და ნესტორ ბარამიძე. 16.06.1941 წ. ქ. ნაიბუხი

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის მენშევიკურმა მთავრობამ, ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით, საფრანგეთს შეაფარა თავი. მრავალი ქართველი დაიღუპა წითელარმიელებთან ბრძოლაში, ბევრიც დაიჭირეს და დახვრიტეს.

1921 წელს მეტეხის ციხეში სხვა დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდა 17 წლის ნესტორ ბარამიძეც, რომელიც სხვა პატიმრებთან ერთად მეორე დღეს უნდა დაეხვრიტათ. იმ ღამით მთვრალმა ბადრაგებმა „გართობა“ გადანიჭეს და ახალგაზრდა პატიმარს ვინრო, ერთადგილიან საკანში მშვიდი დათვი შეუგდეს. ნადირს თურმე ასე კვებავდნენ, თან ასე „ერთობოდნენ“.

როცა რკინის მძიმე კარს იქით დათვის ღრიალი შეწყდა და აღარც კაცის ხმა ისმოდა, ბადრაგებმა გამოაღეს საკანი და გაოცებისგან გაშეშდნენ: უსულოდ დაგდებულ დათვზე იჯდა დასისხლიანებული, თუმცა უვნებელი ახალგაზრდა, რომელმაც მშვიდად ახედა მცველებს და უთხრა, გაეყვანათ დათვი საკნიდან.

შეშველი ხელებით დათვის გაგუდვის ამბავი ციხის უფროსმაც შეიტყო. ბრძანა, მიეყვანათ მასთან ის პატიმარი. ციხის უფროსი მაშინვე მოიხიბლა ახალგაზრდის ახოვანებით, დიდრონი, უძირო ცისფერი თვალებით. გამოჰკითხა ასაკი, სახელი, გვარი, წარმომავლობა; დედის გვართაც დაინტერესდა და აღმოჩნდა, რომ ციხის უფროსიც ციცნაძე იყო, როგორც ამ პატიმრის დედა.

მერე დაიწყეს ღონიერი და უშიშარი ახალგაზრდის გადმოხიზება, ანამეს კიდევ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ციხის უფროსმა სიკვდილისთვის მაინც ვერ გაიმეტა პატიმარი ბარამიძე, დედით ცინცაძე. მერე კი მან თავისთვისაც სახიფათო გადანიჭვტილება მიიღო – იმავე ღამეს პატიმარს ციხის კარი გაუღო.

ბორჯომის პარკის ძველსავე

ნესტორმა თავისი ძმის სახლს მიაშურა – ბორჯომისკენ გაიქცა. მთელი ღამე არ შეჩერებულა, დაღლა არ უგრძენია. ნარიურაყევს ბორჯომის პარკთან, ძველსავე ჩამოჯდა მოსასვენებლად. მალევე მისკენ საეჭვოდ მომზირალი კაცი შენიშნა. ჯაშუშად მიიჩნია. გაიფიქრა კიდევ, რომ მალე უცნობი მის დასაჭერად ჩეკისტებს მოიყვანდა. ამიტომ თვითონაც თვალს არ აცილებდა, ხელსაყრელ მომენტს ეძებდა გასაქცევად.

* – პუბლიკაციასთან ერთად ექსკლუზიურად ქვეყნდება კონსტანტინე გამსახურდიას დღემდე უცნობი ფოტოები.

მამაკაცი მიუახლოვდა და თავაზიანად ითხოვა, ჩამომჯდარიყო მის გვერდით. საუბარი გაუბა ჯერ ამინდზე, შემდეგ ლიტერატურაზე, ფილოსოფიასა და ზოგადსაკაცობრიო თემებზე. ნესტორიც აჰყვა საუბარში, თან დალილ ფეხებს ასვენებდა. თუმცა უკვე ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ უცნობი მამაკაცი მოგზავნილი იყო. ბოლოს მან ჰკითხა ნესტორს:

– ასეთმა ახალგაზრდამ სად შეიძინე ამდენი ცოდნა? ვინ ხარ?

ნესტორმა მშვიდად მიუგო:

– მშვენივრად იცით, ვინც ვარ! რას ელოდებით? გააკეთეთ თქვენი საქმე, ნადით, დაუძახეთ თქვენებს, დააჭერინეთ ჩემი თავი!

– თქვენ ცდებით, ახალგაზრდავ! მე ის არ ვარ, ვინც გგონივართ! – იყო პასუხი, – ნება მიბოძეთ, გაგეცნოთ, მე ვარ კონსტანტინე გამსახურდია და შენთან მეგობრობა მსურს!

დიახ, მაშინ ჯერ კიდევ უცნობი, ევროპიდან ერთი წლის წინ დაბრუნებული და შემდგომში ცნობილი დიდი მწერლისა და მასზე ათი წლით უმცროსი ნესტორ ბარამიძის მეგობრობა ამ შეხვედრით დაიწყო.

მეგობრობა ოჯახებით, ნათელმირონობით

ის დღე ნესტორის ძმის – ვლადიმერის სახლში გაატარეს. შემდეგ კონსტანტინემ ნესტორი რამდენიმე დღით წაღვერში წაიყვანა დასასვენებლად (საკუთარი ხარჯით); ბორჯომში დაბრუნების შემდეგ კი უყიდა შარვალი, პიჯაკი და ფეხსაცმელი, მოანსრიგა სადალაქოშიც. ამის შემდეგ მიიყვანა თბილისში, ჯაფარიძის ქუჩაზე, სახლში, სადაც ერთ ოთახს იყოფდნენ ის და ალექსანდრე (საშა) აბაშელი. საშას ასე წარუდგინა ნესტორი:

– შენ შეიძლება, გაგტეხონ, ამას კი ვერასოდეს გატეხენ!

იმ დღიდან იმ ოთახს უკვე სამნი იყოფდნენ. იმ დღიდან დაიწყო და სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდება ნესტორ ბარამიძესთან მეგობრობა, გაგრძელდება ოჯახების დაახლოებით, ნათელმირონობით, შვილების მეგობრობით. კონსტანტინე გამსახურდია მათ შეუბღალავ ურთიერთობას მიუძღვნის წიგნსაც „ჩემი ცხოვრების რომანი“ (თუმცა ცენზურამ ამ ნაწარმოების დაბეჭდვა აკრძალა).

ნესტორ ბარამიძესაც და კონსტანტინე გამსახურდიასაც 8-8 დედამამიშვილი ჰყავდათ. ნესტორის მამა – იოსებ ბარამიძე წარმოშობით ლანჩხუთიდან იყო. ლანჩხუთში ის თავისი მეუღლის – იუსტინე ცინცაძის ბიძასთან, საბახტარაშვილთან ერთად ხე-ტყის გადამამუშავებელ ორ ქარხანას ფლობდა; იყო მეცენატი, ნიკო ნიკოლაძისა და ვაჟა-ფშაველას დიდი მეგობარი. მის სახლში ეწყობოდა ლიტერატურული საღამოები; ილია და აკაკი ხშირად სტუმრობდნენ იოსებ ბარამიძეს; მას ჰქონდა უნიკალური ბიბლიოთეკა, რომელიც შემდგომ ნესტორს მემკვიდრეობით ერგო. ასეთ გარემოში გაზრდილი ნესტორი ამიტომაც გამოირჩეოდა აზროვნების ფართო თვალსაწიერითა და ერუდიციით.

ბარამიძეების ოჯახი ლანჩხუთიდან ფოთში გადასახლდა. ნესტორმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ფინანსების ფაკულტეტი დაამთავრა. მომავალი მეუღლე – თამარ ყვანია, რომელიც გაიცნო ფოთში, თურმე ფაიტონით მოიტაცა. ფოთშივე დასახლდნენ. შეეძინათ 3 ვაჟი და 1 ქალიშვილი.

თამარი ფრანგული და გერმანული ენების მასწავლებელი იყო. ნესტორის უფროსი ვაჟი თენგიზი და კონსტანტინეს უმცროსი შვილი – ზვიადი თითქმის ტოლები იყვნენ.

თამარსა და მირანდა ფალავანდიშვილს (კონსტანტინეს მეუღლეს) დებივით უყვარდათ ერთმანეთი, ბავშვებსაც ერთად ზრდიდნენ; ზოგჯერ ერთმანეთში ფრანგულად საუბრობდნენ (როცა სხვებისგან საიდუმლოდ რაღაც ჰქონდათ სათქმელი). ყოველ ზაფხულს გამსახურდიები ფოთში ატარებდნენ, ხალისობდნენ, ეცნობოდნენ ახალ ლიტერატურას. მწერალს სწორედ ბარამიძეების ბაღში უყვარდა განმარტოება და იქ თავის წიგნებზე მუშაობდა. თამარ ყვანიას თამრიკო და ზვიად გამსახურდიები ბიცოლას ეძახდნენ, რადგან ამ ორი ოჯახის თავკაცები ერთმანეთს ძმებად მოიხსენიებდნენ.

მირანდა ფალავანდიშვილისა და ზვიადის მონათლულია ნესტორის ქალიშვილი, რომელსაც სახელი კონსტანტინემ გადაარქვა – მანანას მირანდა დაარქვა; ნესტორის უფროსი ვაჟი თენგიზი (თეზო) სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის პერიოდში კოლხურ კომპი ცხოვრობდა გამსახურდიებთან, ღვიძლი ძმებივით ერთ ოთახში ეძინათ ზვიადსა და თეზოს. თენგიზის ერუდიციით აფრთოვანებული კონსტანტინე ხშირად უთვლიდა ნესტორს მადლობებს; მასთან საუბარში გატარებული, თუნდაც, ერთი საათი ცოდნის აკადემიის დამთავრებას უდრისო, ხშირად იტყოდნენ ხოლმე მასზე.



ქონსტანტინე გამსახურდია, მიხანდა ფალავანდიშვილი და ნესტორ ბარამიძე

როგორც ექიმი გასტროენტეროლოგი, თენგიზ ბარამიძე თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი იყო. თუმცა, როცა ვითარებამ მოითხოვა, ზვიადის თხოვნით, დროებით მან უარი თქვა ექიმობაზე და ჯერ ფოთის დეპუტატი, შემდგომ კი ქალაქის პრეფექტი გახდა. თენგიზ ბარამიძეს ხელი აქვს მონერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზეც. მასზე ერთგული ზვიადს ცოცხალი ეგულეობდა. სამოქალაქო ომის დროს მთავრობის სასახლის ე.წ. „ბუნკერში“ ბოლომდე პრეზიდენტის გვერდით იყო და გროზნოშიც თან გაჰყვა. ზვიად გამსახურდიას სიკვდილის შემდეგ იძულებული გახდა, ემიგრაციაში (გერმანიაში) წასულიყო.

ჩოხოსნაძე

სიცოცხლის ბოლოქარ გზაზე მუშაობდა მწერალს იმედად და გულშემატკივრად ჰყავდა ნესტორ ბარამიძე. უამრავი ჩანაწერი, დოკუმენტი თუ ჟურნალ-გაზეთი საბჭოთა რეჟიმთან შეურიგებელ შემოქმედს ნესტორის სახლში ჰქონდა გადაძალული.

როცა 1924 წელს კონსტანტინე დაიჭირეს, ნესტორს საიდუმლოდ შემოუთვალა, დაენვა ყველაფერი, რადგან, იცოდა, რომ მასთანაც მივიდოდნენ; კონსტანტინე გამსახურდია ფაქტების არქონის გამო გაანთავისუფლეს. მალე მწერალი ისევ დაიჭირეს „მპინისა“ და „მოლაღატის“ ბრალდებით. ქართველი მწერლების I ყრილობაზე კონსტანტინე გამსახურდიამ რუსიფიკაციისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ გაილაშქრა და თქვა ასეთი სიტყვა:

„მე მაინცდამაინც დიდ პატივს არ ვცემ იმ მთავრობას, რომელმაც ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლები თითქმის მცხეთის სანახებამდის ჩამოიტანა, მთლიანად ქართული რაიონი გალისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკას გადაულოცა და მეგრულ ბავშვებს მარტოოდენ აფხაზურსა და რუსულს ასწავლიან“ („ლიტერატურული საქართველო“, 1991.26.07).



ნესტორ ბარამიძე და თამარ ჟვანია

ამის მერე ის ჩაიყვანეს მოსკოვში; ლუბიანკაზე დაკითხვისას გამსახურდიამ ძერჟინსკის მოადგილეს სილა გაანა, რისთვისაც ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუწყვეს: 6 თვე „ბუტირსკის“ ციხეში სიკვდილიმისჯილთა საკანში ამყოფეს; შემდეგ სოლოვკის კუნძულებზე 3 წელი ყოველ დღე სიკვდილს ელოდა, მაგრამ მაინც არ გატყდა (სოლოვკური მოგონება „მტრების მეგობრობა“).

ამ ხნის განმავლობაში ნესტორი პავლე ინგოროყვასთან ერთად იმდენჯერ ჩავიდა და ორივემ იმდენი მოახერხა, რომ საბოლოოდ მეგობარი დაიხსნეს. 1927 წელს კონსტანტინე გამსახურდია გაანთავისუფლეს საქართველოს ცაკ-ის შუამდგომლობით ჯაშუშობის დამადასტურებელი მასალების არქონის გამო.

ნესტორი და მისი მშობლები ევროპიდან ახლადდაბრუნებულ და საქართველოში ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმულ კონსტანტინეს ფინანსურად ეხმარებოდნენ. გასული საუკუნის 20-იან წლებში სწორედ ასე დააარსა მწერალმა ჟურნალები: „პრომეთე“, „ილიონი“, „ლომისი“ (გალაკტიონთან და ლეო ქიაჩელთან ერთად), „ქართული სიტყვა“, შემდეგ ლიტერატურული გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“; ამასთან, მომავალი კლასიკოსი უკვე აქტიურად თარგმნიდა გერმანელი კლასიკოსებისა და ფილოსოფოსების თხზულებებს, ამკვიდრებდა ევროპულ ესთეტიკას.

ამავე დროს, სწორედ ამ შავწელი 20-იანი წლებიდან, ეროვნული გლოვისა და პროტესტის ნიშნად, მეგობრებთან ერთად თბილისის ქუჩებში მწერალი შავი ჩოხით დადიოდა; შავჩოხიანი კონსტანტინე, ნესტორი და მისი თანამოაზრენი ხშირად დემონსტრაციულად ჩაუვლიდნენ ხოლმე ცეკ-ას შენობას.

ბევრმა არც იცის ერთი საგულისხმო ფაქტი: კონსტანტინე გამსახურდიამ

მწერალთა კავშირში შეიტანა და კედელზე ჩამოკიდა ივანე ჯავახიშვილის მიერ პირადად მისთვის გადაცემული ილიას, აკაკის, ვაჟასა და გრიგოლ ორბელიანის მოოქროვილ ჩარჩოებში ჩასმული დიდი სურათები. პროლეტარმა მწერლებმა ამ პორტრეტების ჩამოხსნა და მათ ნაცვლად გორკისა და დოსტოევსკის სურათების ჩამოკიდება სცადეს, მაგრამ მათ ჩოხოსანი კონსტანტინე გადაუდგა და მკაცრად უთხრა:

– მე საჯაროდ ვაცხადებ: ვინც გაბედავს ჩვენი კლასიკოსების სურათების ჩამოხსნას, ჩემ სვანურ სატევართან ექნება საქმე!

1931 წელს ერთ-ერთ პლენუმზე კონსტანტინე გამსახურდიას უთქვამს:

– აფხაზეთის მეგრულმა რატომ უნდა ილაპარაკოს რუსულად? ან ზალდათს მაიაკოვსკი რატომ უნდა ერქვას, როცა საქართველოში ქართველი მწერლის სახელი არც ერთ ქალაქს არ ჰქვია?

ცეკ-ას წარმომადგენელმა კარლო ორაგველიძემ მას ნაციონალისტი უწოდა, სხვებმა კი – შოვინისტი, რეაქციონერი, „შავი ჩოხის“ ფეოდალური ტრადიციის დამცველი, პოლიტიკურად მავნე მხატვრული ნაშრომების ავტორი და ანტისაბჭოთა მწერალი. მალე კონსტანტინე გამსახურდია გარიცხეს კიდევ მწერალთა ფედერაციის რიგებიდან.

და მაინც: შავი ჩოხით, წელგამართული, ამაყი მზერითა და ღირსებებით სავსე დაბიჯებდა კონსტანტინე გამსახურდია ყოფილ გოლოვინის ქუჩაზე, რომელსაც რუსთაველის სახელი მისი ინიციატივით დაარქვეს.

საგულისხმოა მწერლის ევროპაში ცხოვრების ფაქტებიც. მოსკოვში ერთწლიანი ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლების შემდეგ ის კენიგსბერგის, ლაიფციგისა და მიუნხენის უნივერსიტეტების სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტია.

მიუნხენში დაუმეგობრდა თომას მანს. 1914 წელს I მსოფლიო ომის წინააღმდეგ გამართულ აქციაზე დაიჭირეს და 1 წელი ამყოფეს საკონცენტრაციო ბანაკში. განთავისუფლდა თომას მანის შუამდგომლობით. 1916 წელს სწავლას აგრძელებს ბერლინის უნივერსიტეტში, 1919 წელს კი, სადიპლომო ნაშრომის „საქართველოს მეფე ერეკლე II“ წარმატებით დაცვის შემდეგ ენიჭება ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი.

1918-19 წ.წ.-ში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერმანიის საელჩოში ატაშედაც მუშაობდა. სწავლის პარალელურად მან ჰამბურგში შეკრიბა I მსოფლიო ომის დროს ტყვედჩაყვარდნილი 3000-მდე ქართველი და საკუთარი ხარჯებით დაქირავებული გემით ისინი სამშობლოში ჩამოიყვანა. თან ჩამოიტანა მედიკამენტები და პირველი რადიოდანადგარი.

„ჩვენ კმაზი ვართ!“

და კვლავ ნესტორ ბარამიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას მეგობრობის უცნობ ისტორიებს გავიხსენებ.

როცა კონსტანტინეს ვერაზე დიდი ეზო უყვიადა, ნესტორისთვის უთქვამს:

– აქ ორი სახლი ჩავდგათ, ლოზე არ გვინდა, ჩვენ ძმები ვართ!

ნესტორი ვერ დაითანხმა, იმ ეზოში კი დიდმა მწერალმა კოლხური კოშკი ააშენა.

ნესტორ ბარამიძეს სახლი ჰქონდა ალ. გრიბოედოვის ქუჩაზე, №2-ში, სადაც დაახლოებით 6 თვის მანძილზე რუსთაველზე გაცნობილი გალაკტიონიც შეიფარა, ხოლო შემდეგ კი მისი ერთ-ერთი მეგობარი. როცა ამ მეგობარმა ცოლი შეირთო, ნესტორმა მას თავისი ბინა აჩუქა, თავად კი ფოთში წავიდა საცხოვრებლად.

ნესტორსა და კონსტანტინეს ერთად ჰქონდათ მოვლილი მთელი საქართველო. ვარძიის გამოქვაბულში – თამარის კოშკში ღამეც კი გაუთენებიათ.

ერთხელ ბათუმიდან ქობულეთამდე მატარებლით მგზავრობისას ვაგონიდან პატარა გოგონა

გადავარდნილა. მატარებელი გაუჩერებიათ, მგზავრებს გოგონასთვის ვერ მიუგნიათ. მატარებელი, რა თქმა უნდა, დაძრულა. მგზავრებიდან მხოლოდ ნესტორი და კონსტანტინე დარჩენილან და გაუგრძელებიათ ძებნა, უპოვიათ კიდეც უვნებელი. გოგონა უახლოეს სადგურში მიუყვანიათ და ბათუმშიც გაუმგზავრებიათ.

დიდ კონსტანტინეს ხშირად მოიხსენიებენ როგორც ძუნწ კაცს, რაც, არ მგონია, სინამდვილეს შეეფერებოდეს. ნესტორთან ისე არ ჩავიდოდა ფოთში, საჩუქრებით სავსე ჩანთა რომ არ ჩაეტანა.

ნესტორი მშრომელი კაცი იყო და ჭკვიანი ფინანსისტიც. მის ოჯახს ეკომონიურად არასოდეს უჭირდა; თუმცა ერთხელ სამსახურში ფინანსური პრობლემები შეექმნა და სოლიდური თანხა კონსტანტინემ გადაუხადა. გარკვეული დროის შემდეგ, როცა ნესტორმა თავი დააღწია ამ მდგომარეობას, მეგობარს თანხა დაუბრუნა. ფული კონსტანტინეს არაფრით არ აუღია:

– ძმებს შორის ვალი და სესხი მე არ გამიგია!

ცნობილია, რომ კონსტანტინე ალალი კმაზისა და ნესტორის ბარდა „ამას“ არავის უწოდებდა. ეს იმიტომ, რომ წარწერი, გულითადად მემოზგროვისა და ერთგულების ფასი იცოდა ორივემ და ერთმანეთის მიმართ გულუხვობასაც ავლენდნენ.

კონსტანტინეს ყოველი წერილი ასე იწყებოდა – „ამო, ნესტორ!“ და ასე მთავრდებოდა – „შანი კონსტანტინე“.

დიდი მწერლის ყოველ ახალგამოცემულ წიგნზე ასეთი წარწერებია: „ჩემს ძვირფას მეგობარს, ძმას, ნესტორ ბარამიძეს. კონსტანტინე გამსახურდია“, ან „ჩემი სიყვარული და ვაჟაყვარლის მეგობარს. ძმური სიყვარულით“ და ა.შ.

დარწმუნებული ვარ, მათი მეგობრობის ისტორია მარადისობაშიც ბრძელდება, ხოლო მათი შთამომავლები კონსტანტინე (კოკო), გიორგი და ცოტნე გამსახურდიები დღემდე მეგობრობენ ბარამიძეების შთამომავლებთან.



მახსენიდან: ნახშიხ ბაჩაიძე, მიხანა ფანავანიშვილი (ჯონსტანტინეს ძეგლი), თამაზ ფანავანი (ნახშიხის ძეგლი), თინა ბაჩაიძე (ნახშიხის ძმის - ვლადიმერის შვილი), თამაზ ბახსანიანი (ჯონსტანტინეს ძმის შვილი), თინა ბაჩაიძე (ნახშიხის შვილი) ნინ სხედან: ზვიად ბახსანიანი, ანა და თამაზ ბაჩაიძეები (ნახშიხის შვილები)

სოხუმიდან გამოსული უკანასკნელი გემით

ნანა ჭანტურიას

ოგი იმდენი წლისაა, რამდენ ღვინს, წელსა თუ საუკუნეს ითვლის კაცობრიობა. ოგზე გეტი ღუელიანტი განუქითხომოვის პარიერთან არავის უნახავს. არც არავის დაუსვამს ალაშიანისთვის იმდენი შიკითხვა, რამდენიც ომს. სწორედ ბრძოლებში, ღირებულებათა გაღაფანების ამ დაუნდობელ ველზე, ჩაპარგული თუ ვერბაცემული პასუხების გამო ისჯება სამყარო და ომების დასასრულიც არ ჩანს...

გვერდი ღრო არ დასჭირდა ომს იმისთვის, რომ ჯერ საგაზალო, მერე ბაბრა, მერე სოხუმიც, შემდგომ კი მთელი აფხაზეთი, ჩვენი ძირძველი საპრისტიანო კუთხე, გაემიჯნა ყოველივე ქართულისაგან.

ვიღრე პირისპირ შეხვედრად ერთმანეთს, ასე მემონა, ცოტად თუ ბევრად მაინც ვიცნობდი მას. უკვე საუბრის დასასრულს თამამად შემიქლო მეთქვა (და, ვფიქრობ, არ ვაჭარბებ), რომ თავიდან აღმოვაჩინე გივი იმანიშვილი, ჯარისკაცი, გვერის მსგავსად, წაგებული ომიდან გამარჯვებული რომ დაბრუნდა. ეს კუბლიკაციაც ომის მიერ დასმული შეკითხვების საპასუხოდ დაინერა.

გივი იმანიშვილი – სოხუმელი, გვლიცინის მცენიერებათა დოქტორი, თაღარიგის კაპიტანი.

აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე გუშაობა დაიწყო აბუქერის (ბულრიფშის რაიონი) მოძრავ-საევაკუაციო ჰოსპიტალში. ამ სტრატეგიული მნიშვნელობის პირველ ქართულ ჰოსპიტალში (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-სამედიცინო სამმართველოს გაზაფხუ შექმნილი) ძირუბა-შროლობი გივი იმანიშვილი სამედიცინო ნაწილის უფროსად დაინიშნა. აფხაზეთის იშულებით დატოვების შემდგომაც ის ჯარისკაცთა რიგებში ჩაღმა: ამჟერად გუშაობა დაიწყო თბილისის ბარნიჟონის ცენტრალურ ჰოსპიტალში.

და მაინც, რატომ ავირჩიეთ რესპოდენტად ბატონი გივი იმანიშვილი?

27 სექტემბერს, როცა სოხუმი უკვე დაცემულია, შუალაშის საათებში ჰოსპიტალში მოყვანილ სამ დაჭრილ მემარს ის ურთულეს ოპერაციას გაუქეთებს; 28 სექტემბერს კი, ბულრიფშის მისაღვრებთან, სამედიცინო სამსახურის უფროსი გივი იმანიშვილი კოლეგებთან ერთად უკანასკნელი უკრაინული სამხედრო გემით საფრთხილოდ გაიყვანს სტაციონარში მყოფ უკანასკნელ დაჭრილ მემარს, გოლომდე სოხუმის დაგცველთ.

ბაღარჩენილი საარქივო ყუთი

მართალია, ჩვენ აფხაზეთი დამარცხებულებმა და ღირსებაშელახულებმა დავტოვეთ, მაგრამ ერთმანეთისა და საკუთარი თავის წინაშე ბოლომდე მართლები დავრჩით. არაერთხელ მითქვამს და ისევ ვიმეორებ: საქართველომ უნდა იცოდეს, რომ იყო ასეთი სამხედრო-სამედიცინო სამსახური, რომელსაც პირველი ქართული ჰოსპიტალი ერქვა, მისი მუშაკები კი ნამდვილი გმირები არიან.

მიუტევებელ დუმილად ჩამეთვლება ერთი საგულისხმო გარემოების არაღნიშვნა: როცა სოხუმი, ფაქტობრივად, ალყაში იყო, ბუნებრივია, ფუნქციონირება შეწყვიტა ქალაქის ყველა სამედიცინო დაწესებულებამ. ჩვენი, აგუქერის ჰოსპიტალი სექტემბრის ბოლო რიცხვებში ერთადერთი მოქმედი სამედიცინო დაწესებულება იყო. **მეძლევა საშუალება, ისევ და ისევ პატივისცემით მოვიხსენიო ჩვენი მამაცი და ერთგული ის კოლეგები, სოხუმის დაცემამდე რამდენიმე დღით ადრე სხვა სტაციონარებიდან მედიკამენტებით, გადასახვევი მასალებითა და ბარჩენილი სამედიცინო ინვენტარით რომ მოვიდნენ აგუქერაში (სოხუმიდან ათიოდე კილომეტრში).**

„აგუქერელებიდან“ თბილისში 35-ნი ჩამოვედით. მათ შორის, 7 ექიმი, სხვები – მალაკვალიფიციური ექთნები და უმცროსი მედპერსონალი. როგორ გამოვალნიეთ დაცემული სოხუმიდან, ეს ჩემი წარსულის ყველაზე ამაღლევებელი ეპიზოდია და ამის შესახებ აუცილებლად მოგახსენებთ. მაგრამ მანამდე სხვა სათქმელს ვიტყვი: როცა ჩვენ, უკვე დევნილებმა, სამუშაო ადგილები მოვითხოვეთ, ჩვენდა გასაოცრად, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ ვაკანსიის დეფიციტი მოიმიზება და უარით გამოგვისტუმრა (2 ექიმის გარდა); ყოველგვარ პირობებზე ვიყავით თანახმანი, ოღონდაც შემადგენლობა არ დაშლილიყო, ისევ ერთად ვყოფილიყავით. მეტსაც გეტყვით:





აქ, თავდაცვის სამინისტროს კადრებში, არ აღმოჩნდა პირველი ქართული ჰოსპიტლის მედპერსონალთა არათუ პირადი ანკეტები, არანაირი საბუთიც კი, რომელიც ასახავდა ჩვენი სამსახურის 13-თვიანი ბრძოლის სამედიცინო ისტორიას.

რა თქმა უნდა, არსებული ზნეობრივი კანონების მიხედვით, სამხედრო პირი, თანაც ექიმი, არც პოლიტიკურ ვნებათაღელვას უნდა აჰყვეს და არც სახელისუფლო ინტრიგების ქსელში უნდა გაეხვიოს. არც მაღალ ნოტაზე საუბარია ჩემი სტილი, მაგრამ მაინც ვიტყვი: ჩვენ, რომლებმაც, ბევრის მსგავსად, აფხაზეთი სამხედრო ფორმებისა და თეთრი ხალათების ამარა დავტოვეთ, იმას ვემსახურებოდით და ვენიერებოდით, რისიც ასე გვჯეროდა და გვწამდა.

28 სექტემბერს, გამთენიისას, როცა სოხუმი უკვე დაცემული იყო და ჩვენც გარდაუვალი დაღუპვა გველოდა, ერთადერთი მედმუშაკი, ვინც შემადგენლობიდან ჩვენივე ნებით „მოიხსნა“, იყო უფროსი ექთანი – ქალბატონი ლუდა სალია. და, იცით, რა მიზეზით? ჩვენ არ ვიცოდით, რას გვიმზადებდა ბედისწერა, რა იქნებოდა თუნდაც უახლოეს საათებში. ამიტომაც ჭუბერისკენ გაჭრილ გზას გავეუყენეთ ლუდა სალია და თან გავატანეთ პირადი საბუთებისა და სარეგისტრაციო ჟურნალების საარქივო ყუთი. აქ იღო ომისა და ჰოსპიტლის ერთნაირი ისტორიის ფურცლები.


მინდა, მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, იმ 2000 მეომარს შორის, ვინც ჩვენს ჰოსპიტალში დაჭრილი შემოიყვანეს, ვერც ერთში მშობარა და უკანდამხევი ვერ შევიცანი. ყუთმა, რომლითაც ლუდა სალია ჭუბერის გზას მიუყვებოდა, შემოინახა ჩვენი ბიჭების ისტორიები.

ომი ახალი დამთავრებული იყო, როცა სატელევიზიო გადაცემის ერთ-ერთმა გმირმა, ყოფილმა მეომარმა, ასეთი რამ თქვა: აფხაზეთის ომში იმდენად გამორჩეული ბიჭები დავკარგეთ, რომ ხანდახან ეჭვიც კი მეპარება საკუთარი თავისა და იმ მებრძოლების სინაღდეში, ვინც იქიდან ცოცხლები დავბრუნდით. მეც, რალა დაგიმალოთ და იგივე შეგრძნება მეუფლება ხოლმე.

ქირურგების “ომი“ სოხუმის დასაქმის შემდეგ

სოხუმის დაცემამდე ერთი დღით ადრე – 26 სექტემბერს დაიბოძა ჩვენი ჰოსპიტალიც. დაჭრილი მეომრები სხვა შენობაში უნდა გადაგვეყვანა. მე და ლუბა სალია ეზოში ვიყავით მაშინ, როცა მოპირდაპირე შენობის ზედა ორი სართული, სადაც ბიჭები უნდა მოგვეთავსებინა, ჩვენს თვალწინ ჩამოიქცა. კარგად მახსოვს, რა სიძლიერით ჩავიკარი გულში ქალბატონი ლუბა – ჩვენ უბრალოდ კარგად დავაგვიანეთ და ამიტომ სასწაულებრივადაც გადავრჩით. ერთდროულად დამეუფლა ჩემთვის გაუგებარი შიშისა და შურისძიების, ამასთან, თავისუფლების განცდა – მე ხომ იმ დღით ცოლ-შვილი გავამგზავრე გემით. სამხედროსათვის ომის დროს უმძიმესი ტვირთია ოჯახის წევრები!

27-ში დღით, დღის მეორე ნახევარში, სამხედრო ხელმძღვანელობისგან მოგვივიდა სიტყვიერი ბრძანება ჰოსპიტლის დატოვების შესახებ; ვიმეორებ, მხოლოდ სიტყვიერი ბრძანება. განა ისიც პარადოქსი არ იყო, რაც მერე ვნახეთ: ჩვენ თვალწინ როგორ იხევდნენ უკან საჯარისო ფორმირებათა ჯარისკაცები. ალბათ, ომის ისტორიას სხვა ანალოგი არც ახსოვს, ჰოსპიტალზე ადრე სამხედროები გასულიყვნენ.





სხვა გზა არ იყო – 27 დაჭრილით სანაპიროს მივადექით. ჩვენ მოსვლამდე სოხუმელებით გადაძეძგილი გემი უკვე კარგა ხნის შეჭრილი იყო ზღვის სიღრმეში. საკაცეზე დანვნილი უმძიმესი დაჭრილები (ზოგიერთს წვეთოვანიც კი ედგა) მხოლოდ ჩვენი და მშვიდობიანი მოსახლეობის იმედად დარჩენილიყვნენ. მალე უფრო საშინელი რეალობის წინაშე აღმოვჩნდით: სალამოს ცა მგეზველი (ტრასირებული) ტყვიებით მოიხაზა, კვამლში გახვეული სოხუმის შემოგარენი ერთიანად ფოიერვერკების შუშხუნებმა გაანათა. მტკივნეული სანახავი იყო, როგორ ზეიმობდა გამარჯვებული მტერი ქალაქის დაცემას.

წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა. რატომღაც ყველანი მე მომჩერებოდნენ, ჩემგან ელოდნენ გამხნეებას. ცხადი იყო, მტერს ჩვენამდე ჯერ ვერ მოეღწია. იქნებ, ჩვენსა და მონინალმდეგეს შორის რომელიღაც პოზიციაზე კიდევ იბრძვიან ჩვენი გმირი ბიჭები? იქნებ, ქალაქის შესასვლელთან ისევ გრძელდება გაცხარებული შეტაკებები?

თვალს ვაპარებ საკაცეზე დანვნილი, ჭრილობებისგან ნახევრად უგონო მდგომარეობაში მყოფი ბიჭებისკენ და გადაწყვეტილებასაც მაშინვე ვიღებ: ჰოსპიტალი კიდევ საჭიროა, ჩვენ საჭირონი ვართ იმ მართლაცდა რჩეულთათვის, უკვე დაცემულ სოხუმში კიდევ რომ უწევენ მტერს წინააღმდეგობას, ჯერაც რომ არ დანებებულან.

და ჩვენი სამსახური მთლიანი შემადგენლობით ბრუნდება ჰოსპიტალში (თუმცა სრული იურიდიული უფლება გვქონდა, დავრჩენილიყავით სანაპიროზე და დავლოდებოდით მორიგ გემს). თქვენ წარმოიდგინეთ, ჰოსპიტალი ნახევრად გაძარცვული და განადგურებული დაგვხვდა (როგორც მერე გავიგეთ, არაქართველი მოსახლეობის მიერ).

საავადმყოფოში მისვლისთანავე პირობების შესაბამისად მაქსიმალურად გავაწყვეთ სამედიცინო აპარატურა. და იმ ღამეს, სოხუმის დაცემის ღამეს სამი ურთულესი ოპერაცია გავაკეთეთ (სულ 7 დაჭრილი მოგვემატა). მე მაინც ვცდილობდი, თუნდაც, სხვების დასანახად შემენარჩუნებინა წონასწორობა. ხუმრობასაც კი ვახერხებდი, ვიხსენებდი მივიწყებულ ანეკდოტებს.


28 სექტემბერიც გათენდა. სოხუმის დაცემის მეორე დღე. თუ მანამდე შორიდან მაინც აღწევდა ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების კაკანი, იმ დღით რაღაც არაჩვეულებრივმა დუმილმა, ომისთვის საშიშმა სიჩუმემ მოიცვა იქაურობა. ცუდად გვენიშნა. ამას ემატებოდა ისიც, რომ აღმოვჩნდით ინფორმაციის სრულ ბლოკადაში – ყოველგვარი სატელეფონო კავშირი განწყვეტილი იყო ჰოსპიტალთან, დუმდა რაციაც.

ჩვენ ყველას დავვინყებოდით. ჩვენ ყველას მივეტოვებინეთ – შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალსაც და რიგით ოფიცერსაც. ჰოსპიტალსა და მოახლოებულ მტერს შორის განმკითხავად მხოლოდ უფალი იდგა. მაშინ მე, როგორც ჰოსპიტლის სამედიცინო ნაწილის უფროსმა, საკუთარ თავზე ავიღე პასუხისმგებლობა: გადაწყვიტე ჰოსპიტლის დაუყოვნებელი ევაკუაცია.



ბოლო უკრაინული სამხედრო გემით

რამდენიმე ადამიანი გავეშურეთ სანაპიროსკენ, თეთრ ზენარზე წითელი საღებავით სამედიცინო ჯვარი გამოვსახეთ და... ავაფრიალეთ. იქნებ, შორიდან მაინც დაგვინახონ, მიგვიხვდნენ, რომ მედპერსონალი დაჭრილების გამო ელოდება სამშვიდობო ძალების გემს.



დიდხანს დავყავით სანაპიროზე. ჩვენი ლოდინი უშედეგო აღმოჩნდა. ვითარებაც უკიდურესად დაიძაბა – ჩემმა კოლეგებმა გადანყვიტეს, გეზი აგველო ჭუბურისკენ. ტრანსპორტიც გვეყავდა, ბოლომდე სანჯავის მარაგიც გვეყოფოდა, მაგრამ მივინდე შინაგან ხმას.

და მე მათ სასტიკი წინააღმდეგობა გავუწიე: გავაცნობიერე, ამ სიტუაციაში ჩვენთვის თუ ერთადერთი რეალური ხსნა სვანეთი იყო, დაჭრილი ბიჭების უმეტესობა ესოდენ დატვირთვას ვერ გაუძლებდა და გოლგოთისაკენ გაჭრილ „არაჩვეულებრივი ფაშიზმის“ გზას შეენიერებოდა. შერყეული ჯანმრთელობის გამო ბიჭების ევაკუაცია სასწრაფო და გადაუდებელი უნდა ყოფილიყო. ჭუბურზე უარი ვთქვი – იმდენად კატეგორიული ვიყავი, წინააღმდეგობა ვერავინ გამინია.

ჰოსპიტალი მანამ არ დავტოვეთ, ვიდრე ორი გარდაცვლილი მეომარი ჩვენივე ხელით მიწას არ მივაბარეთ. სხვებთან, ადრე დაღუპულებთან ერთად, ისინიც სტაციონარის ეზოში დავასაფლავეთ. სხვათა შორის, ომის იმ უკანასკნელ დღეებში სპეციალური ჯგუფიც კი შევექმენით, რომელსაც წასული ბიჭების გაპატიოსნება ევალებოდა.

შუადღისთვის მედპერსონალი, ჩვენი სამსახური სრული შემადგენლობით, დაჭრილ, საკაცციან ბიჭებთან ერთად სანაპიროზე ვიდექით. თქვენ წარმოიდგინეთ, კიდევ ერთი უკრაინული სამხედრო გემი, რომლის გამოჩენის იმედი თითქმის გადანურული გვექონდა ყველას, მაგრამ, რომელსაც ყველანი ასე ველოდით, საღამოსკენ მაინც გამოჩნდა. ეს იყო დაუფინყარი წუთები, როცა მთელი სიცხადით გავაცნობიერე, რომ გავიმარჯვე საკუთარ თავზე, რომ ბიჭებიც გადარჩნენ და მათთან ერთად მეც. ერთმანეთს ვეხვეოდით, ვკოცნიდით.

ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური დახმარებით დაჭრილები უვნებლად გადავიყვანეთ გემზე. ღამის 10 საათზე დავტოვეთ გულრიფშის სანაპირო. ზღვის სიღრმეში არც ვიყავით შესული, როცა სოხუმის საოლქო კომიტეტის შენობიდან დაგვიშინეს ბომბები. ამჯერადაც გავუძელით განსაცდელს.

შვებით მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქეთ, როცა ჩვენი ბიჭები ფოთში, ქალაქის ფლოტილიისა და მრავალრიცხოვანი მოსახლეობის ხელშეწყობით სტაციონარში განვათავსეთ.

როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, საათნახევრის შემდეგ მტერი უკვე გულრიფშში შემოსულა.

სოხუმში ყოფნის იმ უკანასკნელ დღესა და საათებში, როცა დაჭრილ ბიჭებთან ერთად სანაპიროზე ვიდექით და სასობით ველოდით გემის გამოჩენას, მთელს პირად შემადგენლობას იარაღი გვეჭირა ხელში; მართალია, არც ერთი ავტომატიდან არ მომხდარა გასროლა, მაგრამ ჩვენი პროფესიაც გვაპატიებს, უფალიც გვაპატიებს: თუმცა, ღმერთმა ხომ იცის, თუკი ჩვენი უმწეო, დაჭრილი ბიჭების ჯანმრთელობას, მათ სიცოცხლეს რაიმე საფრთხე შეექმნებოდა, ჩვენ, თეთრხალათიანი ჯარისკაცები, მზად ვიყავით, საკუთარი სიცოცხლის ფასად დაგვეცვა თითოეული.

P.S. დასრულდა ჩვენი საუბარი და თითქმის პირველად გავაცნობიერე: რა ცოტანი, მაგრამ რაოდენ ღირსების მატარებელი არიან საკუთარ თავზე გამარჯვებულნი; როცა შინაგანად კლიერი და მართალი უპირისპირდები მკაცრ სინამდვილეს და გნავს, რომ ზედისწერა განაჩენი კი არა, უფრო გამოცდაა.

13-თვიანი ომის ჯარისკაცმა, მოწოდებითაც და პროფესიითაც ეძიება გივი იმანიშვილმა უარი თქვა ჭუბურზე, რომ ომში დაჭრილი ბიჭების, ზოლომდე სოხუმის დამცველთა ერთხელ გადარჩენილი სიცოცხლე სოხუმიდან გამოსული უკანასკნელი გემით „გაგრძელებულიყო“.

დიდარ ივარდავა

ჩრდილოეთის ანჩარი

ზღვაზე განოლილ სადამოს
დააცხრა მწუხრის ტოტები,
მამულო, ტვირთო ალალო,
ჟამი დგას გულშეშფოთების!
რაცა ვარ და... რაც ვიყავი
(მაღლა ღმერთია მოწამე),
ტანზე მეხვევა ჭილყვავი,
მწამლავენ, მთლად ვერ მომწამლეს!

ბალახს ცხენები პოტინან,
ჩრდილებში მოჩანს ყანები,
ჩემი გადია პონტოა,
მის „ნანას“ ვეთაყვანები.
ჟამი დამდგარა ღვარცოფის,
დაგვწრიტა სისხლის დენამა,
ადგილის დედავ, არსობის
ლოცვა მოგაგოს ზენამა!

ანჩარი*-შხამის მთესველი,
ჩრდილოეთიდან წრიალებს,
ცოტნეს გმირობას მეც ველი –
მის დარდს, განსჯას და იარებს.

* * *

აყვავებული
ატმის ხის ტოტი,
ჩემში სინანულს
ცეცხლივით გაშლის...

მესიზმრა წუხელ:
ლამაზად მოვკვდი
და მზე
მწუხრისას ჩაიხრჩო ზღვაში.



მითხარით...

ნელინელ ზღვაზე ეცემა მწუხრი,
თითქოს ზღვას რაღაც მძიმე წყლული აქვს;
მითხარით, ზღვაში ორივე მუხლით
ვინ ჩააჩოქა დიოსკურია?!

ტალღათა შრიალს ტკივილად ერთვი,
ზღვის ფსკერზე თვლემ და კაცი არ გშველის,
სად არის შენი უღმერთო ღმერთი, –
ყველა იარის მწველად ამშლელი.

მომსწრევ ათასი წარღვნის, ქარ-წვიმის,
ტანით ხმელეთზე დაუტევარო,
ოდესღაც პონტოს ღელვის არწივო,
ზღვას ჩანურულო ყურძნის მტევანო!

მე მინდა, ცხადად ვიხილო ისევ
შენი ქუჩები, შენი ტაძრები,
გავიგო, მინდა, რა დარდებს იტევ,
ზღვაში ხარ, ცეცხლად რად ინაცრები?!

რაკი ყველაფერს აქვს თავის ბოლო,
ზღვაში დამთავრდა შენი ზღაპარი –
ოდეს აქ ბუხრის მოლურჯო ბოლში
იმედით ბჭობდნენ პაპისპაპანი!

...ნელინელ ზღვაზე დაეცა მწუხრი,
თითქოს ზღვას რაღაც მძიმე წყლული აქვს, –
მითხარით, ზღვაში ორივე მუხლით
ვინ ჩააჩოქა დიოსკურია?!



* – შხამიანი ტროპიკული მცენარე.

ეს იყო XVII ს.-ის დასაწყისში, კერძოდ, 1616 წელს.

ირანის მმართველმა, დაუნდოვებულმა შაჰ-აბას I-მა კახეთიდან და ჰერეთიდან აყრილი 100 000-ზე მეტი ქართველი გადაასახლა ირანში (ძირითადად, ოთხ პროვინციაში). მათი უმრავლესობა გასპარსელდა, მაგრამ შუა ირანში არაერთი ქართული სოფლის დაბადა მშობლიურ ფესვებთან უწყვეტობის პრინციპზე იყო; ეს სოფლებია: მარტყოფი, ნინოწმინდა, თელავი, ვაშლიჯვარი, ჩულუბეთი, ჯაყვჯაყი, თორაღი, რუისპირი, ტაშისპირი...

და მაინც: ირანის სხვადასხვა პროვინციას შორის ფერადიანი ერთადერთი საპრუსული დასახლებაა, სადაც ეთნიკურმა ქართველებმა დღემდე შეინარჩუნა მშობლიური ენა და ზოგიერთი ტრადიციაც (თუმცა იმ საუბრობან ქართული ენის ფერადიან დილაქტაზე).

სწორედ ფერადიანში, ბახთიარის მთის ერთ-ერთ შემოგარენში დაბადებული ჩვენი პუბლიკაციის ავტორი – ქეთევან ონიკაშვილი.

ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების მიუხედავად (საბრძოლოდან ქართველების რეპატრირაცია გასული საუკუნის 70-იან წლებში განხორციელდა), ძალბატონ ქეთევანს დღემდე სტრია ფერადიანი, ის სამშობლოც, რომელსაც „მისი სული ტყვედ ჰყავს“ (განოცის გამოთქმის არ იყო) და „სახლიდან სახლამდე“ არამეც ბზას, რომელსაც ისევ მიუყვება სევდითა და სიყვარულით.

სახლიდან სახლამდე

ქეთევან ონიკაშვილი

გუშინ დილით მამაჩემის ხმა ჩამესმა – სახელით მომმართა, ოღონდ სპარსული სახელით. ძილ-ბურანში ვიყავი, მაგრამ ისე ახლოს და ისე აშკარად გავიგონე ეს მშობლიური ხმა, რომ მაშინვე სანოლიდან წამოვვარდი; ეზოში გავედი, იქვე ჩამოვჯექი. ფიქრებს გავყევი, ნეტა, რა იყო ეს... ნუთუ, მშობელი შვილს მაშინ ეცხადება, როცა სიკეთეზე მიანიშნებს, ან პირიქით, გაფრთხილებს, ავისგან გიცავს... რალაც მეგუმანა...

ამის გამოქვეყნებას ჯერ არ ვაპირებდი, მაგრამ გარემოებათა გამო გადავწყვიტე, გამეცოცხლებინა ის წარსული, მამისა და ჩემი ბავშვობის ყველაზე მნიშვნელოვან დროს რომ ეხება.




... მაშინ 12 წლის ვიყავი. ირანში, ჩვენი სოფლის სახლში ხშირად იკრიბებოდნენ ახლობლები, მოკეთენი. საუბრობდნენ, კამათობდნენ იმ გზებსა და საშუალებებზე, თუ როგორ იყო შესაძლებელი სამშობლოში დაბრუნება. გულისყურით ვუსმენდი თითოეულს. ისინი სპარსულად ლაპარაკობდნენ; ეგონათ, რომ მათი არ მესმოდა; არადა, მე ხომ ბიცოლა მყავდა სპარსი და მისი წყალობით კარგად მესმოდა ეს ენა (ფერადიანელები ქართულად ლაპარაკობენ რედ.).

რაკი 12 წლის ვიყავი, ირანული კანონმდებლობით ნიშნავდა, რომ უკვე სრულწლოვან გოგონად ვითვლებოდი. და ერთხელაც მამამ მითხრა, ამ დღეებში თეირანში უნდა წავიდეთ, შენი თანხმობაცაა საჭირო საქართველოში წასასვლელად. ის დღეც დადგა.

როცა უშიშროების სამინისტროში მივედი, მამას უთხრეს, გოგონას ჩვენ ცალკე დაველაპარაკებით; არაა მიზანშეწონილი გასაუბრებისას თქვენი დასწრება, შესაძლოა, ბავშვი მშობლებისგან ზენოლას დაემქვემდებაროსო.

შემიყვანეს ოთახში, სადაც მამაკაცი დამხვდა. ეს პიროვნება მეკითხება, თუ იცი, რისთვის მოგიყვანა მამამ ჩვენთანო. კარგად მახსოვს, რაც ვუპასუხე:

– მამა მეუბნება, რომ საქართველოში უნდა წავიდეთ, რომ იქ ჩვენი სამშობლოა, რომ ადამიანები სამშობლოში ბრუნდებიან...





მერე... შენ, შენ რას ფიქრობ?!

– მე არ მინდა სხვაგან წასვლა, მე აქ, ირანში მინდა დარჩენა!..

ცრემლები მდიოდა ღაპაღუპით; ახლაც თვალწინ მიდგას კადრი, როგორ წამოდგა მამაკაცი, მომიახლოვდა და თავზე გადამისვა ხელი:

მამაშენი მართალია! შენი სამშობლო საქართველოა, მაგრამ ირანი, შენი დაბადების ადგილიც არასოდეს დაივინყო!..

თავადაც ცრემლიანი თვალებით მიყურებდა, მერე შუბლზე მაკოცა და, თითქოს რაღაცას მთხოვსო, მუდარის ხმით განაგრძო:

– ნუ ტირი, ჩემო პატარა, შენ წახვალ შენს ქვეყანაში და არ დაგავინყდება ეს ცრემლები – არც შენი და არც ჩემი. ისიც მჯერა, მერე ისეთ საქმეს შეეჭიდები, ორივეს – შენსა და ჩემ ქვეყანას რომ გამოადგება...



ის დღეც დადგა, როცა ჩვენ ფერეიდანი უნდა დაგვეტოვებინა. მთელ სოფელს ჩვენ ქუჩაზე, ჩვენს სახლთან მოეყარა თავი. ყველა ტიროდა – დიდი თუ პატარა, იცოდნენ, რომ ერთმანეთს უკვე ველარასოდეს ვნახავდით.

დაიძრა ავტობუსი თეირანისკენ. იქ ჩავჯექით მატარებელში და გეზი ავიღეთ ჯულფას* მიმართულებით. ეს, მგონი, სასაზღვრო ქალაქია. ერთ-ერთ სადგურში დიდხანს მოგვინია გაჩერება. ვაგონიდან გადმოსულმა ბავშვებმა შევნიშნეთ მამაკაცების ჯგუფი; ისინი ჩვენთვის ნაცნობ და გასაგებ ენაზე საუბრობდნენ. მამასაც ვუთხარი, ნახე, ისინი ჩვენს ენაზე ღაპარაკობენ-მეთქი.

გამოგვეცნაურნენ. აღმოჩნდა, რომ ეს დელეგაცია ჩვენთან შესახვედრად მოსულიყო. გზა ავტობუსით ერთად განვაგრძეთ. მათ შორის ერთ-ერთი, ჭარმაგი მამაკაცი, გზადაგზა გვეკითხებოდა, აბა, რომელმა იცის, რა ჰქვია ამ კუთხეს, ამ მთას, ამ შემოგარენსო (არაერთხელ გაიშვირა კიდეც ხელი ტრანსპორტიდან). სწორი პასუხის შემთხვევაში, გახარებული ხელებს გვიკოცნიდა.



ბოლოს და ბოლოს, ჩავალწიეთ კახეთში. იმ მილეთი ხალხის მსგავსად, ირანიდან რომ გამოგვაცილა, კახეთის ამ სოფელშიც უამრავი ადამიანი გამოსულიყო გზის პირას. მართლაც რომ, გულით გვიმასპინძლა ადგილობრივი მოსახლეობით გადავსებულმა პატარა სტადიონმა.



აქ კი ამივარდა, რომ იტყვიან, გულამოსკვნით ტირილი, ვერავინ და ვერაფერმა დამამშვიდა. დათრგუნული, ცრემლიანი განწყობა, სამ თვეზე მეტხანს მტანჯავდა. მამაჩემიც კი ვერაფერს მიხერხებდა. ჩემთან ერთად ისიც ტიროდა. ლამის, მოთქვამდა, საქართველოში იმიტომ ჩამოგიყვანე, რომ ისევ ისეთივე ლალი და ბედნიერი ყოფილიყავი, შენ კი ამდენს ტირი და ვერ გამიჩერებხარ, ეს რომ მეფიქრაო...

ექიმებისა და ფსიქოლოგების ჩარევაც კი დამჭირდა. დრომ მაინც „მაჯობა“ – ირანიდან შორს ყოფნასა და საქართველოში ცხოვრებას თანდათან შევეჩვიე.

* – ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ ირანში, მდინარე არაქსის მარჯვენა სანაპიროზე.



ღმერთმა აცხონოს დიდებული ქალბატონი, სკოლაში ჩემი ქართულის მასწავლებელი – ჟენია (ეგგენია) სამნიაშვილი. თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაზე მოუთვინიერებელი ბიჭებიც კი მას საოცრად დიდ პატივს სცემდნენ. ჟენია მასწავლებელმა საგანიც შემაყვარა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაბარებაც მან გადამანყვეტინა.

1982 წელს დავამთავრე უნივერსიტეტი და მუშაობა დავიწყე საქ-ტელე-რადიოში; უფრო ზუსტად, ახლანდელ პირველ არხზე. აი, აქ კი უკვე ძალზე ხშირად მახსენდებოდა ჩემი ბავშვობისა და იმ კაცის ცრემლები. ისევ და ისევ ჩამესმოდა ანდერძივით ჩაგონებული მამაშვილური დარიგება – რომ ცხოვრებაში გადამედგა ისეთი ნაბიჯი, რომელიც სასიკეთოდ წაადგებოდა დაბადების ადგილსაც და იმ სხვა მხარესაც, სადაც მომავალში მომიწევდა ცხოვრება და საქმიანობა.

სწორედ ქართულ-ირანულ ურთიერთობათა ამსახველი იყო ის სატელევიზიო გადაცემები, რომლის მომზადებას ასეთი პასუხისმგებლობით შეუდგა ჩვენი ჯგუფი.


ჯერაც მუშაობის პროცესში პატრიარქისაგან საჩუქრად მიღებული ბოლნისის სიონის ჯვარი ჩემი ჩანაფიქრისა და დანყებული საქმის კურთხევად მივიჩნე. რუსუდან ფეტვიაშვილმა თავისი ალბომი გადმომცა, იქვე მიხატული პატარა ჩიტი.

ერთ დღესაც რედაქციაში შემოვიდა რამინ ქელიძე, საქ-ტელე-რადიოს თავმჯდომარის მოადგილე, პატიოსნებით გამორჩეული უფროსი კოლეგა. მითხრა, ბატონ თამაზ გამყრელიძეს შენი ნახვა უნდა, გელოდებო.

ფიქრებში ჩაძირული გავუყევი გრძელ დერეფანს; ესოდენ პატივსაცემი და დიდი მეცნიერის მოსვლის მიზეზი საიდან უნდა მცოდნოდა?


როგორც კი შევალე კაბინეტის კარი, ფეხზე წამოდგა, მომიახლოვდა და ხელზე მეამბორა:

– მადლობას გიხდით ამ გადაცემისთვის, იმისთვისაც, ალექსანდრე გვახარია*, ესოდენ ღირსეული პიროვნება, საკადრისად რომ წარმოაჩინეთ!..



გადაცემის უდიდესი ნაწილი პირველ არხზე გადაიცა; ესეც და დანარჩენი, რაც მერე დაემატა, უკვე ირანის ტელევიზიისთვის იყო გათვალისწინებული.

არაა იოლი გზა სახლიდან სახლამდე, მანძილი, რაც მე გავიარე.



* – ცნობილი მეცნიერი, ირანისტი.

ასხიქე ცინდბიქანი - «საბაჰჰჰჰო ციბიქაბიქის დეა»

მსოფლიოქი „საბაჰჰჰო ლიტერატურის დეა“ უწოდა შვედ მწერალ ქალს ასტრიდ ლინდგრენს. იგი ავტორია წიგნების: „პეკი ბრძოლწინდა“, „ბიჭუნა და სასურავის ბინადარი კარლსონი“, „მიო, ჩემო მიო“, „ეილი ლინდგრენი“, „ქაბი ლომბულები“, „მანწწწწწ რასწწწწ“, „გამომიქიქალი კალე ბლუქკინსტი“ და ბაჰჰჰჰჰისთვის საყვარელი სწვა მრავალი წწწწწწწწ. მწერალი იყო მრავალმწერივი შემოქმედი; მის კალამს ექუთწწწწწ არაერთი ფილმის სწწწწწწ, სიქმერების კრეაბული, დასურათებული წიგნები.

ასტრიდ ლინდგრენის წწწწწწწწწწ თარბმწწწ 80 ეწწწ, დღემდე კი ბაყიღულია თითქმის 200 მილიონ ებგებულარზე მიტი; მწერლის ერთ-ერთბა თაყვანისმცემებმა გამოთვალა, რომ ვერტიკალურად დალაბებული ლინდგრენის წიგნები, შიქიქება, ეიქვლის კოქკა 175-წწწ მალალი იყო. ამიტომ მწერალს სწმრობით „ეიქვლზე 175-წწწ მალალს“ უწოდაბენ. ასტრიდ ლინდგრენი ყველას ბულიბილად და პატივისცემით ეაყრობოდა და თაბადაც ყველას ალბაცების ობიქტი იყო. ამას ებაბებოდა მისი პოქულიარობა რადიოსა და ტელევიზიაში. ათასობით შვედი ბაჰჰჰჰი იბრდებოდა ლინდგრენის წიგნებზე.

მწერალმა სმა აიბაღლა ბაზრადილი ბადასაბაბების ბამო. ღია წერილით მიბართა მთავრობას, თავისი სათქმელი ზღაბრით ბამოხაბა, ბაჰჰჰჰის პოქიციდიან დაწწწბა მათ სიბართლე და მიღწია კიდეც საბადასაბალო კანონის შეცვლას. ასტრიდმა ღია წერილით მიბართა, აბრითვე, სტოქჰოლმის უღიღეს ბაბიბებს, სადაც ზღაბარი მოსიყვარული ქროწაზე ამბაღდა ცხოველთა მიბართ სასტიკ მოქყრობას. სამი წლის დაუღალავი ბრძოლის შემდეგ შვედთმა მიიღო კანონი ცხოველთა დაცვის შესახებ.

სიკვდილის შემდეგ ასტრიდ ლინდგრენი ნომინირებული იყო ნობელის პრემიაზე.

„ცხენისა და კაბრიოლეტის ხანა“



ასხიქე ცინდბიქანი

შვედეთის სამხრეთით, სმოლენდის პროვინციის პატარა ქალაქ ვიმერბიუში, ფერმერების ოჯახში 1907 წლის 14 ნოემბერს გაჩნდა მეორე ქალიშვილი ასტრიდ ანა ემილია ერიქსონი.

როგორც მწერალი იხსენებს, ეს იყო „ცხენისა და კაბრიოლეტის“ ხანა, როცა გადაადგილების მთავარ საშუალებას წარმოადგენდა ცხენოსანი ეკიპაჟი, სადაც ცხოვრების ტემპი იყო ნელი, გართობა უბრალო, ხოლო ურთიერთობები ადამიანებსა და ბუნებას შორის უფრო მეტი, ვიდრე დღეს.

„ჩემს პატარა სოფელში დღემდე აფასებენ სახლში გამომცხვარ პურს, ახალ ამოყვანილ ყველსა და ზამთრისთვის საგულდაგულოდ შებოლილ შაშხს“, – წერს ასტრიდ ლინდგრენი.

ერიქსონებს პასტორის მამულში ნაქირავები ჰქონდათ ფერმა, სადაც სოფლის მეურნეობას ეწეოდნენ. სამუშაოებში, თავიანთივე სურვილით, აქტიურად მონაწილეობდნენ შვილებიც, მხარში ედგნენ მშობლებს. ბავშვები ხალისითა და ინტერესით მუშაობდნენ სახლის საქმეებშიც; მრავალშვილიან ოჯახს უფროს ვაჟ გუნართან ერთად ქალიშვილები – ასტრიდი, სტინა და ინგეგერდი ამშვენებდნენ.

ასტრიდ ლინდგრენი „ბედნიერს“ უწოდებს თავისი ბავშვობის ხანას, რომელიც, შრომასთან ერთად, სავსე იყო მხიარული თამაშებითა და თავგადასავლებით.

„მე პატარა ფერმაში სიყვარულსა და სიბოში გავიზარდე, სადაც უფროსი ძმა თავის უმცროს დაიკოებს იცავდა, ტყეში სოკოების დასაკრეფად დაჰყავდა და კენკრის შესაგროვებლად ეკლიან ბუჩქებსაც არ ერიდებოდა“, – იგონებს მწერალი.

„სელმა ლაგერლუფი* ვიმეჩვიდან“



3 წლის ასაკში

ასტრიდი ფერმაში 6 წლიდან მუშაობდა, თავისუფალ დროს კი თავდავინცებით თამაშობდა ბავშვებთან (ეს თამაშები აღადგინა თავის ნიგნებში). მომავალში სწორედ ბავშვობის უზრუნველი ხანა იქცა მწერლის ნაწარმოებების შთაგონების მთავარ წყაროდ. ასტრიდის ბავშვური ფანტაზია საზრდოობდა ფოლკლორით, სახალისო ისტორიებით, ხუმრობებითა და ზღაპრებით. ამასთან ერთად, მომავალი მწერლის ცხოვრების ადრეული წლები ფერმის თვალწარმტაცი პეიზაჟებით იყო გარშემორტყმული. **„ულამაზესი მინდვრები, შეუდარებელი ლანდშაფტი და უთვალავი ზღაპრული არსება – სწორედ ისინი იქცნენ ჩემს მუზეუმად“**, – წერს ასტრიდი.

ნიგნებისადმი სიყვარულს, კითხვას, როგორც მოგვიანებით აღიარა მწერალმა, ეზიარა ბავშვობის მეგობრის, ქრისტიანას სამზარეულოში. ასტრიდი მოხიბლა ნიგნების ამალეღვებელმა სამყარომ და მერე თავად შეეცადა, დაუფლებოდა სიტყვის მაგიას. უკვე დაწყებით სკოლაში აშკარა გახდა მისი შესაძლებლობები მხატვრულ სიტყვაში. **ასტრიდი გაიტაცა სწავლამ, განსაკუთრებით, ლიტერატურამ და მუსიკამ, რაც აისახა კიდევ მის აკადემიურ მიღწევებში. ასტრიდის ესე გაზეთშიაც კი გამოქვეყნდა. სკოლაში მეტსახელიც შეარქვეს: „სელმა ლაგერლუფი ვიმეჩვიდან“.** ასტრიდის ნიჭი და მონდომება გამოვლინდა ხელსაქმის სფეროში, რამაც პედაგოგებს აფიქრებინათ, რომ მომავალში მისგან დადგებოდა მშვენიერი მეუღლე და დიასახლისი.

ასტრიდის მშობლები, ჰანა და სამუელ ერიქსონები, ერთმანეთს ჯერ კიდევ მოზარდები (ჰანა 14 წლის იყო) შეხვდნენ და თავდავინცებით შეუყვარდათ ერთმანეთი. მათი ბავშვობის რომანი 4 წელი გაგრძელდა და დასრულდა ქორწინებით. მწერლის მოგონებით, მშობლების გრძნობები უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მის ნიგნებში მოთხრობილი ისტორიები სიყვარულზე. ისინი ცხოვრობდნენ სრულ ჰარმონიაში, ხუმრობდნენ და იცინოდნენ ბევრს და არასოდეს ჩხუბობდნენ. მშობლები, რაც იმ დროს ასე იშვიათი იყო, არასოდეს ერიდებოდნენ ერთმანეთისა და ბავშვების მიმართ უზომო სიყვარულის გამოვლინებას. მამას განსაკუთრებით უყვარდა ასტრიდი, რომელიც, როგორც ტრადიციული ოჯახის შვილს შეეფერებოდა, კვირაობით ეკლესიაში საგალობლებს მღეროდა.

რამაც ალაშფოთა პურიტანული საზოგადოება

სკოლის დამთავრების შემდეგ წერის ნიჭით ნახალისებული ასტრიდი გაიტაცა ჟურნალისტიკამ და მუშაობა დაიწყო ადგილობრივ გაზეთში. გოგონას ძალიან იზიდავდა კინო, ჯაზი; თმა მოკლედ შეიჭრა, რამაც ალაშფოთა ფერმის პურიტანული საზოგადოება. ამას დაემატა საშინელი ამბავი: ასტრიდი, 18 წლის გამოუცდელი გოგონა, პატიოსნებით ცნობილი ოჯახის შვილი, მოულოდნელად დაფეხმძიმდა. ეს იყო მის ცხოვრებაში მკვეთრი შემობრუნება, მეხის გავარდნა მონმენდილ ცაზე (ასტრიდს არ უყვარდა შვილის მამაზე საუბარი; არსებობს ვერსია, რომ ის იყო გაზეთის რედაქტორი, გვარად ბლემბერგი).



ასტრიდი ცინდებიანი (მარჯვნიდან მესამე) ოჯახთან ერთად

* – შვედი მწერალი. 1909 წელს მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურაში.



«პიპი ბიძინდა».
პირველი გამოცემა 1945 წ.

თვით ყველაზე ჰუმანურ მშობლებსაც კი გაუჭირდათ ასტრიდის გაგება, თუმცა ქალიშვილს ეუბნებოდნენ, რომ დაეხმარებოდნენ და რომ უყვართ მომავალი შვილიშვილი. მაგრამ იგი, დამცირებული და განადგურებული, იძულებული გახდა, დაეტოვებინა ოჯახი, მშობლიური გარემო და საცხოვრებლად სტოკჰოლმში გადასულიყო. „მარტოსული და უბედური ვარ... პანიკურად მაშინებს მომავალი ზამთარი“ – წერდა ძმას ასტრიდი.

მაგრამ ბრძოლისუნარიანმა ასტრიდმა ყველაფერს გაუძლო და მუშაობა დაიწყო სტენოგრაფისტად. მალე გააჩინა ვაჟი, რომელსაც ლარსი დაარქვა. ბავშვისთვის შეუფერებელი პირობებისა და საარსებო წყაროს არარსებობის გამო ახალგაზრდა ქალმა შვილი დროებით დანიაში, მიმღებ მშობლებს ჩააბარა. ასტრიდი ხშირად ჩადიოდა იქ; ეს იყო უსასრულო მოგზაურობა ერთი ქვეყნიდან მეორეში.

მალე ასტრიდმა სამეფო საავტომობილო კლუბში მუშაობა დაიწყო მდივნად, რამაც გამოუსწორა ფინანსური მდგომარეობა. ამიტომ შვილი ჩამოიყვანა შვედეთში. მშობლებმაც, ჰანამ და სამუელმაც მოძებნეს თავიანთი ქალიშვილი, გაიცვენეს შვილიშვილი.

მოულოდნელად ლარსი მძიმედ გახდა ავად. სასონარკვეთილმა ახალგაზრდა დედამ შვილის გადასარჩენად დახმარება სთხოვა თავის უფროსს, სტიურ ლინდგრენს. სტიური ძალიან მოიხიბლა ასტრიდის

პიროვნებით და მალე მას ხელი სთხოვა. ქორწინების შემდეგ ასტრიდმა მიიღო ქმრის გვარი ლინდგრენი, რითაც უკვდავყო კიდევ მისი სახელი. სტიურმა ოფიციალურად აღიარა შვილად ლარსი; ცოტა ხნის შემდეგ საერთო ქალიშვილი კარინიც შეეძინათ. ასტრიდმა დატოვა სამსახური და როგორც პედაგოგიურ დასკვნაში უწინასწარმეტყველებდნენ, თავჩახრილი ჩაერთო საოჯახო საქმეებში და შესანიშნავი დიასახლისიც დადგა.

როგორ დაიბადა „პიპი ბიძინდა“

დაქორწინების შემდეგ ლინდგრენები საცხოვრებლად გადავიდნენ ახალ ბინაში, საიდანაც ჩანდა სტოკჰოლმის ვასა პარკის ხედი (მწერალი სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა იქ). საოჯახო საქმეებში ჩაფლული ასტრიდი დროდადრო მაინც ასრულებდა მდივნის საქმიანობას, აღწერდა მოგზაურობებს, საოჯახო ჟურნალებისთვის წერდა საკმაოდ ბანალურ ზღაპრებს, რაც ზრდიდა მის ლიტერატურულ უნარებს.



«ახილონი, ხობაის სმოხობს სანახაჰუა». პირველი გამოცემა 1954 წ.

„პეპი გრძელწინდა“ დაიბადა ქალიშვილის კარინის ავადმყოფობის დროს. ბავშვს თერაპიამ არ უშველა. სასონარკვეთილი დედა პნევმონიით დაავადებულ შვილს ძილის წინ უამბობდა ზღაპრებს. ამბავი პეპი გრძელწინდაზე თვითონ კარინმა შეუკვეთა, სახელიც პერსონაჟს თვითონ გამოუგონა. **მწერალი დაჰყვა შვილის სურვილს და დაიწყო წერა გოგონაზე, რომელიც არ ემორჩილება არანაირ წესებს.** მალე ამ უჩვეულო წამალმა ნაყოფი გამოიღო – კარინმა გამოჯანმრთელება დაიწყო, ჭამას უმატა, ლოყები აუვარდისფერდა. ასტრიდიც ფანტაზიით უფრო ავსებდა სურათს. **დედა, რომელსაც ისტორია ქალაღზე გადაჰქონდა, სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა პეპის.** რაკი კარინს მოეწონა პეპის პერსონაჟი, ასტრიდმა კიდევ უფრო განავრცო ამბავი ამ ნითურთმიან გოგონაზე. მეთე დაბადების დღეზე დედამ შვილს აჩუქა საკუთარი ილუსტრაციებით გაფორმებული პეპის მოთხრობების ხელნაწერი.

ერთი ასლი ასტრიდმა გაუგზავნა სტოკჰოლმის უმსხვილეს გამომცემლობას, რომელმაც კრებული დაიწუნა.

სამაგიეროდ, ნანარმოები მოიწონა ნაკლებად ცნობილმა გამომცემლობამ და ავტორს კონტრაქტიც გაუფორმა. პეპი – ეს იყო ასტრიდ ლინდგრენის ტრიუმფალური შესვლა საბავშვო ლიტერატურაში. 1945 წელს მწერალმა გამოსცა ნანარმოების უფრო დახვეწილი ვარიანტი, რომელსაც უზარმაზარი წარმატება მოჰყვა. ასტრიდს შესთავაზეს საბავშვო ლიტერატურის რედაქტორის პოზიცია, სადაც პენსიაში გასვლამდე მუშაობდა. პოპულარობასთან ერთად გაიზარდა მისი ფინანსური მდგომარეობაც.

მწერალი ხუმრობდა, რომ წერა აიძულა სტოკჰოლმის ცივმა ზამთარმა და ქალიშვილის ავადმყოფობამ. მალე „სახურავის ბინადარი კარლსონიც“ გამოჩნდა. ასტრიდი მზად იყო, დაეფიცა, რომ თვითონ იცნობდა პროპელერიან, მხიარულ პატარა კაცს. მწერალი თითქოს რალაციით თავადაც ჰგავდა თავის პერსონაჟს. კარლსონი – სახურავზე მცხოვრები ინფანტილური და ტრაბახა არსება, ბავშვის წარმოსახვითი მეგობარი, ფანჯრიდან შემოფრინდება სწორედ მამინ, როცა ბიჭი თავს ზედმეტად გრძნობს. პეპითა და კარლსონით ასტრიდმა მხარი დაუჭირა ალზრდის ახალ თეორიას, რომელიც მოუწოდებდა მშობლებს, გაეთვალისწინებინათ ბავშვის ფსიქოლოგია. ეს იყო ინოვაციური იდეა. ლინდგრენი ემხრობოდა აზრს, რომ ანგარიში გაენიათ ბავშვის გრძნობებისთვის, პატივისცემა გამოეხატათ მის მიმართ.

„ჩემი ცხოვრობს ბავშვი, რომელსაც გაზრდა არ უნდა“

სტოკჰოლმში, ტეგენერის მწვანეში ჩაფლულ წყნარ კუნძულზე არის ერთი ჩვეულებრივი სახლი, რომელიც ჯადოსნური ძალით იზიდავს ადამიანებს, განსაკუთრებით, ბავშვებს. აქ, შვედეთის უდიდეს გამომცემლობაში, მზის სინათლე იხილა ასტრიდ ლინდგრენის წიგნებმა. აქვეა მწერლის კაბინეტიც, სადაც ყველაფერი ძველებურად გამოიყურება: სანერი მაგიდა, ვიტრინები კედლებზე და კარადები, რომლებიც სავესეა ასტრიდის წიგნებითა და ე. წ. „რეცენზიებით“. ესაა არა კრიტიკოსთა, არამედ მადლიერ მკითხველთა წერილები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

„ჩემი ცხოვრობს ბავშვი, რომელსაც გაზრდა არ უნდა,“ – ხშირად ამბობდა მწერალი. ამაში ქალიშვილი კარინიც ეთანხმებოდა: „ასტრიდი ისეთი დედა კი არ იყო, რომელიც ბავშვს წაიყვანდა სასაქონლოდ, თვითონ ხის სკამზე ჩამოჯდებოდა და შორიდან უყურებდა, როგორ თამაშობდა იგი. არა, ის შვილთან ერთად ჩანვებოდა ქვიშაში, ამოიგანგლებოდა და მასავით გაერთობოდა“. **მწერლის ვაჟმა ლარსმა კი უწინაღობებს უამბო, ერთხელ, თავგზაბნეულმა მნახველებმა, როგორ ძლივს მიაგნეს მალალ ხეზე შემოსკუპებულ საკმაოდ ხანდაზმულ ასტრიდს.**



ასტრიდ ლინდგრენის ძეგლი. სტოკჰოლმი

ასტრიდ ლინდგრენი მთელი სიცოცხლე ამჯობინებდა არა სიმდიდრის დაგროვებას, არამედ გაცემას (დღეს კარინი აგრძელებს დედის ქველმოქმედებას). ცნობილია მისი დამოკიდებულება ერთ-ერთი მკითხველისადმი – ანა შვარტისადმი, რომელსაც, როგორც სულიერად, ისე მატერიალურადაც ეხმარებოდა. ანა შვარტის წერილების კრებული „შენს წერილებს ბალიშის ქვეშ ვინახავ“*, რომელიც გამოიცა მწერლის გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ, კარგად აღწერს ასტრიდის ჰუმანურობასა და დიდბუნებოვნებას.

მწერალი ირონიულად უყურებდა დიდებას. როდესაც პატარა პლანეტას მისი სახელი დაერქვა, იხუმრა, რომ მას ახლა ასტრიდის მაგივრად, შეიძლება, ასტეროიდი დავუძახოთ.

ასტრიდმა ბოლო 40 წელი გაატარა თავის პატარა ბინაში, სადაც თავისი საყვარელი შვილი ლარსი და მეუღლე სტიური უკანასკნელ გზაზე გააცილა. „მიყვარს მარტოობა და წიგნები, ჩემი სამუშაო და... ადამიანები,“ – ამბობდა მწერალი.

ასტრიდ ლინდგრენი გარდაიცვალა 94 წლის ასაკში, 2002 წლის 28 იანვარს.

* – თარგმნა ლიკა ჩაფიძემ, გამოსცა „ინტელექტმა“.

1. როდესაც იუდამ იესო გასცა და მერე თავი ჩამოიხრჩო, უფლის თერთმეტმა მოციქულმა მის ნაცვლად კენჭისყრით ვინ აირჩია (ქრისტეს 70 მოწაფეთაგან)?
ა) მატათა;
ბ) ლუკა მახარობელი;
გ) მარკოზი.

2. ვისზე ბრძანა ილიამ, რუსთაველის შემდეგ ასეთი პოეტი არ გვეყოლიაო?
ა) ნიკოლოზ ბარათაშვილზე;
ბ) აკაკი წერეთელზე;
გ) ვაჟა-ფშაველაზე.

4. რომელია მსოფლიოს უძველესი უნივერსიტეტი?
ა) ბოლონიის უნივერსიტეტი (იტალია);
ბ) ოქსფორდის უნივერსიტეტი (ინგლისი);
გ) სალამანკას უნივერსიტეტი (ესპანეთი).

3. რომელი იმპრესიონისტის ტილოა „ოჯახის პორტრეტი“?
ა) ედუარდ მანესი;
ბ) ედგარ დეგასი;
გ) ოგიუსტ რენუარის.

ქიოსვა-პასუხების ცაბიხინთი



6. სად დაიბადა XX ს.-ის თბილისის ერთ-ერთი გავლენიანი და წარმატებული ბიზნესმენი და მეცენატი მიქაელ არამიანცი?
ა) საქართველოში;
ბ) რუსეთში;
გ) სომხეთში.

5. ვინ იყო პროფესიით დიდი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი?
ა) ექიმი;
ბ) აგრონომი;
გ) ეკონომისტი.

7. ძაღლის ყველაზე ძლიერ ჯიშად რომელია მიჩნეული?
ა) გერმანული ნაგაზი;
ბ) როტვეილერი;
გ) შასკი.

8. როდის და ვინ ააგო მსოფლიოში ყველაზე დიდი პარიზის ცნობილი ტრიუმფალური თალი?
ა) ლუდოვიკო XIII-ემ, XVII ს.-ში;
ბ) ლუდოვიკო XIV-ემ, XVII ს.-ში;
გ) ნაპოლეონ ბონაპარტემ, XIX ს.-ში.



«ოჯახის პოხიხუბი». 1867 წ.

9. პირველად ოლიმპიურ თამაშებში ქართველმა სპორტსმენებმა როდის და სად მიიღეს მონაწილეობა?
ა) 1952 წელს, ჰელსინკში (ფინეთი);
ბ) 1956 წელს, მელბურნში (ავსტრალია);
გ) 1960 წელს, რომში (იტალია).

საკიებელი

| | | | |
|---|----|--|----|
| ვინს ეპოქას ქონება გალაკტიონი - გზა სოსუმამდე | 3 | მოცუბოხტან შან მონრა ფრამონარი | 30 |
| ბედის თვალებით სალომი კაპანაძე წვეთუკა | 4 | უხინდელი ქონება ოლესია გილა „მინც გადავწყვიტე, მელოცა“ | 32 |
| ოთხის საათი ელდარ ჯოგაძე ისევ ის ღღებები | 8 | ჩვენი მთა იაკობ გომბაზაშვილი პოლიტიკანობა აფხაზეთში | 36 |
| ო, ენა ჩემო | 10 | შენთვის თხიბნილი ნონა ჯინჯოლია ოღონდაც არ მოსწყდეს | 38 |
| ზღვა და ქვიშა გააფხაზეთული აფრიკელი ზანგები | 12 | მეხსიერების ბაიბი ლელა ჭვანია კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრების უცნობი ეპიზოდები | 40 |
| იხის ნახტომი | 14 | 13 თვე და 13 ღუ ნანა ჭანტურია სოსუმამდე გამოსული უკანასკნელი გემით | 44 |
| ელითა ოხნატი ნოდარ წულუისკირი „დაუნერეული ნოველა“ | 15 | უოხია უხივლეს ყოვლისა დიდარ ივარდავა ლეძეები | 48 |
| ელენისოხია ვასტანაძე ჭანია საერთოკავკასიური იღვა - „ერთიანობა მრავალფეროვნებაში“ | 18 | სხვა საუბრეები ქეთევან ონიკაშვილი სახლიდან სახლამდე | 49 |
| ეხთხა | 21 | ჩვენი მთა ასტრიდ ლინდგრენი - „საბავშვო ლიტერატურის დედა“ | 52 |
| უხილა-ხილა თეიმურაზ გვანცელაძე სიყვარული არ იკარგება | 22 | დახედავამდე სათქმელი გიორგი ჯანაია გზავნილი მარსზე - „ჩვენ დავპრუნდებით...“ | 56 |
| ბაიბი შენთვის ალექსეი გელიაკოვი „რომ შეთხზა საკუთარი ლეგენდა!“ | 24 | ჩვენი-პანახების ცაბიხინთი | 58 |
| მხანდელეყოვენი მსოფლიო ნაურუ - ქვეყანა, რომელმაც აღიარა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა | 27 | | |

ჩვენი მისამართი:

ქ. თბილისი, უზნაძის ქ. № 68.
 ტელ.: (+995) 598 93 92 84
 (+995) 599 12 66 80
 ვებ-გვერდი: www.ialkani.ge
 ელ-ფოსტა: print@csya.ge

იალქანი № 1 (50). 2022 წ.

ტირაჟი: 300 ც.
 ფასი სახელმწიფოებრივად

COLOR GROUP გამომცემლობა „კოლორი“



ქურნალი გამომცემლის აფხაზეთის ა/რ მთავრობის მხარდაჭერით



ISSN 1512-2026



9 771512 202008

„იბედი“. ევა კვარაცხელია. 15 წლის.
ქ. ოლენის სამხატვრო კოლეჯის | კურსის სტუდენტი